პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — სამხედრო წესები რუმინეთში.
- — კონფლიქტი რეინ - ვესტფალიის ლითონის მრეწველობაში.
- — მღელვარება ტულონის სამხედრო ციხეში.
- — საფრანგეთის კომუნისტების პროცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 23 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 166 (1911)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ვენის ამბების მთავარი გაკვეთილი

ვენის პროლეტარიატის აჯანყება ჩაქრობილია. კონტრ - რევოლიუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ ბურჟუაზიას ხელი შეუწყო მუშათა კლასის რევოლიუციონურ აქტივობის შეზღუდვაში და პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოსვლების, სამხედრო ძალით ჩაქრობაში, სოციალ - დემოკრატიამ, რომელიც ბატონობს ჯერ-ჯერობით მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელო ცენტრებში.

სოციალ - დემოკრატიული პარტიის მოღალატური მოქმედება ნათელია არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ მრავალი ათასეული მუშებისათვის.

ძლიერ დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ამას ადასტურებენ ბურჟუაზიის ზოგიერთი წარმომადგენლებიც კი. მაგალითად, ფინეთის ბურჟუაზიის ორგანო „ილტალეხტი", რომელიც ლაპარაკობს მოსკოვის „კამერტონზე", იძულებულია ლიაროს, რომ სოციალ - დემოკრატების მიზანს შეადგენდა არა ხელმძღვანელობის გაწევა ვენის პროლეტარიატისათვის არამედ მოძრაობის სათავეში ჩადგომა მის ჩასაქრობათ.

ავსტრიის და მასთან ერთად საერთაშორისო პროლეტარიატმაც უნდა გამოიტანოს ამ ბრძოლიდან სათანადო პოლიტიკური გაკვეთილები, უნდა შეიგნონ მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ასეთ სტიქიურ, რევოლიუციონურ და მასიურ მოძრაობის დამარცხებას ისეთ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზია არ წარმოადგენს დიდ ძალას.

ეჭვს გარეშეა, რომ დამარცხების მთავარი და საერთო მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ავსტრიაში არ არსებობს მძლავრი კომუნისტური პარტია, მაშინ, როდესაც მუშათა ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ სოციალ - დემოკრატები.

იმ ქვეყანაში, სადაც ნახევარ მილიონზე მეტ სოციალ-დემოკრატებს უპირისპირდება მხოლოდ რამდენიმე ათასი კომუნისტი, სტიქიურ მასიურ რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობას, გაათვირებულ კლასიურ ბრძოლაში მნიშვნელოვან გამარჯვების მცირე შანსი ექნება. ამ მხრივ, როგორც ქვეყანაში, ისე კერძოდ ავსტრიაში, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის აუცილებელია კომუნისტებმა ნდობა დაუკარგონ სოციალ-დემოკრატებს მუშათა წრეებში.

მუშათა მოძრაობაში მოღალატურ, კონტრ - რევოლიუციონურ როლს თამაშობენ ეგრეთ წოდებული „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატების ბელადები, რომლების ტიპიური წარმომადგენლებია ავსტრიის სოციალ - დემოკრატების თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. (ბაუერი, რენნერი და ფრიდრიხ ადლერი). მუშათა მასების გამემარცხენების დროს ჩნდებიან განსაკუთრებული „ჯიშის" სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც არ ეძნელებათ „მემარცხენე" ფრაზეოლოგია და „მემარჯვენე" სოციალ-დემოკრატების საწინაალმდეგოთ ეადვილებათ წერა და ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის ბრძოლაში ბურჟუაზიასთან „პრინციპიალურად" დასაშვებია „დიქტატურის" მეთოდების გამოყენება. მართალია, „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატების თვალსაზრისით ეს „დასაშვებია" მხოლოდ, ოდესღაც, მხოლოდ შორეულ მომავალში და „განსაკუთრებულ" პირობებში, ეს „დიქტატურა" უნდა იყოს მიმართული „ქურდების და მძარცველების" წინააღმდეგ, ამ „დიქტატურამ" უნდა „აღადგინოს წესრიგი" და ხელი არ უნდა შეუშალოს კონტრ - რევოლიუციას.

ეს „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატები არ იშურებენ ხმას და მელანს იმისათვის, რომ ხაზი გაუსვან თავის „სიმპატიას" საბჭოთა კავშირის და ჩინეთის რევოლიუციის მიმართ, და „აფრთხილებენ" მუშებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების სამხედრო გალაშქრების შესაძლებლობის შესახებ.

მართალია, რომ ამასთან ერთად ისინი შავი საღებავებით ხატავენ საბჭოთა კავშირში, ვითომდა გამეფებულ „ტერორისტულ რეჟიმს", ლაპარაკობენ „საბჭოთა იმპერიალიზმზე", რომელიც აგრეთვე „საფრთხეს" წარმოადგენს მსოფლიოსათვის; აგრეთვე, ის ფაქტია, რომ ისინი გამოსთქვამენ იმედს, რომ იმპერიალიზმი თუ ის განვითარების ლოღიკით თვითონ „გაითქვიფება" და მიყვანს კაცობრიობას „მშვიდობიანობის ნავთსაყუდარში", ხოლო ლაპარაკი იმაზე, თითქო იმპერიალიზმი ემუქრებოდეს მშვიდობიანობას, მათი აზრით, თითქო უბრალო „თვალთმაქცობაა".

მუშათა კლასის გამყვრნელთ, „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატებს სურთ იგივე, რაც „მემარჯვენეებს", მხოლოდ განსხვავება მათ-შორის მდგომარეობს იმაში, რომ „მემარცხენენი" „მემარჯვენეებზე" უფრო ჭკვიანი და მარ[illegible] არიან. სწორედ ამიტომ პირველი ჯგუფის სოციალ - დემოკრატები მეორეზე უფრო სახიფათო არიან პროლეტარული რევოლიუციისათვის.

ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მუშათა მასებს ემჩნევა ნაწილობრივი გადახრა მარცხნივ. მათ იმედი გაუცრუვდათ სოციალ-დემოკრატიაზე და ისინი მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ სოციალ-დემოკრატია იცავს კაპიტალის ინტერესებს.

კომპარტია ვალდებულია გამოიყენოს ეს გადახრა და ამ მუშების საშუალებით გააძლიეროს პროლეტარული რევოლიუციის ლაშქრობა.

„მემარჯვენე" სოციალ - დემოკრატების აშკარა ოპორტუნიზმი მუშებს აშორებს მათ, ამით სარგებლობენ „მემარცხენენი", რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩათ ცოტაოდენი ავტორიტეტი და იჭერენ ამ მუშებს ბადით, რომელიც მოქსოვილია რადიკალური ფრაზებით, ფსევდო რევოლიუციონური ფორმულებით და ბუნდოვანი „მემარცხენე" ლოზუნგებით.

ბრძოლაში გამემარცხენების გზაზე მდგომ მუშათა მასებისათვის კომუნისტების ყველაზე საშიშ მტერს წარმოადგენენ სწორედ ეს „მემარცხენე" სოციალ დემოკრატები, რომლებსაც კაუტსკიანობა ბაუერშინის ფორმაში გამოაქვთ.

ვენის ამბებმა დაგვანახვეს, რომ კლასიური ბრძოლის გადამწყვეტ მომენტებში ბაუერები სწორედ ისევე მოქმედებენ, როგორც ნოსკეები, შეიდემანები და ზევერინგები, და რომ ბაუერების „მემარცხენე" ფრაზა ისეთივე პოლიტიკურ შინაარს შეიცავს, როგორიც მოცემულია კაუტსკების, ჰილფერდინგების, შეიდემანების და სხვათა გულახდილ და ოპორტუნისტულ ფორმულებში.

ვენის ამბებმა ზედმიწევნითი სისწორით დაგვიმტკიცეს „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატების კონტრ - რევოლიუციონერობა და არსებითი იგივეობა მემარჯვენეებთან, ცოტა განსხვავებით ფრაზეოლოგიაში.

„მემარცხენე" სოციალ - დემოკრატების კონტრ-რევოლიუციონერობის სისტემატიური, დაუნდობელი და დაუღალავი გამოაშკარავება და იმის აღნიშვნა, რომ სწორედ ეს „მემარცხენეები" წარმოადგენენ კომუნიზმის ყველაზე საშიშ მტრებს ბრძოლაში გამემარცხენების გზაზე მდგომ მუშათა მასებისათვის, — აი, ვენის ამბების მნიშვნელოვანი გაკვეთილი.

საჭიროა იმის გაგება, რომ დღევანდელი „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატები უკვე სულ სხვა როლს თამაშობენ ვიდრე იმპერიალისტური ომის ეპოქისა და მე-3 ინტერნაციონალის წინადროინდელი მემარცხენე სოციალ - დემოკრატები.

ამ უკანასკნელებმა კომპარტიას მისცეს მრავალი ათასი ნამდვილი მებრძოლი პროლეტარული რევოლიუციის საქმისთვის. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დაარსების პირველ ხანაში თავის მებრძოლ რიგებში ჩააყენა სოციალ-დემოკრატიული პარტიების მემარცხენე მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენლები. თუ წინანდელმა მემარცხენე სოციალ - დემოკრატებმა, რომლებიც დადგენ კომუნიზმის დროშის ქვეშ, გაიარეს ოპორტუნიზმთან ბრძოლის სკოლა, სამაგიეროდ, ეხლანდელმა „მემარცხენეებმა", რომლებიც „მემარჯვენეებთან" იყოფენ „შრომას" პროლეტარიატის მოტყუებაში, თავისი პოლიტიკური სახე გამოაშკარავეს ყოველდღიურ ბრძოლაში პროლეტარულ რევოლიუციისა და კომუნიზმის წინააღმდეგ.

უდავოა, რომ გადამწყვეტ დღეებში, როდესაც დასავლეთ - ევროპის სახელმწიფოებში კვლავ დადგება კომუნისტური რევოლიუციის საკითხი, „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატები, ყოველ შემთხვევაში მათი კადრები, დადგებიან კონტრ - რევოლიუციის ბანაკში. ეხლანდელი „მემარცხენეები" იგივე „მემარჯვენეები" არიან, იმავე შინაარსით, პოლიტიკური იდეოლოგიის იმავე პრინციპებით და იმავე ისტორიული კონტრ-რევოლიუციონური როლით, როგორც „მემარჯვენეებს" აქვთ.

ზოგიერთი ნაწილობრივი განსხვავება და აგრეთვე, განსხვავება ფრაზეოლოგიაში მოწმობს არა ორი მიმდინარეობის ბრძოლას, არამედ შრომის „ერთგვარ" განაწილებას.

თავის პოლიტიკურ მუშაობაში და თავის ბრძოლაში გამემარცხენების გზაზე მდგომ მუშების გადასაყვანად პროლეტარული რევოლიუციის მხარეზე, კომპარტია არას დროს ერთი წუთითაც არ დაივიწყებს იმას, რომ „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატები წარმოადგენენ ყველაზე საშიშ მტერს. აი, ამაშია ვენის ამბების ძირითადი გაკვეთილი, გაკვეთილი, რომელიც კარგად უნდა შეითვისონ პროლეტარიატის ფართე მასებმა.

„პრავდა"

მოსკოვი, 22 ივლისი.

სოციალ-დემოკრატი ზეიცი ვენის ამბების შესახებ

„უკანასკნელი ამბები ხალხის მღელვარების სტიქიურ გამოხატულებას წარმოადგენს"

ამსტერდამის ინტერნაციონალი კმაყოფილია ავსტრიის სოც.-დემოკრატების ღალატით

ავსტრიის მთავრობა უარს ამბობს მომხდარი ამბების გამოძიებაზე

ნანკინი ჯარებს აგროვებს უხანზე გასალაშქრებლად

გაფიცვების შეწყვეტის შემდეგ

ზეიცის აღიარება

ვენა, 21 ივლისი. 20 ივლისს რატუშაში მოხდა ჟურნალისტების მიღება.

ბურგომისტრმა ზეიცმა, რომელსაც პრესის ცნობებით, კაბინეტში ისტერიკა მოუვიდა, თავისი სიტყვა წერილობით გაგზავნა. სიტყვაში ნათქვამია:

„უაზრობა იქნებოდა, რომ **მომხდარ ამბების მიზეზები ბოლშევიკურ შეთქმულებაში, ანდა რეაქციის მომზადებულ შემოტევაში გვეძებნა უკანასკნელი ამბები წარმოადგენს ხალხის სტიქიურ ღელვას, რომელთან ბრძოლაში—პოლიციაც უძლური არის. ამიტომ მიმართა პოლიციამ არაჩვეულებრივ საშუალებებს. მას თუმცა არ მოელოდა თავდასხმა, მაგრამ მაინც გაუფრთხილებლად ესროლა ბრბოს, წინააღმდეგ კანონისა და ადამიანობის მოთხოვნილებისა. გაფიცვის შეწყვეტა მოწმობს ვენის პროლეტარიატის დისციპლინარობას, რომელიც უარჰყოფს მოუფიქრებელ მოქმედებას, რასაც ადვილად შეუძლია სამოქალაქო ომის გამოწვევა. მუშათა კლასი წინანდებურათ მიჰყვება სოციალ-დემოკრატიას. კომუნისტურ აგიტაციას ვენაში გასავალი არა აქვს".** (ადს).

პოლიციის გამოძიება საკმაოა

ვენა, 21 ივლისი. ვენის საღამოს გაზეთების ცნობით, პარლამენტის საგამომძიებლო კომისია, მომხდარი ამბების გამოსარკვევად და დამნაშავეთა აღმოსაჩენათ არ დაინიშნება, ვინაიდან მთავრობის პარტიები ამას ცნობენ ზედმეტად და აღნიშნავენ, რომ გამოძიება უკვე სწარმოებს პოლიციის საშუალებით.

21 ივლისს შესდგება ვენის მუნიციპალიტეტის სხდომა, რომელზედაც განიხილავენ ვენაში მომხდარ ამბებს. (ადს).

შობერი მადლობას უძღვნის პოლიციას

ვენა, 21 ივლისი. პოლიციის პრეზიდენტმა **შობერმა** გამოსცა ბრძანება, სადაც მადლობას უძღვნის პოლიციელებს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული პრესის ცნობებისა, მოკლულია სულ 4 პოლიციელი, მათ შორის ერთი მოკლულია ისევ პოლიციელების მიერ. (ადს).

სათემო პოლიცია

ვენა, 22 ივლისი. მუნიციპალური საბჭოს წევრმა სოციალ-დემოკრატმა **ბრეიტნერმა** განაცხადა, რომ **სათემო პოლიციის შემადგენლობა და მიზნები არ იძლევიან პოლიციასთან შეხლა-შემოხლის შესაძლებლობის საბაბს.** „სათემო პოლიცია—სთქვა მან—მართალია შეიარაღებულია, მაგრამ იარაღი მიიღო პოლიციისაგან". მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ სათემო პოლიცია შედგენილია უკანონოთ, ვენის ლანდტაგის მუნიციპალური საბჭოს ნებადაურთველად. განცხადება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიციამ მისცა სათემო პოლიციას 200 ხმალი; გამორკვეული არ არის, თუ საიდან მიიღო სათემო პოლიციამ დანარჩენი იარაღი. (ადს).

ვილჰელმ პიკის დაპატიმრება

ბერლინი, 21 ივლისი. წინააღმდეგ ზოგიერთი გაზეთების ცნობისა, **გერმანიის კომპარტიის წევრი, პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი ვილჰელმ პიკი კვლავ დაპატიმრებულია ვენაში. (ადს).**

პიკის დაპატიმრების გარშემო

ვენა, 21 ივლისი. „რეიხსპოსტის" ცნობით, ვენაში დაპატიმრებულ გერმანელ კომუნისტის—პიკის გაჩხრეკის დროს—აღმოჩენილ იქნა „მამხილებელი ხელთნაწერები". (ადს).

გერმანიის პროლეტარიატი ვენაში დაღუპული მუშების დასაფლავების დღეს

ბერლინი, 21 ივლისი. მიუხედავად სოციალ - დემოკრატიისა და პროფკავშირების ხელმძღვანელი ინსტანციების საბოტაჟისა, **ბერლინის მსხვილ წარმოებათა მუშებმა 15 წუთით შესწყვიტეს მუშაობა ვენაში დაღუპული მუშების დაკრძალვის დროს. წარმოებათა უმეტეს ნაწილში შესდგა სამგლოვიარო კრებები დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად.** კრებების ლოზუნგი იყო: სოლიდარობა ვენის მუშებთან და ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. **კომპარტიის მოწოდებით ბერლინის მუშათა რაიონებში გამოფენილი იყო მრავალი სამგლოვიარო დროშა.**

ჰალლეში ყველა წარმოებათა მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა 15 წუთით, მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირთა გაერთიანებამ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადეს 15 წუთ. გაფიცვის მოწყობაზე.

შესდგა დიდი დემონსტრაცია, რომლის დროს გაკეთებულ იქნა მოხსენებანი დაღუპული მუშების ბრძოლის შესახებ. დემონსტრანტები მოხსენებებს ენთუზიაზმით შეხვდენ. რეზოლიუციებში დემონსტრანტები გმობდენ ავსტრიის სოციალ-დემოკრატების საქციელს. (ადს).

ამსტერდამის ინტერნაციონალის მიმართვა

ბერლინი, 21 ივლისი. ავსტრიის პროფესიონალური კავშირების საბჭოს ამსტერდამის ინტერნაციონალმა მიმართა თანაგრძნობის დეპეშით.

„მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი —ნათქვამია დეპეშაში,—**უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ავსტრიელ მუშების ბრძოლას თავის უფლებების მოპოებისათვის. გვიხარია, რომ ავსტრიის მუშათა კლასი მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატიულ და პროფესიონალურ კავშირთა ღონისძიებებს".**

5 ჯარისკაცის დაკრძალვა

ვენა, 21 ივლისი. ავსტრიის ოფიციალური დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„21 ივლისს, რესპუბლიკის პრეზიდენტის, საკავშირო კანცლერის მინისტრის კაბინეტის მთელი შემადგენლობის, ვენის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების საგანგებოთ მოწვეულების და მოსახლეობის დასწრებით, დაასაფლავეს ავსტრიის არმიის 5 ჯარისკაცი, რომლებიც დაიღუპა არეულობის დროს. დასაფლავება უინციდენტოთ ჩატარდა. შესდგა ვენის მუნიციპალური საბჭოს ხანმოკლე სამგლოვიარო სხდომა. სხდომაზე ბურგომისტრმა **ზეიცმა** ყველა პარტიის და მუნიციპალური საბჭოს სახელით წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ეხებოდა დაღუპულთა ხსოვნას".

საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები ვენაში

ვენა, 21 ივლისი. წინააღმდეგ ბურჟუაზიული პრესის მტკიცებათა, საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელთაგან ავსტრიაში არავინ არ ითვლება მოკლულთა სიებში. მოკლულთა სიაში ირიცხება ინგუნი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ყოფილი შვეიცარი, რომელიც შარშან იქნა დათხოვნილი. (ადს).

„მოსკოვის ხელი"

ვენა, 21 ივლისი. „რეიხსპოსტი" აქვეყნებს, შეთხზულ წერილს შემდეგი სათაურით: „მოსკოვის ხელი", რომელშიც სწერს: „კომინტერნის პროპაგანდა ბალკანეთზე და შუა ევროპაში უკანასკნელ ხანებში მეტად გაძლიერდა. მოსკოვს უნდა გამოიწვიოს არეულობა ევროპის ამ ნაწილში". (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

დენინდის წერილი

ხანკოუ, 21 ივლისი. უხანის არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა **დენინდამ,** თანამდებობიდან გადადგომის დროს, დაუტოვა თავის ამხანაგებს გომინდანიდან, გამოსამშვიდობებელი წერილი, სადაც ნათქვამია შემდეგი: **„მდგომარეობა ამჟამად გაუარესდა. სუნ-იატ-სენის პრინციპებს რყვნიან და პარტიის ზოგიერთი წევრები შორდებიან კიდეც მათ.** მართალია ჩან-ძო-ლინის და ჩან-კაი-შის წინააღმდეგ გალაშქრების მომზადება გრძელდება, მაგრამ გომინდანის ცეკას წევრთა დამოკიდებულება ამ საკითხთან, სამწუხაროთ, შეიცვალა. ისინი, რომლებიც წინეთ ჩან-კაი-შის წინააღმდეგ გალაშქრების მომხრე იყვენ, დღეს მზათ არიან კომპრომისზე წავიდენ და ამ გალაშქრებაზე უარიც სთქვან, ისინი, რომლებიც წინეთ აღფრთოვანებით მოითხოვდენ ყველა რევოლიუციონური ძალების კავშირს, დღეს მოითხოვენ ამ კავშირის გაწყვეტას კომპარტიასთან და ისინი, რომლებსაც წინეთ საჭიროთ მიაჩნდა მუშების და გლეხების ინტერესების დაცვის აუცილებლობა, დღეს აწარმოებენ მუშების და გლეხების მასიურ მკვლელობას. მაგრამ პარტიის ჭეშმარიტი ძალა უნდა შენდებოდეს ექსპლოატაციაში მყოფ და დაჩაგრულთა შორის პოლიტიკური მუშაობის წარმოების საშუალებით. **თუ კი გომინდანი მომავალში ივლის ძველი გზით, ის როგორც რევოლიუციონური ორგანიზაცია, დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას. პარტიის გავლენა მასებში შემცირდება და პარტიაც კონტრ-რევოლიუციონური გახდება".**

დენინდა აცხადებს, რომ შექმნილ პირობებში, მას არ შეუძლია მუშაობა და გამოსთქვამს იმედს, რომ ახლო მომავალში შესძლებს დაუბრუნდეს მუშაობას.

შორეულ აღმოსავლეთის ბანკის დაბეჭდვის საქმის გამოძიება

შანხაი, 21 ივლისი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო იუწყება ნანკინიდან: **„ნანკინის მთავრობის ფინანსთა სამინისტრომ დაავალა ჩენს გამოიძიოს საქმე შანხაის ხელისუფლების მიერ შორეულ - აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილების გაჩხრეკის და დაბეჭდვის შესახებ.**

„მერკური" აცხადებს: **„დროებით სასამართლოს მიეცემა წინადადება გააუქმოს ორდერი ბანკის დაბეჭდვის შესახებ".** (ადს).

უხანის და ნანკინის შეტაკება აუცილებელია

პეკინი, 21 ივლისი. იაპონიის სააგენტო ტოხო, ეყრდნობა რა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციას, იტყობინება რომ **ნანკინის ჯარებმა, რიცხვით 19.000 კაცმა, გაიარა ვუხუს მიმართულებით. მეორე მხრით უხანის ძალები თავს იყრიან უსიუეის რაიონში.**

„ამგვარათ, სწერს სააგენტო, **მდგომარეობა ანხის და ცზიანსის პროვინციაში დღითი-დღე მწვავდება".**

სააგენტოს მოყავს სამხედრო შეხედულება სპეციალისტების, რომლებიც ადასტურებენ, რომ „შეტაკება უხანისა და ნანკინის შორის ადრე თუ გვიან აუცილებელია".

ხო-ჩი-ენი ხანკოუში

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ნანკოუელი კორსეპონდენტის **დაიკავეს მთელი რიგი სტრატეგიული** იმსის" ნანკოუელი კორესპონდენტის ცნობით, **ხო-ჩი-ენის ჯარებმა ხანკოუში დაიკავეს მთელი რიგი სტრატეგიული პუნქტები. (ადს).**

ჩან-ძო - ლინის მოლაპარაკება — ჩან-კაი-შისთან

პეკინი, 21 ივლისი. ტოხოს კორესპონდენტთან საუბარში ჩან-ძო-ლინმა განაცხადა: „ჩან-კაი-შისთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს" **მუკდენელები კატეგორიულად უარყოფენ მოთხოვნილებას რევოლიუციონური დროშის სახელმწიფოს ეროვნულ დროშათ აღიარების შესახებ.** შეთანხმება ხდება კომუნიზმის წინააღმდეგ შეერთებული მოქმედების ფარგლებში. (ადს).

დამატებითი გადასახადის წინააღმდეგ ბრძოლა

შანხაი, 21 ივლისი. ბრძოლა მუნიციპალური საბჭოს და სეტლმენტის ჩინელი მოსახლეობის შორის მუნიციპალიტეტის მიერ შემოღებულ დამატებით გადასახადის გამო, ღებულობს უფრო და უფრო მწვავე ხასიათს.

მუნიციპალურმა საბჭომ დაუგზავნა ვაჭრებს გაფრთხილება იმის შესახებ, რომ თუ გადასახადი არ იქნება შემოტანილი 24 საათის განმავლობაში, მათ ჩამოერთმევათ სარეწაო მოწმობები.

იტყობინებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალურმა საბჭომ არ შესწყვიტა რეპრესიები, **ჩინეთის გადასახადის გადამხდელთა ასოციაციას განზრახული აქვს გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა.** (ადს).

იაპონიის საქონლის ბოიკოტი

შანხაი, 21 ივლისი. იაპონიის პრესა კვლავ ავრცელებს ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს ნანკინის მთავრობას გამოეცა განკარგულება იაპონიის საქონლის ბოიკოტის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ, ვინაიდან მთელი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ჩრდილოეთის ექსპედიციისათვის და კომუნისტებთან ბრძოლისათვის.

ჩინურ წრეებში კი კატეგორიულად უარჰყოფენ ასეთი ინსტრუქციების მიღებას, როგორც მთავრობისაგან, ისე გომინდანისაგან. (ადს).

სუნ-იატ-სენის ქვრივის დეკლარაცია*)

მოსკოვი, 22 ივლისი. ჩვენ ვიმყოფებით სერიოზულ კრიზისის წინაშე. შესძლებს ამჟამად გომინდანი ამაღლდეს თავის იდეალებამდე და გაბედულად მონახოს თავისი შეცდომების რევოლიუციონური გამოსწორება, თუ ჩაეფლობა რეაქციის და კომპრომისების უსირცხვილო ჭაობში,—ასეა თუ ისე სუნ-იატ-სენის სამი პრინციპი ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს, ვინაიდან ჩინეთის რევოლიუცია ისტორიული აუცილებლობაა.

ამჟამად მე ვხედავ, რომ **ჩვენ ჩამოვცილდით სუნ-იატ-სენის პოლიტიკას.** ამიტომ მე ვალდებული ვარ ჩამოვცილდე აქტიურ მოღვაწეობას მანამდე, სანამ არ გაიმარჯვებს უფრო ბრძნული პოლიტიკა. მე არ გამტეხია გული რევოლიუციის ბედიღბალზე, მაგრამ ვწუხვარ იმ გზის გამო, რომელსაც დაადგა რევოლიუციის რამოდენიმე ხელმძღვანელი მოღვაწე, მაგრამ, თუმცა ისინი ჩამოსცილდენ იმ გზას, რომელიც სუნმა უანდერძა ჩინეთის რევოლიუციას, მე არ ვიტეხ გულს. ვინაიდან ჩინეთის ხალხის მილიონები, რომლებიც უკვე შემოკრბენ გომინდანის დროშების გარშემო, განაგრძობენ ამ გზას, რათა მიაღწიონ რევოლიუციის საბოლოო მიზანს.

მორიგი გაწვევის შესახებ

1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა წითელ ჯარში მოხდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე. სამხედრო უწყება უკვე შეუდგა საჭირო მზადებას. გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის არ კმარა სათანადო ორგანოების მიერ მარტო მოსამზადებელი მუშაობა, აქ უაღრესად დიდ როლს თამაშობს თვით გასაწვევ ახალგაზრდობის დაინტერესებაც გაწვევის საქმით, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩეს გასაწვევ ადგილას გამოუცხადებელი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გასაწვევ ახალგაზრდობის ოჯახურ - ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით შეღავათების გამორკვევას. აქაც რასაკვირველია გაწვევის საკითხში პასუხისმგებელ ორგანოებს შეუძლიათ მხოლოდ განმარტება იმ კანონებისა, რომელთა მიხედვითაც გასაწვევ ახალგაზრდობას შეიძლება მიენიჭოს ესა თუ ის შეღავათი. მაგრამ ოჯახურ - ქონებრივ მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთების თავის დროზედ წარდგენა სათანადო ორგანოებში, თვით გასაწვევ ახალგაზრდობის საქმეა. წარსული გაწვევებიდან ვიცით, რომ ასეთი საბუთების წარდგენა გასაწვევ ახალგაზრდობის მიერ ხშირად სულ არ ხდებოდა, ან და ხდებოდა ძალზე დაგვიანებით, რაც ართულებდა გამწვევი კომისიების მუშაობას და ამის გამო შეცდომებიც ხდებოდა. ასე მაგალითად, 1904 წლ. დაბადებულთა გაწვევის დროს მრავალი შეღავათიანი იყო მიღებული ნამდვილ სამხედრო სამსახურში. ისინი ნაწილში ჩარიცხვის შემდეგ აღძრავდენ ხოლმე საკითხს განთავისუფლების შესახებ. რაც ცხადია, ხელს უშლიდა სამხედრო ერთეულის ნორმალურ მუშაობას.

განსაკუთრებული სიფრთხილეა აგრეთვე საჭირო გამწვევი კომისიების მხრით, რათა სამსახურში მიღებული არ დარჩენ აშკარა ფიზიკურ დეფექტების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც კანონის მიხედვით განთავისუფლებულნი უნდა იყვენენ გაწვევიდან. შარშანდელი გაწვევის დროს აქ ჩვენ გვქონდა დიდი ნაკლი და რამდენიმე ასეული, ჯანმრთელობის გამო სამსახურისათვის უვარგისი ახალგაზრდა მაინც მოხვდა ჯარში. ამ უკანასკნელების მიერ შემდეგ იქნა შუამდგომლობა აღძრული და მათი საგრძნობი რაოდენობა სავსებით განთავისუფლდა სამსახურიდან. დანარჩენებმა კი მიიღეს ხანგრძლივი შვებულება და სხვა შეღავათი. ასე რომ ამ გარემოებასაც არ შეეძლო არ შეეტანა სამხედრო ერთეულების ნორმალურ ცხოვრებაში ერთნაირი არევ-დარევა ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ არ შეიძლებოდა არ შელახულიყო თვით გამწვევი კომისიების ავტორიტეტი. ასე რომ აქედანვე საჭიროა სათანადო ზომების მიღება, რომ ზემოდ აღნიშნული დეფექტები აცილებული იქნენ მომავალი გაწვევის დროს.

გაწვევის დროს გამოუცხადებლობა ნიშნავს, ჯარში სამსახურზე უარის თქმას. ასეთი პირი კი ცხადია სჩადის დანაშაულს და ამისთვის ის პასუხისმგებელიც არის. ამ დანაშაულებას ითვალისწინებს როგორც ყველა ქვეყნების, ისე ჩვენი კანონმდებლობაც ითვალისწინებს. ჩვენი კანონების სათანადო მუხლი ამბობს: „თავის არიდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გამოიწვევს, უკეთუ დანაშაული ჩადენილია ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებაში, ჯარიმას სამას მანეთამდე და ჯარის ნაწილში გაგზავნას სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში. ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე — თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე, ქონების ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ ჯარის ნაწილებში გაგზავნას სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში" ქვემდებარეობის წესით ეს დანაშაული ექვემდებარება სახალხო სასამართლოს და საჭიროა თავის ამრიდებელთა მიმართ, თუ ასეთი შემთხვევები იქნება სადმე, დაუყოვნებლივ იქნეს აღძრული საქმე და გადაცემული სახალხო სასამართლოზედ, ამ უკანასკნელებს კი მიეცემათ მითითება რათა დააჩქარონ ასეთი საქმეების განხილვა.

გაწვევის დროს, უკვე სამსახურში მიღებულ ახალგაზრდობას გამწვევი კომისიების მიერ ეძლევათ ხოლმე ხანმოკლე შვებულება ოჯახური მდგომარეობის მოსაგვარებლად და შემდეგ დანიშნულ სამხედრო ერთეულში გამოსაცხადებლად. გაწვეულები ზოგჯერ ამ ხანმოკლე შვებულებას აცილებენ და რამოდენიმედ დაგვიანებით ბრუნდებიან სამხედრო ერთეულში. საჭიროა გამწვევ ახალგაზრდობამ იცოდეს, რომ იმ მომენტიდან როდესაც მათ მიიღებენ გამწვევი კომისიები, ისინი ითვლებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ პირებად და დანიშნულ სამხედრო ერთეულებში დაგვიანებით გამოცხადება ან კიდევ გამოუცხადებლობა ეთანაბრება დეზერტირობას, რომელსაც ითვალისწინებს სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-6 მუხ. და რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მორიგი გაწვევა, გამწვევ ორგანოების საქმიანობით და თვით გასაწვევ ახალგაზრდობის საკითხისადმი შეგნებულად მიდგომით, კიდევ უფრო დამაკმაყოფილებლად ჩატარდება ვინემ წარსულში.

მორიგი გაწვევის რიგიანად ჩატარება უეჭველად თვით გასაწვევ ახალგაზრდობის საქმეა და ვფიქრობთ, რომ ის თავის მოვალეობას მშრომელი ხალხისა და მისი ხელისუფლების მიმართ პირნათლად შეასრულებს.

დ. ხიხაძე.

საბჭოთა პრესა

ღარიბი გლეხობა და სამანქანო ამხანაგობები

საქ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის ამას წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული დადგენილება ღარიბ გლეხთა მუშაობის შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნავს ღარიბ გლეხების სამანქანო ამხანაგობებში შეკავშირების საჭიროებას. ასეთი დირექტივა უმაღლეს პარტორგანოების მიერ დიდი ხანია რაც გამოცემულია, მაგრამ მის გაატარებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაკეთებულა. შემჩნეულია, რომ სამანქანო ამხანაგობებს აარსებენ მეტწილად უფრო შეძლებული გლეხები, არის შემთხვევები, როცა კულაკების, ხშირად ნათესავების მიერ, ეწყობა ცრუ ამხანაგობები, სადაც „თვალის ასახვევად" შეყავთ თითო-ოროლა მათგან დამოკიდებული ღარიბნიც, რომ გაიადვილონ სათანადო შეღავათებით სარგებლობა. ნამდვილად ღარიბთა შეკავშირების საქმე კი მოიკოჭლებს. აიხსნება ეს იმით, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ; კერძოდ აღსანიშნავია, რომ ამ მიზნისათვის ნაკლებად იყენებენ ღარიბთა საკრედიტო და საკოოპერაციო ფონდებს. ასეთი მდგომარეობა ძირ-ფესვიანად უნდა იქნას აღმოფხვრილი. რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? ამაზე ამხ. ვ. კ „პრავდა"-ში უპასუხებს:

„ადგილობრივმა პარტიულ და სხვა ორგანიზაციებმა უნდა გამოასწორონ ხაზი, უნდა შეითვისონ საკითხისადმი კლასიური მიდგომა, გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და ენერგია სას. სამ. მანქანის გარშემო ღარიბ და საშუალო გლეხობის საწარმოო გაერთიანებისათვის. აუცილებელია გადაჭრით აღიკვეთოს გლეხობის ზედაფენების ცდა გამოიყენონ თავის ინტერესებისათვის ის შეღავათები, რომლებსაც კანონი ღარიბ - საშუალო გლეხობას ანიჭებს, უნდა მივაღწიოთ გადაჭრილ ჯგუფდატეხას გლეხობას შორის მუშაობაში იმ აზრით, რათა ღარიბ - საშუალო მასას საწარმოო შეკავშირების საქმეში აღმოუჩინოთ საორგანიზაციო, საფინანსო - საკრედიტო და პოლიტიკურ - საგანმანათლებლო დახმარება.

კონკრეტულად აუცილებელია: ა) შეღავათიანი სამანქანო მომარაგებიდან გამოვრიცხოთ შეძლებულ-კულაკურ ელემენტებისაგან შემდგარი სამანქანო ამხანაგობები და შეღავათები მივსცეთ მხოლოდ და მხოლოდ ღარიბ საშუალო გლეხთა ამხანაგობებს, მათი ნამდვილი საჭიროების მიხედვით; ბ) არ დაუშვათ ნათესავებისაგან ცრუ-ამხანაგობათა ორგანიზაცია: გ) ათ კაცამდე გავადიდოთ იმ სამანქანო ამხანაგობათა დამაარსებლების ნორმა, რომლებიც ტრაქტორებს და რთულ მანქანებს იძენენ; დ) სამანქანო ამხანაგობათა დამაარსებლების რიცხვში და მმართველობის ორგანოებში არ დაუშვათ საარჩევნო უფლებას მოკლებულნი; ე) დაუყოვნებლივ და ფართედ გამოვიყენოთ ღარიბთა სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული ფონდები სას. სამ. მანქანის გარშემო ღარიბ მეურნეობათა გასაერთიანებლად; ვ) სას. სამ. კრედიტის და სას. სამ. კოოპერაციის ორგანოების და მათი კომფრაქციების საშუალებით, აგრეთვე ღარიბთა ჯგუფების დახმარებით ფხიზელი კონტროლი დავაწესოთ სამანქანო ამხანაგობათა და კერძო მეურნეობათა მანქანებით და კრედიტით მომარაგებაზე; გ) ღარიბთა ჯგუფები ჩავაბათ პრაქტიკულ მუშაობაში მანქანის გარშემო ღარიბ გლეხობის საწარმოო შეკავშირებისათვის".

სამანქანო ამხანაგობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მარტივი, დაწყებითი ფორმაა. ამიტომ ის უფრო მისაღებია გლეხობისათვის, მით უმეტეს მისი ღარიბი ნაწილისათვის, რომელიც მოკლებულია ინვენტარს. აქედან შეიძლება თანდათან კოლექტივიზაციის უფრო რთულ ფორმებზე გადასვლა. ამიტომ ღარიბ გლეხების გაერთიანებას სამანქანო ამხანაგობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაუერის წერილი

ბერლინი, 21 ივლისი. ფრანგ სოციალისტთა ორგანო „პოპიულერი" აქვეყნებს ოტო ბაუერის წერილს შემდეგი სათაურით: „რუსეთი, ინგლისი და მსოფლიო პროლეტარიატის პოლიტიკა".

„საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები —ნათქვამია წერილში—აჭარბებენ ომის საშიშროების დახასიათებაში, მაგრამ დაუშვათ, რომ მდგომარეობა მართლაც სერიოზულია და ინგლისის იმპერიალიზმი ცდილობს საბჭოთა ქვეყნის გარემოცვას. სოციალიზმისა და ბოლშევიზმის შორის კავშირი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ბოლშევიკები დარწმუნდებიან იმაში, რომ ისინი ვერ შესძლებენ ევროპის სოციალიზმის დაშლას, რომ ისარგებლონ მისი მემკვიდრეობით. **მაგრამ, ჩვენ ეხლავე უნდა მოვამზადოთ პროლეტარული კავშირი. ამის საუკეთესო საშუალებაა საბჭოების მხარეზე დადგომა და ბრძოლა საბჭოების დასაცავად იმპერიალისტურ ბლოკისაგან.** (ადს).

რაზე ოცნებობენ გერმანელი კაპიტალისტები

პარიზი, 21 ივლისი. გაზეთ „ავენიო"-ში დაბეჭდილია ცნობილი გერმანელი მრეწველის **რეხბერგის** წერილი.

თავის წერილში რეხბერგი ამბობს:

„გერმანელი ხალხი მართლაც მეომარი ხალხია და **არასოდეს არ სცნობს ვერსალის ხელშეკრულებას.** 1918 წლის პაციფიზმი თითქმის სავსებით მოისპო და ეხლა გერმანიის სოციალ-დემოკრატია მთელ ხალხთან ერთად შეიძლება გამოვიდეს ომში საფრანგეთის წინააღმდეგ. როცა გერმანიას ექნება შესაძლებლობა წარმატებით აწარმოოს ომი, ლოკარნოს ხელშეკრულება ქაღალდის ნაგლეჯათ გადაიქცევა, რომელსაც დაფხრეწავს გერმანელი ხალხის ნებისყოფა. **ძლევამოსილი გერმანია საფრანგეთში ქვას-ქვაზე არ დასტოვებს. საერთაშორისო კომბინაციებს გარდამავალი მნიშვნელობა აქვს".**

შემდეგ რეხბერგი ხაზს უსვამს, **რომ,** იგი ამას წინედ იყო ლონდონში, სადაც საუბარი ჰქონდა გავლენიანი წრეების წარმომადგენლებთან.

„ინგლისელი პოლიტიკოსების აზრით, —ამბობს რეხბერგი,—**საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა სრულიად არ შესუსტებულა და საბჭოთა გავლენა აზიაში უფრო და უფრო ძლიერი და საშიში ხდება. ინგლისის მმართველ წრეებს არ სწამთ, რომ პოლონეთი და სხვა ლიმიტროფები საკმაოდ ძლიერი არიან იმისათვის, რომ დაამხონ ბოლშევიზმი რუსეთში და დაიცვან ინგლისის ინტერესები კონტინენტზე. საფრანგეთი კი შორს იმყოფება რუსეთისაგან და არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ინტერვენცია, სანამ მტრული ურთიერთობა არსებობს საფრანგეთსა და გერმანიას შორის.**

ახლო მომავალში ინგლისი გამოიყენებს მთელ თავის გავლენას, რომ გერმანიას მისცეს შესაძლებლობა აღადგინოს თავისი არმია. რასაკვირველია, ინგლისი ამას მოახდენს მხოლოდ ინგლის-გერმანიის შეთანხმების დადების შემდეგ.

რეხბერგი იგონებს, რომ ამავე გაზეთის ფურცლებზე განხილულ იქნა საფრანგეთისა და გერმანიის შორის შეთანხმების შესაძლებლობის პირობები და გამოსთქვამს რწმენას, რომ გერმანელი ხალხი, ნაციონალისტების გამოუკლებლად, გულწრფელად მიიღებს ამ პირობებს. პირველი პირობაა საფრანგეთისა და გერმანიის მძიმე მრეწველობის თანამშრომლობა,—ეს უკვე ხორციელდება.

ინგლისელი მრეწველები სცნობენ, რომ ისინი არიან დამარცხებულის როლში საფრანგეთ-გერმანიის მრეწველთა ბლოკის წინაშე და აცხადებენ, რომ მათ დარჩენიათ მხოლოდ შეუერთდენ ამ ბლოკს.

„თუ ინგლისი შეუერთდება საფრანგეთ-გერმანიის ბლოკს, მაშინ სამივეს სახელმწიფოს,—სწერს რეხბერგი,— შეეძლება თავისი ყურადღება მიაპყროს აღმოსავლეთისაკენ, საშინელი ბოლშევიკური საფრთხის მიმართულებით. აუცილებელია საფრანგეთ-გერმანიის მჭიდრო სამრეწველო, პოლიტიკური და სამხედრო კავშირი, რომელსაც ინგლისიც უნდა შეუერთდეს. უამისოდ საფრანგეთი არასოდეს არ იქნება უშიშარ მდგომარეობაში, ახალი ომი კი მხოლოდ მოსკოვის სასარგებლო იქნება".

„ავენირი"-ს რედაქცია რეხბერგის წერილს თან ურთავს თავის შენიშვნას, რომელშიაც იგი ამბობს, რომ დაწვრილებითი პასუხი დაიბეჭდება ერთ-ერთ უახლოეს ნომერში (ადს).

გერმანიის პასუხი ბელგიის მემორანდუმზე

ბერლინი, 21 ივლისი. ბელგიის მთავრობას გადასცეს გერმანიის პასუხი ბელგიის მემორანდუმზე, რომელშიაც ბელგიის მთავრობა გამოსთქვამდა ბელგიის სამხედრო მინისტრის შეხედულებას გერმანიის მემორანდუმის (18 ივნისის თარიღით) შესახებ.

პასუხში ნათქვამია: „ბელგიის სამხედრო მინისტრი ადასტურებს, რომ გერმანიის რეიხსვერიდან დაითხოვეს სამხედრო ცოდნამიღებული პირები, მაგრამ მას არ შეუძლია რაიმე კონკრეტული საბუთი დაუპირდაპიროს გერმანიის ოფიციალურ ცნობებს, რომელსაც მოჰყავს უკანასკნელი წლების სწორი ციფრები. ამის გამო გერმანიის მთავრობის თვალსაზრისით ზედმეტია ამ საკითხის შემდგომი პრაქტიკული განხილვა.

რაც შეეხება იმამდე არსებულ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია გერმანიის ბიუჯეტით, ეს ხარჯები არ არის შეზღუდული ვერსალის ზავით, ამიტომ გერმანია არაა ვალდებული ანგარიში ჩააბაროს ამ ხარჯების საკითხში იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

ამის გამო გერმანიის მთავრობა ადასტურებს იმ პროტესტს, რომელიც მან განაცხადა ბელგიის სამხედრო მინისტრის გამოსვლების წინააღმდეგ". (ადს).

საფრანგეთის ბურჟუაზია „ემზადება" არჩევნებისათვის

„ტან"-ის ხრიკი არჩევნების წინ

პარიზი, 21 ივლისი. „ტან"-ი სწერს, რომ სისულელე იქნებოდა, სათადარიგო მეზღვაურთა შორის მომხდარ მღელვარების დაფარვა". გაზეთი სწერს, რომ ამ მღელვარებაში „თავი იჩინა ბოლშევიკურმა საფრთხემ, რაც ყველა კეთილსაიმედო მოქალაქეს ავალებს შეკრან ბლოკი არჩევნების წინ".

„ჟურნალი"-ი იუწყება, რომ ტულონის სატუსაღოში დაპატიმრებულმა **მეზღვაურმა ორმენმა, რომელიც მღელვარებაში მონაწილეობის მიღებისათვის კარცერში ჩაამწყვდიეს, თვითმკვლელობა განიზრახა.** (ადს).

მღელვარება ტულონის სამხედრო სატუსაღოში

პარიზი, 21 ივლისი. „ჟურნალ"-ის ცნობით, პატიმრების გაჩხრეკის დროს ტულონის სამხედრო სატუსაღოში, სადაც ამას წინად ადგილი ჰქონდა მღელვარებას, **აღმოჩენილ იქნა საიდუმლო მიწერ-მოწერა და ანტიმილიტარისტული ხასიათის მოწოდებები.**

ოფიციალურ ცნობების საწინააღმდეგოთ, „იუმანიტე" აცხადებს, რომ **მღელვარება ტულონის სატუსაღოში ატარებდა სერიოზულ ხასიათს და სამი დღე გაგრძელდა.** მღელვარების მიზეზი გახდა ის, რომ არ იქნა შესრულებული დაპირება პატიმართა განთავისუფლების შესახებ ნაციონალურ-დღესასწაულის დღეს—14 ივლისს.

მღელვარება,—„იუმანიტე"-ს სიტყვით,—ჩააქრეს ჟანდარმებმა და პოლიციამ, რომელთაც მიმართეს იარაღს; ამის გამო **შესაძლებელია, რომ პატიმართა შორის არიან დაჭრილები და მოკლული.**

„პროლეტარიატმა,—სწერს „იუმანიტე",—უნდა მოითხოვოს სამხედრო სატუსაღოების მოსპობა და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება". (ადს).

საფრანგეთის კომუნისტების პროცესი

პარიზი, 21 ივლისი. დამცველთა მოწმეები, რომლებიც აძლევენ ჩვენებას ჯაშუშობის საქმის შესახებ, აცხადებენ, რომ **ბრალდებულთა მოღვაწეობას არაფერი საერთო არ ჰქონდა ჯაშუშობასთან.** იმ დოკუმენტების მიღება, რომელთა შეგროვებას დანაშაულად უთვლიან ბრალდებულებს, შეიძლება მიიღო საჯარო ბიბლიოთეკაში.

სატუსაღოდან მოყვანილმა მოწმემ მიდოლმა ჩვენების მიცემის დროს, სხვათა შორის, განაცხადა:

„ამერიკის პოლიცია ხმარობდა გაზებს მუშების წინააღმდეგ. სავსებით ბუნებრივია, **რომ** მუშებს სურთ შეისწავლონ გაზებისაგან თავდაცვა".

პროკურორი მხარს უჭერს ბრალდებულების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და უარჰყოფს პროვოკაციის ფაქტს.

დამცველები მოითხოვენ გამართლებას, ამასთანავე **ბერტონი** დაწვრილებით ახასიათებს პროვოკატორების როლს სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში. **ტორრესი** აცხადებს, რომ **საქმე აღძრული იქნა მომავალ საარჩევნო კამპანიის გამო. (ადს).**

მენშევიკები უარს ამბობენ მთლიან ფრონტზე

სტოკჰოლმი, 21 ივლისი. ნორვეგიის კომპარტიამ ნორვეგიის მუშათა პარტიას მიმართა წინადადებით, რომ მთლიანი ფრონტით გამოვიდენ სტორტინგის მომავალ არჩევნებში, შემოდგომაზე.

მუშათა პარტიამ ამ წინადადებაზე უარით უპასუხა, იმის მომიზეზებით, რომ კომპარტია „კლასიური გაერთიანების" წინააღმდეგ გამოვიდა 1927 წლის იანვარში.

აქ ლაპარაკია სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ტრანმელისტების შეერთებაზე; როცა ეს შეერთება ხდებოდა, კომპარტიამ გამოააშკარავა ამ პარტიებისა და მათი გაერთიანებული პროგრამის შეუთანხმებელი ხასიათი. (ადს).

შეერთებული შტატების ინტერვენცია ნიკარაგუაში

სანდინოს დაეძებენ

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების ჯარები და საავიაციო რაზმები ნიკარაგუაში დაეძებენ სანდინოს, რომელიც, როგორც ამბობენ, დაიმალა.

„ასოშიეტედ პრესი"-ს ცნობით, ლიბერალების ჯარების ყოფილმა მთავარსარდალმა მონკადომ განაცხადა, რომ „პასუხისმგებლობა ოკოტალში მომხდარ ტრაგედიისათვის ეკისრება სანდინოს, რომელიც არ შეუერთდა გადაწყვეტილებას, რომლის ძალით მას იარაღი უნდა ჩაებარებია ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ჯარებისათვის". (ადს).

„უორკერს პარტის" პროტესტი

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. „უორკერს პარტიმ" გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ზიზღს უცხადებს ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმს ნიკარაგუაში მომხდარ მკვლელობათა გამო. დეკლარაცია მოუწოდებს მუშებს, მოითხოვონ ამერიკის **ჯარების გაყვანა ნიკარაგუადან.**

---

*) დეპეშა წარმოადგენს სუნ-იატ-სენის ქვრივის დეკლარაციის დასასრულს, რომელიც მხოლოდ გუშინ მივიღეთ. **რედ.**

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა საელჩო უარყოფს

ვენა, 21 ივლისი. მთელი რიგი გაზეთები აქვეყნებენ საბჭოთა საელჩოს მიერ იმ ცრუ ცნობების უარყოფას, თითქოს საბჭოთა საელჩოს და სავაჭრო წარმომადგენლობას ვენის ამბებთან კავშირი ჰქონდა. (ადს).

ბოროდინი დაბრუნდება ხანკოუში

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. „ნიუ-იორკი ტაიმსის" ხანკოუელი კორესპონდენტის ცნობით, ევგენი ჩენმა ოფიციალურად განაცხადა ბოროდინის გამგზავრების შესახებ და დაუმატა, რომ ის რამოდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდება. (ადს).

ზავის შესაძლებლობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის

შანხაი, 21 ივლისი. პრესა სკეპტიკურად უყურებს ზავის შესაძლებლობას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, მიუხედავად ანგოძიუნის ბელადების ოპტიმისტურ განცხადებათა.

პეკინის მთავრობის ზოგიერთ წრეებში შიშობენ რომ ჩან-კაი-ში სცდილობს მიაღწიოს მხოლოდ დროებით ზავს ჩრდილოეთთან, რომ განამტკიცოს თავისი პოზიციები მდინარე იანცზეზე.

ტოხოს სააგენტოს ცნობით, პეკინ ზავის დადებისათვის პირობად აყენებს საერთო გალაშქრებას უხანისა და ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ. პეკინი ფიქრობს, რომ ყოველგვარი პოლიტიკური საკითხების განხილვა უნდა გადაიდოს, **სანამ გამარჯვება არ იქნება მოპოებული უხანის ჯარებზე და აგრეთვე ფინ-იუ-სიანის ჯარებზე.** (ადს).

მოლაპარაკება პეკინსა და სამხრეთს შორის

პეკინი, 21 ივლისი. პრესის ცნობით, დელეგატებმა ნანკინიდან და შანხაიდან პეკინთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის წამოაყენეს შემდეგი პირობები: ჩრდილოეთის არმიებს და ჯარების უფროსებს ისეთივე სახელწოდება ეწოდება, როგორიც ნანკინის და შანხაის არმიებს; ცენტრალური სამმართველო ნანკინის მსგავსად ეწყობა; სამხედრო საქმეთა კომიტეტის მეთაურად ინიშნება ჩან-სიუე-ლიანი პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მეთაურად—ლი-ჩინ-ფანი, ენსი-შანის წარმომადგენელი; მუკდენის არმიები მოგერიებითი ოპერაციებს აწარმოებენ ხენანის პროვინციის ტერიტორიაზე; ჩახარის ოლქი შანხაის მთავრობის კონტროლს ექვემდებარება; ბრძოლა უხანის კომუნისტებთან ეკისრება ნანკინის მთავრობას; უ-პეი-ფუს არმიის ნაშთების მოსპობა ყველა დანარჩენი სამხედრო ოპერაციების დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს.

ადგილობრივ ჩინურ წრეებში სკეპტიკურად აფასებენ მშვიდობიანი მოლაპარაკების პერსპექტივებს პეკინსა და სამხრეთს შორის.

ფინეთის საგარეო სამინისტრო უარყოფს

ჰელსინგფორსი, 22 ივლისი. ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს ესტონური გაზეთის—„რახვასონას" მიერ გამოქვეყნებულ ცნობას ფინეთსა და საბჭოთა კავშირის შორის მოლაპარაკებათა განახლების შესახებ, საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად.

სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ ჯერჯერობით არც ერთ მხარეს არ გამოუჩენია ინიციატივა აღნიშნულ მოლაპარკებათა განახლებისათვის. (ადს).

სამეცნიერო მუშაკების ხელფასი

მოსკოვი, 21 ივლისი. რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭომ შეადგინა ხარჯთაღრიცხვა მომავალ 1927—28 საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამეცნიერო მუშაკებისათვის ხელფასის დასარიგებლად ხელფასის საერთო ჯამი უდრის 8 მილიონ მანეთს.

ხელფასი ემატებათ—პროფესორებს, დოცენტებს, ასისტენტებს, სამეცნიერო თანამშრომლებს, მუშფაკების და საბჭ. და პარტიულ სკოლების მასწავლებლებს, ჯანსახკომის დაწესებულებათა ასისტენტებს, ექიმებს, ლაბორანტებს; ბეითლებს და სხ. (ადს).

სემარი კვლავ დაპატიმრებულია

პარიზი. 22 ივლისი. დღეს დილით დაპატიმრებულია სემარი, რომელიც ეს არის ეხლა გამოვიდა „სანტეს" ციხიდან .(ადს).

მიტინგები ვენის ამბების გამო

ბერლინი, 22 ივლისი. შესდგა კომპარტიის მიერ მოწყობილი ოთხი დიდი მასიური მიტინგი ვენის ამბებთან დაკავშირებით. მიტინგებზე ამოირჩიეს დელეგაციები, რომლებმაც უნდა მიმართონ ბერლინში მყოფ ავსტრიის მისიას მოთხოვნილებით—დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს პიკი. (ადს).

სტუდენტების დაპატიმრება

პეკინი, 22 ივლისი. „ნოდჩაინა სტანდარტი" იუწყება, რომ პეკინის დამცველმა რაზმმა გადასცა პოლიციის სამმართველოს 48 დაპატიმრებული სტუდენტი და მათ შორის ხუთი სტუდენტი ქალი.

გარდა ამისა კიდევ დაპატიმრებულია 28 სტუდენტი. (ადს).

საფრანგეთის პოლიცია მოქმედებს

შანხაი, 22 ივლისი. დღეს დილას საფრანგეთის პოლიციამ გაჩხრიკა ხანკოუდან ჩამოსული „იზვესტიას" სპეციალური კორესპონდენტი ვარვარსკი, რომელიც დაბინავდა სასტუმროში საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე. პოლიციამ ჩამოართვა მას ყველა საბუთები, წერილები; წერილების შავები; გასაგზავნათ დამზადებული კორესპონდეციები და სხვა. (ადს).

სამხედრო მოქმედება ნანკინის და უხანს შორის

შანხაი, 22 ივლისი. იტყობინებიან, რომ სამხედრო მოქმედების დაწყებას ნანკინის და უხანის ჯარებს შორის, მოელიან ყოველ საათს. ნანკინის ყველა ჯარები დაბანაკებულია ციანციუნიდან 70 კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. იქვე მიიმართება დღეს, როგორც ხმები დადის, მესამე არმიაც. ციანციუნიდან 15 კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთის მიმართულებით სდგას 15.000 უხანის ჯარი. საგრძნობი ძალები გზაში იმყოფებიან. ჩან კაი-შის წინააღმდეგ შეტევაში მონაწილეობას მიიღებს 50.000 კაცი. შეტაკებას მოელიან ანცონის მიდამოებში. იაპონიის სანაოსნო საზოგადოებებმა მიმართეს იაპონიის ჯარებს თხოვნით, იმის შესახებ, რომ ჯარებმა გამოაყოლონ იაპონიის გემებს ციუციანთან დამცველი რაზმები. (ადს).

სოლიდარობის დემონსტრაცია

ბერლინი, 22 ივლისი. გერმანიის ყველა დიდ ქალაქებში მუშებმა, გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების და სოციალ-დემოკრატების საბოტაჟის მიუხედავად, შესწყვიტეს წარმოებებში მუშაობა 15 წუთით, ვენის აჯანყებაში დაღუპულთა დასაფლავების დროს. ბევრ ალაგას მოეწყო სოლიდარობის დემონსტრაცია. (ადს).

ავსტრიის კომპარტიის ცეკას მდივნის დაპატიმრება

ვენა, 22 ივლისი. გუშინ გაჩხრიკეს კომპარტიის ცეკას შენობა დაპატიმრებულია კომპარტიის ცეკას მდივანი კომპლენიკი, იმის გამო, რომ მან ვენაში მომხდარ ამბების დროს დაღუპულთა დაკრძალვაზე წარმოსთქვა სიტყვა. კომპლენიკს წარდგენილი აქვს ბრალდება, რომ იგი ხალხს აქეზებდა აჯანყებისაკენ. „როტე ფანეს", რომელშიაც გამოქვეყნებულია კომპლენიკის სიტყვა, კონფისკაცია მოუხდინეს. „როტე ფანეს" დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულია განცხადება, რომ მთელი პარტია სოლიდარობას უცხადებს კომპლენიკის სიტყვას. (ადს).

პიკი გადასახლებულ იქნება ვენიდან

ვენა, 22 ივლისი. დადგენილია, რომ დაპატიმრებული პიკი დაჯარიმებულ და გადასახლებულ იქნას ავსტრიის საზღვრებიდან. (ადს).

პოლიცია იკვლევს ამბებს

ვენა, 22 ივლისი. მომხდარი ამბების გამოკვლევისათვის დანიშნულია სპეციალური საგამომძიებლო კომისია პოლიციის ყველა ორგანოების წარმომადგენელთა შემადგენლობით. (ადს).

პოლიციელების დაკრძალვაზე

ვენა, 22 ივლისი. 4 პოლიციელის დაკრძალვაზე პრეზიდენტთან, პრემიერ ზეიპელთან და კაბინეტის სხვა წევრებთან ერთად დაესწრო აგრეთვე დელეგაცია ვენის მუნიციპალიტეტიდან. გვირგვინებს შორის იყო გვირგვინი მუნიციპალიტეტიდან წარწერით: „ქალაქ ვენიდან" მთავრობის გვირგვინზე იყო წარწერა: „მოვალეობის ერთგულად შესრულების მსხვერპლთ". პოლიციის უფროს შობერის გვირგვინზე იყო ასეთი წარწერა: „მადლობა თქვენი ერთგულებისათვის". (ადს).

სამხედრო წესები რუმინეთში

სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი

ვენა, 21 ივლისი. რუმინეთის მეფე ფერდინანდის სიკვდილის გამო, უნდა გადაწყდეს საკითხი რუმინეთის ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. შეიკრიბა სარეგენტო საბჭო, რომელიც შესდგება მეფის მეორე შვილისა, პრემიერ ბრატიანუსა და ბუქარესტის პატრიარქისაგან. ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ სარეგენტო საბჭო წარმოადგენს იარაღს ლიბერალების ხელში. (ადს).

სამხედრო წესები

ვენა, 21 ივლისი. მთელ რუმინეთში გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა. **კრებები აკრძალულია, შემოღებულია სასტიკი ცენზურა.**

გავრცელდა ხმები, რომ მთავრობამ გასცა განკარგულება საზღვრების დაკეტვის შესახებ. **კერძო პირებს აეკრძალათ ტელეფონითა და ტელეგრაფით სარგებლობა.**

უკანასკნელ დღეებში პრემიერმა ბრატიანუმ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები მეფის სიკვდილის შემთხვევისათვის. სასწრაფოდ იქნა დამტკიცებული ახალი პარლამენტის დეპუტატების მანდატები, რადგან ახალი მოწვევის პარლამენტის გახსნამდე, თუ ყველა საჭირო ფორმალობა არ იქნებოდა ჩატარებული მეფის სიკვდილამდე, მაშინ, კონსტიტუციის ძალით, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი უნდა გადაეჭრა ძველ პარლამენტს, რომელშიაც უმრავლესობა ეკუთვნოდა ავერესკუს პარტიას. (ადს).

მეფე მიხეილ

ვენა, 21 ივლისი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობებით, რუმინეთის პარლამენტმა რუმინეთის მეფედ გამოაცხადა 5 წლის მიხეილი. სარეგენტო საბჭომ ფიცი მისცა ახალ მეფეს. (ადს).

რუმინეთის მეფის არჩევა

ვენა, 21 ივლისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინეთის მეფედ მიხეილის არჩევის ცერემონიის დროს პარლამენტი ალყა შემორტყმული იყო გაძლიერებული პოლიციით. **მთავრობამ ტელეგრაფით შეატყობინა პარიზში მყოფ რუმინეთის მეფის ყოფ. მემკვიდრე პრინც კაროლს მეფის გარდაცვალების შესახებ და ერთდროულად აცნობა, რომ კანონი მისთვის, ტახტის ჩამორთმევის შესახებ ძალაში რჩება და მისი ყოველგვარი ცდა დაბრუნდეს რუმინეთში ძალით იქნება ალკვეთილი.** ბრატიანუს მთავრობამ სარეგენტო საბჭოს ფორმალური სახის განცხადება მისცა გადადგომის შესახებ. გადადგომა უარყოფილ იქნა.

სამხედრო ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სამხედრო წესები ბუქარესტში ძალაში რჩება. „ამიტომ—ნათქვამია ბრძანებაში ცრუ ხმების გავრცელება და ქუჩებში გროვად შეკრება სასტიკად აკრძალულია. ყველა გაზეთები გამოსვლამდი უნდა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს".

ავერესკუს ორგანო „ინდრეპტარეა" მრავალი თეთრი ადგილებით გამოვიდა. „ადევერულგი" აქვეყნებს იორგის განცხადებას, რომელშიც ის ითხოვს სარეგენტო საბჭოს საკითხის გადასინჯვას.

გლეხთა ნაციონალური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი პარტიის სარეგენტო საბჭოსთან დამოკიდებულების შესახებ. პარტიამ გადასწყვიტა შეეფიცოს სარეგენტო საბჭოს.

ხმების მიხედვით, მთავრობას განზრახული აქვს გლეხთა ნაციონალურ პარტიასთან მოლაპარაკების განახლება.

საზოგადოებრივი დაწესებულებანი და მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმოებანი ჯარების მიერ არის დაკავებული საზღვრებზე კონტროლი გაძლიერებულია. უცხოეთის გაზეთებს რუმინეთში არ უშვებენ. (ადს).

„ლენინის უბანი"

ლონდონი, 21 ივლისი. ბეტნალგრინის (ლონდონის განაპირა უბანი) მუნიციპალურმა საბჭომ, სადაც უმრავლესობა მუშათა პარტიას ეკუთვნის, 14 ხმით, 10 წინააღმდეგ, მიიღო საამშენებლო კომისიის წინადადება იმის შესახებ, რომ **ახლად აშენებულ რაიონისათვის დაერქმიათ „ლენინის უბანი".**

ამ დადგენილების წინააღმდეგ თავისი პროტესტი განაცხადა მუნიციპალური საბჭოში კონსერვატიულ პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ. (ადს).

რუმინეთ-ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება

ანგორა, 21 ივლისი. ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა შესწყვიტოს რუმინეთის მიმართ იმ ეკონომიური შეთანხმების მოქმედება, რომელიც დადებულ იქნა ლოზანის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. რუმინეთმა, მიუხედავად ვადის გასვლისა, არ განუცხადა ოსმალეთის მთავრობას სურვილი ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

საბერძნეთის მთავრობამ მიმართა ოსმალეთის მთავრობას წინადადებით დაიწყონ მოლაპარაკება ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. (ადს)

საგარეო ვაჭრობის კონიუნქტურა

მოსკოვი, 22 ივლისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება საგარეო ვაჭრობის კონიუნქტურის შესახებ მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ სამ კვარტალში.

მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა მიმდინარე წელში ხელშემწყობი იყო ჩვენი საგარეო ვაჭრობის გაფართოვებისათვის. საოპერაციო წლის პირველ ცხრა თვეში 1926-27 წლის საექსპორტო გეგმა შესრულებულია თითქმის 76 პროც.-ით. სამრეწველო პროდუქტები გაზიდულია 87.733.000 ფუთი. მოხსენება სუსტად სთვლის სატყეო მასალების გაზიდვას, რომელიც წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ 2,5 პროც.-ით, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნილება სატყეო მასალებზე და კარგი იყო გასაღების პირობებიც.

წლიური საიმპორტო გეგმა პირველ 9 თვეში შესრულებულია 73 პროც.-ით. შემოზიდული საქონლის ღირებულება გამოიხატა 490 მილიონ მანეთში. აქედან შემოზიდულია 100 მილ. მანეთის მოწყობილობა. მოწყობილობის შემოზიდვის გეგმა შესრულებულია 100 პროც.-ით და აჭარბებს წარსულ წლის შემოზიდვას 67 პროც.-ით.

საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა პირველ 9 თვეში გამოიხატა 1 მილიარდ მანეთში (ადს).

ქართველ მენშევიკების გასამართლება ხარკოვში

21 ივლისის საღამოს სხდომა
(დასასრული)

საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. პოპოვი ეკითხება ანჯაფარიძეს—ხომ არ ახსოვს რა დირექტივები მისცა ჟორდანიამ თავის პარტიას ევროპაში გაქცევის წინ და გამოაცხადა თუ არა საქართველოს რევკომმა მენშევიკების ამნისტია.

რაც შეეხება ჟორდანიას დირექტივებს, ანჯაფარიძეს, თურმე „არაფერი ახსოვს", „დავიწყებია". ამნისტია კი, მისი სიტყვით, არ გამოუცხადებიათ.

თავისი კითხვების დასასრულს, რამაც ბევრი მწარე ოფლი ადინა არა მარტო ანჯაფარიძეს, არამედ აგრეთვე მის მეგობრებსაც საბრალმდებლო სკამზე,—ამხ. პოპოვი სთხოვს სასამართლოს დაერთოს საბრალმდებლო ოქმს განაჩენი საქ. პარიტეტული კომიტეტის წევრების საქმეზე, რადგან ამ განაჩენის პოლიტიკური ნაწილი თვალსაჩინოდ ასურათხატებს მენშევიკების მთელ მოღალატურ მუშაობას აგვისტოს ამბებამდე, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მენშევიკები საქართველოში აგროვებდნენ სამხედრო ხასიათის საიდუმლო ცნობებს და გზავნიდნენ უცხოეთში.

პოპოვის მოსწრებული, საქმიანი კითხვები დიდი ინტერესს იწვევენ დარბაზში.

ანჯაფარიძე სულ მოიკუნტა სკამზე, თავდახრილი ზის და თითქო სურს ამრიგად დაიფაროს თავი იმ განმანადგურებელ ფაქტებიდან, რომლებსაც აუჩქარებლად და შეუბრალებლად ესვრის ბრალმდებელი, რომელმაც მენშევიკურ ბატონობის ყველა მხარეების არაჩვეულებრივი ცოდნა გამოიჩინა.

ამით თავდება მესამე სხდომა.

22 ივლისის დილის სხდომა
(მეოთხე სხდომა)

ბრალდებულთა დაუსრულებელი ტყუილი
(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ანჯაფარიძე „ემზადება"

ხარკოვი, 22 აგვისტო. გრძელდება ანჯაფარიძის დაკითხვა. ღამის განმავლობაში თითქო ცვლილება მოხდა ბრალდებულში. მას დაავიწყდა (თუ ცდილობს დაივიწყოს) თავისი გუშინდელი სკანდალური მარცხი (როცა ვერ მოახერხა ვერც ერთი თავისი სიცრუის გასაღება) და წელში გაიშართა.

როგორც სჩანს განსაკუთრებით მოემზადა დღევანდელი დღისათვის, წინასწარ მოიფიქრა, თუ რა კითხვების მიცემა შეუძლიათ მისთვის და როგორ უპასუხოს. მოიტანა მთელი გროვა ამონაჭრები საბჭოთა გაზეთებიდან. ეტყობა ემზადება გააქარწყლოს შთაბეჭდილება გუშინდელი დღის, როცა გამომწყვდეულ თაგვს ემსგავსებოდა.

უსირცხვილობის საზღვართან

უსმენ ამ გაბანდიტებულ „სოციალისტს" და ყურს არ უჯერი: სიზმარია თუ ცხადი?—მას ყოფნის უსირცხვილობა, რომ ბრალდების შეკითხვებზე გლეხთა აჯანყებების შესახებ მენშევიკების წინააღმდეგ განაცხადოს, რომ გლეხთა ამ აჯანყებებს საქართველოში ჰქონდათ **მონარქისტული ხასიათი, რომ გლეხები მოითხოვდენ მეფეს.**

აღშფოთებული პოპოვი უცხადებს სასამართლოს, რომ ის სასტიკ, კატეგორიულ პროტესტს აცხადებს მენშევიკ ანჯაფარიძის უსირცხვილო, თავხედური ცილისწამების წინააღმდეგ საქართველოს გლეხობის მიმართ, რომელსაც ათეული წლების სახელოვანი რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია აქვს.

უნებურად ვწითლდები, როცა ჯაშუშათ ქცეული „სოციალისტი" მონარქისტათ, მეფის მოტრფიალეთ ხატავს საქართველოს იმ რევოლიუციონურ გლეხობას, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მუშათა კლასთან ერთად ბრმად მიჰყვებოდა მენშევიკურ პარტიას. ვფიქრობ: ნუთუ შეიძლება ასე გაკრეტინება, ნუთუ შეიძლება უსირცხვილობის ასეთ საზღვრამდე მისვლა?

მენშევიკური ჯამბაზობა

მაგრამ თურმე ჯერ სადაა! ჯერ კიდევ ადრე ყოფილა გაკვირვება! ჯერ კიდევ არ ამოწურულა მენშევიკური ეკვილიბრისტიკის ნომრები.

პოპოვი ეკითხება ანჯაფარიძეს, შეიცვალა თუ არა აჯანყების ტაქტიკა? აქვს თუ არა აგვისტოს ამბების შემდეგ ადგილი უთანხმოებას მენშევიკებს შორის (პოპოვს მხედველობაში აქვს დისკუსია მენშევიკების პარიზის ბიუროში)?

და სწორეთ აქ იჩენს თავს მენშევიკური პარტიის მთელი გახრწნა, მთელი მათი ავანტიურისტული ბუნება.

ანჯაფარიძე ამართლებს აგვისტოს აჯანყებას, მაგრამ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ამ აჯანყებამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

— „ახლა კი,—ფარისევლურად აცხადებს ანჯაფარიძე,—ჩვენი პარტია სდგას ათი აპრილის რეზოლიუციის პლატფორმაზეო".

როგორც ვიცით, 1922 წ. 10 აპრილს სახ. ოპერის შენობაში შემდგარმა კრებამ მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზე ხელის აღების შესახებ.

ხუთ წელიწადზე მეტმა, რამაც განვლო ამ რეზოლიუციის მიღების დღიდან, საქართველოს მშრომელ ხალხს და საქართველოს საბჭოთა მთავრობას არა ერთი და ორი საბუთი მისცა იმისი, რომ მენშევიკური პარტიის ზედა-ფენებისათვის ეს რეზოლიუცია მხოლოდ ნაგლეჯი ქაღალდი იყო, რომ მათ არასოდეს აზრადაც არ მოსვლიათ ხელის აღება საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზე. კაპიტონ ანჯაფარიძე თითქო ვერ გრძნობს, რომ 10 აპრილის პლატფორმაზე მდგომ კაცს არაფრად დასჭირდებოდა საქართველოში ბათომით თავისუფლად შემოსვლის მაგიერ მალულად, ბნელ, წვიმიან ღამეში გადმოპარვა საბჭოთა უკრაინის საზღვარზე, თანამგზავრად პოლონეთის ჯაშუშის წამოყვანა და კიეველ მიკიტნებთან მალვა.

მაგრამ ანჯაფარიძეებისათვის განა ლოღიკა და ფაქტები არსებობენ?

ტყუილი, ტყუილი, დაუსრულებელი ტყუილი.

ხალხს, რომელმაც 1924 წ. ავანტიურა მოაწყო, რომელმაც ვერაფერი ვერ ისწავლა ამ სისხლიანი ავანტიურიდან, რომელიც ამის შემდეგაც განაგრძობდა მზადებას მორიგ ავანტიურისათვის—ასეთ ხალხს ყოფნის თავხედობა განაცხადოს, რომ ისინი „დგანან 10 აპრილის რეზოლიუციაზე", ე. ი. არა აქვთ განზრახვა შეიარაღებული ბრძოლა აწარმოონ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ანჯაფარიძეს კაუცკი გამოადგა

პოპოვი ირონიულად ეკითხება ანჯაფარიძეს—რა გზით აპირებდენ მენშევიკები თავისი მიზანის მიღწევას—საქართველოს „განთავისუფლებას", აგვისტოს აჯანყების შემდეგ.

ანჯაფარიძეს როგორც სჩანს, გულმოდგინედ წაუკითხავს კაუცკის უკანასკნელი „ათი მცნება", რომელიც, სხვათა შორის, შეიცავს იმ აზრს, რომ „ყველა დიქტატურები—წითელი იქნება ეს თუ შავი,—განწირული არიან, რომ შავ დიქტატურებს უკვე ელება ბოლო და მათ ადგილს ჩქარა დაიჭერს მუშათა (იგულისხმება მენშევიკური,—ა. ჟ.) მთავრობები", და რომ „ასეთივე ბედი მოელის წითელ დიქტატურასაცო" და ცდილობს კაუცკის ეს უკანასკნელი „აღმოჩენა" დაუდგას მიჯნათ მენშევიკების პოლიტიკას აგვისტოს შემდეგ.

მთავარი ბრალდებული კაპიტონ ანჯაფარიძე

ანჯაფარიძეს ამით სურს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქო სულ ერთია—საბჭოთა მთავრობა თავისით დაეცემა და მენშევიკებს არ ესაჭიროებათ მასთან შეიარაღებული ბრძოლა.

ანჯაფარიძე „იცავს" საბჭოებს

ანჯაფარიძე უფრო შორს მიდის, იგი არა თუ „სდგას" 10 აპრილის რეზოლიუციაზე [illegible] იგი კიდეც „დაიცვას" საბჭოთა ხელისუფლება.

— „თუ იმპერიალისტები თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს, მენშევიკები საბჭოების მხარეზე იქნებიან",—აცხადებს იგი.

მაგრამ იმპერიალისტებს ხომ არასოდეს არ შეუწყვეტიათ თავდასხმა საბჭოთა კავშირზე? ინგლისი ხომ მუდამ დღე მთლიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნის ცდაშია? სად არიან მენშევიკები?ვისთან? საბჭოების მხარეზე?—განა ანჯაფარიძეს გარდა რომელიმე მენშევიკი გაბედავს ამის თქმას?

ვინ არის მთელი ანტი-საბჭოთა კამპანიის ტონის მიმცემი?—განა არა მენშევიკები? (მარტო „ფორვერტსის" კამპანია რათ ღირს! ა. ჟ.). განა მენშევიკები ყველგან იმპერიალისტების მხარეზე არ გამოდიან საბჭოების წინააღმდეგ?

ისევ ხაფანგში

ანჯაფარიძის სიტყვები მხოლოდ ეფექტის მოსახდენათ იყო ნათქვამი და ბრალმდებელიც ნიღაბს ხდის მის ფარისევლობას.

— მაშ თქვენც ასეთი დავალებებით გამოემგზავრეთ საქართველოში,—დაცინვით ეკითხება იგი.

ანჯაფარიძე გრძნობს, რომ შესტოპა, რომ კავშირი პოლონეთის ოხრანკასთან, არხი-ჯაშუშ პენკოვთან, ნოეს სადირექტივო წერილები, რომლებმაც ქარცივაძესთან ერთად ჩეკაში ამოჰყო თავი,—ყველაფერი ეს არაფრათ ეგუება მენშევიკების იმ „მშვიდობიან" განზრახვებს, რომელიც მათ ვითომ ასულდგმულებს ანჯაფარიძის სიტყვით.

ბრალდებულს დავთარი ებნევა. მეორდება გუშინდელი ისტორია. თითქოს წელში გატყდაო. ამაოთ ცდილობს გამოძვრეს იმ სიცრუის ქსელიდან, რომელიც ოვითონ გააბა და რომელშიც თავიანფეხებიანა გაიხლართა.

ურყევი საბუთები

პოპოვი, იმის საილიუსტრაციოდ, რომ ანჯაფარიძის სიტყვები ცარიელი ტყუილია და მეტი არაფერი, უჩვენებს სასამართლოს „კომუნისტი"-ს იმ ნომრებს, რომლებშიც მოყვანილია ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილების ფაქსიმილეები და სთხოვს სასამართლოს დაურთოს საქმეს: ჟორდანიას უკანასკნელი წერილები მენშევიკურ ცეკასადმი, ჟორდანია-რამიშვილის წერილები, რომლებიც აღმოაჩინა ქარცივაძეს და „პრომეთეს" ოთხი ნომერი. ამ დოკუმენტებში ნათლად არის გამორკვეული მენშევიკების წარსული და ახლანდელი ნამდვილი ტაქტიკა. ეს დოკუმენტები ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგებიან ანჯაფარიძის ცრუ განცხადებას, თითქო მენშევიკები ახლა დგანან 1922 წ. 10 აპრილის რეზოლიუციის პლატფორმაზე.

პოპოვის მიერ წარდგენილი დოკუმენტები გასაცნობათ გადაეცა დამცველებს და ბრალდებულებს, რომლებიც დიდის ყურადღებით ათვალიერებენ მათ.

ანჯაფარიძე გონს ვერ მოსულა მას შემდეგ, რაც პოპოვმა სასამართლოს უჩვენა ჩვენი „კომუნისტი" ჟორდანიას წერილი ფაქსიმილეთი.—გრძნობს, რომ აქ ველარ გასჭრის თქმა იმის, რომ ბრალმდებლის დოკუმენტი საეჭვო ხასიათის არის. ეს დოკუმენტი როდი არის შაფირის წიგნი „კერძო პირის და არა ოფიციალური, სახელმწიფო გამოცემა", როგორც დამცველებმა განაცხადეს, არამედ ნამდვილი წერილი საქართველოდან გადახვეწილი „დემოკრატიული" „მთავრობის" მეთაურის, ანჯაფარიძის პირადი „შეფის", რომლის დავალებით მან „ზღვა და ხმელი" გადალახა, რომ... უკრაინის „გეპეუში" ამოეყო თავი.

ლმობიერი სასამართლო

ბრალდებულ ფეოდოროვის დამცველი გამოდის რიგს გარეშე განცხადებით —სთხოვს სასამართლოს ნება მისცეს ბრალდებულს წავიდეს საავათმყოფოში ექიმთან.

სასამართლო აკმაყოფილებს დამცველის შუამდგომლობას.

პოპოვის მიერ წარდგენილ დოკუმენტების ზერელეთ გაცნობის შემდეგ დამცველები და ბრალდებულები სთხოვენ სასამართლოს შესწყვიტონ სხდომა ამ დოკუმენტების უფრო ყურადღებით გასაცნობათ.

სასამართლო ადგენს დაურთოს საქმეს ყველა დოკუმენტები როგორც ნივთიერი საბუთი, გარდა „პრომეთესი", რომელიც ფრანგულ ენაზეა და არ არის თარგმნილი. სასამართლო ადგენს აგრეთვე დააკმაყოფილოს დამცველთა შუამდგომლობა და მათთვის და ბრალდებულებისათვის ბრალმდებლის მიერ წარდგენილ მასალებთან გაცნობის შესაძლებლობის მისაცემად შესწყვიტოს სხდომა საღამოს 7 საათამდე და მეორე დღეს სხდომა დილის 10 საათის ნაცვლად მოიწვიოს პირველი საათისათვის.

სასამართლო ყოველმხრივ ცდილობს დააკმაყოფილოს ბრალდებულების და მათი დამცველების შუამდგომლობანი.

რას იტყვიან ისინი?

მაგრამ საეჭვოა, რომ ეს სასარგებლო აღმოჩნდეს ბრალდებულებისათვის. ახლა მათ აქვთ საშუალება თავი იმართლონ „არ ცოდნით", „დავიწყებით" და სხვ., მაგრამ რას იტყვიან ისინი, როცა ბრალმდებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები გააცოცხლებენ მათ მეხსიერებაში მენშევიკური ისტორიას ვითომ „მივიწყებულ" ფაქტებს, როცა ისინი თვალსაჩინოდ დარწმუნდებიან ამ დოკუმენტების უდაობაში?"

ანჯაფარიძე თითქოს უკვე წინასწარ გრძნობს, რომ ბრალდებულებმა თავისი შუამდგომლობით უკვე გზა მოიჭრეს უკან დახევისაკენ, რომ ამიერიდან აღარ შეიძლება ხელაღებით ყველაფრის უარყოფაზე დაყრდნობა და კვლავ გუშინდებურად წელში იხრება, თავჩაქინდრულია.

აკ. ჟუონია.

22 ივლისის საღამოს სხდომა

რას ღაღადებენ საბუთები
(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 22 ივლისი. გრძელდება მოწმეების დაკითხვა. იმის დასამტკიცებლათ, რომ მენშევიკები აგვისტოს აჯანყების შემდეგ განაგრძობენ აჯანყების ტაქტიკას, ამხ. პოპოვს მოყავს ადგილები ნოე ჟორდანიას წიგნიდან „რა მოხდა", სადაც ნათქვამია, რომ „აჯანყება მოწყობილი იყო პოლიტიკური მხრივ არა ტეხნიკურათ". აქედან დასკვნა—პოლიტიკური ხაზის გაგრძელება და ტეხნიკური მხარის გაძლიერება. ქართველ ხალხს კვლავ მოუხდება იარაღის ხელში აღება. საქართველო მარტო არ არის რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენთან ერთად არის მთელი მსოფლიო".

შემდეგ ამხ. პოპოვი მთლიანად აქვეყნებს ნოე ჟორდანიას წერილს ქართველი მენშევიკების ცეკასადმი. 1926 წლის იანვრით დათარიღებულ წერილში ნოე ჟორდანია ეხება ქართველ მენშევიკურ ემიგრაციაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობის პოზიციებს და აფრთხილებს ამხანაგებს, რომ ერიდონ ყოველგვარ დისკუსიებს, რაც დამღუპველია პარტიისათვის.

— ეს ციტატები, ამბობს ამხ. პოპოვი,—მოწმობს იმას, რომ ანჯაფარიძის განცხადება საბჭოთა ხელისუფლებასთან მენშევიკების კულტურულ-ეკონომიურ დარგში თანამშრომლობის შესახებ, ისევე როგორც მისი ყველა წინანდელი განცხადებები, სინამდვილეს არ შეეფერება.

მენშევიკების საზღვარ-გარეთელ ბიუროს დირექტივა

შემდეგ ამხ. პოპოვი აქვეყნებს, მენშევიკების საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ 1926 წ. 14 მარტს არალეგალურ ცეკასთვის გამოგზავნილ წერილს. ამ წერილში დასცინიან არალეგალურად, დაუკვირებლათ მომუშავე მენშევიკებს, რომლებიც მთლიანად უვარდებიან ხელში საგანგებო კომისიას. კერძოთ, ამ წერილში ლაპარაკია ანჯაფარიძეზედაც, რომელიც კიევში ჩასვლისთანავე დაენდო ქართველ პროვოკატორს.

წერილი აფრთხილებს ამხანაგებს შემდეგში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ არალეგალურ მუშაობაში. შემდეგ ლაპარაკია კინკლაობაზე ქართულ ემიგრაციაში. განსაკუთრებით ილაშქრებენ ვილაც ვალიშვილის წინააღმდეგ.

შემდეგ ლაპარაკია ევროპის სახელმწიფოებისა და ამერიკის დახმარებაზე. არის ცნობა, რომ ეს სახელმწიფოები დიდი დახმარების იმედს იძლევიან. გამოსთქვამენ უკმაყოფილებას პარიტეტული კომიტეტით, რომელმაც წააგო ბრძოლები. მაგრამ წაგებულმა აჯანყებამ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი საქართველოს. წერილში მოთავსებულია ცნობა ათასი ლირის გაგზავნის შესახებ. შემდეგ საზღვარ-გარეთელი ბიურო მოითხოვს სისტემატიურად ცნობების გზავნას ევროპაში საქართველოს, მუშების, ინტელიგენციის, გლეხობის მდგომარეობის, საბჭოთა ხელისუფლებასთან მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ, ცნობებს ჩეკასი, მისი მოსამსახურეების შესახებ, ვინ ინახავს ეკლესიას, როგორია სამღვდელოების მდგომარეობა. წერილს ხელს აწერს ჟორდანია.

ბრალდებულებს ენა ებმებათ

პოპოვი ეკითხება ანჯაფარიძეს: „რანაირად მიიღეთ საფრანგეთში პოლონეთის ვიზა".

ანჯაფარიძე უპასუხებს: „ვიზა მივიღე პოლონელი მენშევიკების გოლუბკოს საშუალებით".

შემდეგ სიტყვას იღებს სახელმწიფო ბრალმდებელი პრიგოვი.

ანჯაფარიძე ზის სასოწარკვეთილი სახით და ელის ახალ მოუგერიებელ პირდაპირ სისხლის სამართლის ხასიათის კითხვებს.

— „როგორ მოხდა, რომ თქვენ, სოციალისტმა, მიმართეთ პოლონეთის შტაბს დახმარებისათვის"?—ეკითხება პრიგოვი.

—„მე არ ვარჩევ საშუალებას, ოღონდ მიზანს მივაღწიო" — საცოდავი ხმით უპასუხებს ანჯაფარიძე. ანჯაფარიძის წერილობით ჩვენებაში აღნიშნულია, რომ ის იცნობდა პენკოვს, როდესაც გამცილებლად იყვანდა მას. სასამართლოში კი ამას უარყოფს. თავჩაღუნული ანჯაფარიძე გაუბედავი ხმით აცხადებს, რომ ის იცნობდა პენკოვს, როგორც კონტრაბანდისტს და რომ მას კავშირი არ ჰქონდა პოლონეთის შტაბის ოფიცრებთან. „პარტიას ეს არ უტეხდა სახელს".—აცხადებს ანჯაფარიძე.

პრიგოვი მიმართავს შქეშვილს: „რატომ აცხადებდით თქვენ ანჯაფარიძის სიტყვით, რომ მენშევიკებისათვის სასკანდალო ამბავი იქნებოდა თქვენ, რომ გამოეაშკარავებინათ მისი კავშირი პოლონეთის დეფენზივთან".

შქეშვილი იძლევა აბნეულ პასუხებს. მას ეხმარება ანჯაფარიძე, რომელიც ყველა ცოდვებს თავზე ახვევს იმნაძეს და ზაქარიაძეს და აცხადებს, რომ სხვა საშუალება, გარდა დეფენზივის დახმარებისა, ჩვენ არ გვქვს. პოლონეთის შტაბში მე მივედი არა ჩემის ინიციატივით, არამედ პარიზიდან დავალებით. ანჯაფარიძე დამნაშავედ სცნობს თავს იმაში, რომ მას თავის წერილობით ჩვენებაში წამოსცდა ამის შესახებ. მაგრამ ამას იგი ხსნის რომელიღაც მიზნებით, რომლებსაც თითონ იგი ისახავდა. ეს მიზნები ნაწილობრივ განხორციელდა.

— რატომ მიეცით მომაკვდინებელი ჩვენება იმნაძის შესახებ, რომ მან დაგაკავშირათ შტაბთან,—ეკითხება პრიგოვი. რატომ ახასიათებთ ამგვარად იმნაძეს, თქვენ პარტიულ ამხანაგს. ანჯაფარიძე ამ კითხვით ჩიხშია მომწყვდეული იგი ვერ ნახულობს გასამართლებელ სიტყვებს და თხოულობს, რომ ნება მიეცეს მას არ უპასუხოს ამ შეკითხვაზე.

ანჯაფარიძემ წარსულ წლის 4 თებერვალს დასწერა დეკლარაცია, რომელშიაც იგი მკაცრად გმობდა საზღვარზე გადმოსვლის თავის მეთოდებს. ანჯაფარიძეს არ სურს უპასუხოს პრიგოვს, თუ რომელი მოტივებით ხელმძღვანელობდა იგი დეკლარაციის შედგენის დროს.

— მე მინდოდა ამ დეკლარაციის გამოქვეყნებით გაფრთხილებია ამხანაგები,—ჩურჩულით, მორცხვად აცხადებს ანჯაფარიძე. დეკლარაცია არ გამომიქვეყნებია და მე მას ვსთვლი გაუქმებულად,—აცხადებს ანჯაფარიძე.

მაგრამ პრიგოვი სასამართლოს უდგენს დეკლარაციას და თხოულობს, რომ იგი წაკითხულ იქნეს და საქმეს თან დაერთოს. ანჯაფარიძე შეშფოთებულია, თხოულობს სიტყვას.

მენშევიკები უკმაყოფილონი არიან მე-2 ინტერნაციონალით

სასამართლო აქვეყნებს მთელ რიგ საბუთებს, რომლებიც აღმოაჩნდათ ბრალდებულებს დაპატიმრების დროს.

პენკოვს დაპატიმრების დროს აღმოაჩნდა მენშევიკების ცეკას წერილი, რომელშიაც უკანასკნელი სწერს სხვათაშორის საზღვარგარეთელ ბიუროს: „თუ თქვენ დაპირებას შეასრულებთ და ყოველთვიურად გამოგზავნით 1000 მანეთს, ეს რამდენიმეთ გამოაკეთებს ჩვენს მდგომარეობას. იცოდეთ რომ ეს აუცილებელი პირობაა ადგილობრივ მუშაობის საწარმოებლათ „საუბედუროთ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები აჯანყებით სპეკულიაციას ეწევიან, კარიერა უნდათ გაიკეთონ იმით. რომ მონაწილეობას იღებდენ აჯანყებაში... აქაური ამხანაგები უკმაყოფილო არიან მეორე ინტერნაციონალით. გვაცნობეთ რას აკეთებს ის ჩვენთვის? რა აზრი აქვს ჩვენი წარმომადგენლის იქ ყოფნას? ამხანაგებს შორის დიდი ინდიფერენტიზმია მეორე ინტერნაციონალისადმი".

პენკოვს უნახეს უბის წიგნაკი, რომელშიდაც აღნიშნული იყო ანჯაფარიძის მიერ მიცემული მისამართები თბილისში და არალეგალურ ცეკასთან კავშირის დასაჭერათ გაწეული ხარჯები.

ჯაშუშების გალერეა

(აეროფოსტით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

მარჯვნიდან მარცხნივ: **პენკოვ-პოლოჟნი, სიმონ შქეშვილი, გალაქტიონ გოგლიჩიძე, კოლონაშვილი, კაპიტონ ანჯაფარიძე, დრობოტი.**

შემდეგ, თუმცა კიევის ქართველთა კოლონიაში არავინ იყო განსაკურნავი და არც სასამართლოს წინაშე დასაცავი, მაგრამ გოგლიჩიძე მაინც იყო ექიმად, ხოლო კოლონაშვილი ქართული კოლონიის იურისკონსულტად. ორთავეს ამისათვის ქონდა მოწმობანი. ბერდაშვილს უნახეს მენშევიკ ხუჩუას პირადი წერილი, რომელიც უკრაინაში სცხოვრობს. ხუჩუა ბერდაშვილს სწერს: „მე ძალიან არ მწყენია ჰინდენბურგის არჩევა პრეზიდენტად. საჭიროა ისეთი რამ მოხდეს, რომ შეირყეს კავშირის პოლიტიკური მდგომარეობა. შეიძლება მაშინ დავიბრუნოთ დაკარგული თავისუფლება".

მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, თუ როგორი გზებით იჭერენ კავშირს მენშევიკები ემიგრაციასთან და პროლეტარიატის როგორი მოსისხლე მტრები სხედან ეხლა ქართველ მენშევიკთა ხარკოვის პროცესის საბრალმდებლო სკამზე.

რას ამბობდა, რას ამბობს

ანჯაფარიძის დეკლარაციის გამოქვეყნებამდე სასამართლო გადის ხანმოკლე თათბირისათვის.

ანჯაფარიძე ღელავს, განუწყვეტლივ თათბირობს სხვა ბრალდებულებთან და თავის დამცველთან. სასამართლო აქვეყნებს დეკლარაციას. ამ დეკლარაციაში მოკლედ არის აღნიშნული ის დავალებანი, რომლებიც ანჯაფარიძეს მისცა ჟორდანიამ პარიზში.

დეკლარაციაში ანჯაფარიძე ამბობს: ჟორდანიამ მე გამგზავნა იმნაძესთან, რომელსაც წინასწარ აცნობეს ჩემი ჩასვლა. იმნაძემ და ზაქარიაძემ მომცეს გამყოლი. მე ვიცოდი, რომ ეს შტაბის აგენტია. ამან მე ამაღელვა. ეს სამარცხვინო ნაბიჯია პარტიისათვის. მე ამის შესახებ განვუცხადე იმნაძეს და პასუხისმგებლობა ამ სამარცხვინო ლაქისათვის, იმ შემთხვევაში თუ იგი გამოქვეყნდებოდა, დავაკისრე იმნაძეს: **მე კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომლებმაც მე გამხვიეს ამ ბინძურ, სოციალისტისათვის შეუფერებელ ისტორიაში. ზღაპარი საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ მაშინვე გაიფანტა, როცა ჩამოვედი საბჭოთა კავშირში.** მე მოუწოდებ ამხანაგებს დაუბრუნდენ ჭეშმარიტ გზას, გახდენ საბჭოთა კავშირის ღირსეული მოქალაქენი.

პოლონეთის გენშტაბის აგენტი კონსტანტინე პენკოვ - პოლოჟნი

ანჯაფარიძე აღელვებულია. იგი აცხადებს, რომ დეკლარაცია მან დასწერა იმ მიზნით, რათა გაეფრთხილებია პარიზელი ამხანაგები, რომ ისინი არ წამოსულყვენ პოლონეთის საზღვარით, ვინაიდან ეს [illegible]. ამ განცხადებას მთელი აუდიტორია აღშფოთებით შეხვდა.

[illegible] პასუხის შემდეგ ანჯაფარიძე კვლავ აცხადებს, რომ მან არ იცოდა ვისი საშუალებით უნდა გადასულიყო იგი საზღვარზე (დარბაზში სიცილია ანჯაფარიძე ჯდება და თავს ჩაქინდრავს).

პრიგოვი აძლევს შეკითხვას:—თქვენ ამბობდით, რომ დაიხმარიეთ პენკოვი, როგორც კონტრაბანდისტი, როგორც ამას წინად ჩადიოდენ რევოლიუციონერებიო,—მაშინ რით უნდა აიხსნას ის, რომ კონტრაბანდისტი პენკოვი დაისწრეთ პირველ ორგანიზაციულ სხდომაზე—ვლადიმირის მთაზე?

ანჯაფარიძე კვლავ ვერ ახერხებს პასუხის გაცემას და მას ეხმარება კოლონაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ ვლადიმირის მთაზე გამართულ თათბირზე პენკოვი იდგა მათგან 5 ნაბიჯით დაშორებით თვით ბრალდებულები კი ამ თათბირზე ლაპარაკობდენ პლიაჟზე, ამინდზე და ქალებზე. (დარბაზში ხანგრძლივი სიცილია).

პრიგოვი განაგრძობს ირონიულად:—რა მიზნისთვის წაიყვანეთ თბილისში კონტრაბანდისტი პენკოვი და რატომ დაავალეთ მას პარტიული დოკუმენტების ჩაბარება დანიშნულებისამებრ? ნუ თუ, ესეც „ჩვეულებრივი ხერხია რევოლიუციონერებისათვის"?

არამკითხე მოამბე

საქმეში ერევა ანჯაფარიძის მახლობელი თანამებრძოლი ჯაშუში პენკოვი.

მას არავინ ეკითხება, მაგრამ ის თავისით დგება და ლაპარაკობს.

— პენკოვი აცხადებს, რომ არ არის მენშევიკურ პარტიის წევრი, რომ ვლადიმირის მთაზე ლაპარაკი სწარმოებდა უმთავრესად ქართულ ენაზე და მას ამ ლაპარაკიდან ბევრი არაფერი ესმოდა, გარდა ამისა ხშირად სტოვებდა კიდეც კრებას.

შემდეგ სიტყვას იღებს ისევ კოლონაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ პენკოვის, როგორც პოლონეთის წარმომადგენლის, დასწრება მას არ გაკვირვებია, რადგან პოლონეთმა პირველმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა (ეს განცხადება დარბაზში იწვევს საერთო სიცილს).

ანჯაფარიძე მთლად დაიბნა. სიტყვების მაგიერ ტანჯული სახით უსმენს არასასიამოვნო ფაქტებს.

პრიგოვი ეკითხება პენკოვს: „ადასტურებთ თუ არა თქვენს წერილობით ჩვენებას, სადაც ლაპარაკობთ, რომ კაპიტან მეგერმა გაგაცნოთ ანჯაფარიძე სასტუმრო „როიალში" ლვოვში?"

პენკოვი უპასუხებს: „არ ვადასტურებ".

საერთოდ პენკოვი უარყოფს ყველა იმ თავის წერილობით ჩვენებებს, სადაც ლაპარაკია ანჯაფარიძის კავშირზე პოლონეთის დეფენზივთან.

პენკოვი იხდის თავის ვალს ანჯაფარიძისადმი. ისინი ყოველნაირად სცდილობენ ერთი მეორის გამოხსნას.

ბრალდებულ ანჯაფარიძის, პენკოვის, შქეშვილის, გოგლიჩიძის საწინააღმდეგო ჩვენებათა გამო სასამართლომ დაადგინა დაკითხოს ისინი ცალ-ცალკე, ერთი მეორეს დაუსწრებლად.

პრიგოვის კითხვები კვლავ ააშკარავებენ მენშევიკების უნუგეშო დაცემის სურათს, მათ განუწყვეტელ მოქმედებას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ—ბრძოლის ყოველგვარი საშუალებებით, დაწყებული აგიტაციით და გათავებული ყოვლად საძაგელი სახის ბანდიტიზმით და შპიონაჟით.

აკ. ჟუონია.

ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოსაგან

21 ივლისის საღამოს სხდომა

ხარკოვი, 22 ივლისი. უზენაეს სასამართლოს გუშინდელ საღამოს სხდომაზე საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. პოპოვის შუამდგომლობით გამოქვეყნდა ნაწყვეტები ტროცკის წიგნიდან: „იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა". ამ წიგნში ტროცკს მოჰყავს ამონაწერი „საქართველოს სახალხო გვარდიის" ყოფილი უფროსის—ჯუღელის დღიურიდან, სადაც აწერილია ოსურ სოფლების გლეხობის აჯანყების ჩაქრობა მენშევიკური მთავრობის მიერ.

მ. ამია-ს წიგნიდან „საქართველოს ჟირონდა" ამოღებულ იქნა ამონაწერები, საიდანაც სჩანს, რომ გერმანელებს გაუფრთხილებიათ საქართველოს მთავრობა იმის შესახებ, რომ გლეხებს არ გადუხდიათ მემამულეებისათვის 1917 წლის მოსავლის საიჯარო გადასახადი, რაზედაც საქართველოს მენშევიკურ მთავრობას სასწრაფოდ უპასუხნია, რომ ის შეიმუშავებს კანონს აზნაურობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ საზოგადოებრივი ბრალმდებელი ეკითხება ანჯაფარიძეს—რით აიხსნება ის, რომ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, რომელმაც მოიწვია გერმანელები ვითომდა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად, გაუგზავნა დეპეშა ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს მაშინ, როდესაც ოსმალებს უკვე აღებული ჰქონდათ საბჭოთა ბაქო.

ანჯაფარიძე, რომელიც მოყვანილ ფაქტების გამო ველარ ახერხებს მენშევიკური მთავრობის „გამართლებას", აცხადებს, რომ ასეთი დეპეშა არ გაგზავნილა. საერთოდ ანჯაფარიძეს მთელ რიგ შემთხვევებში ეჭვი შეაქვს სასამართლოს მიერ მოყვანილ ზოგიერთ საბუთების სინამდვილეში.

შემდეგ სასამართლო გადადის დენიკინელებთან საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულების საკითხის გარჩევაზე.

სასამრთლო ნათლად აშუქებს მომენტს, როდესაც ქართველი მენშევიკები დენიკინელებთან ერთად იბრძოდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ (ბრძოლები შავი ზღვის სანაპირო ადგილებში).

ანჯაფარიძე აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა არ ყოფილა კონტაქტში დენიკინელებთან. ასეთ კონტაქტს ცალკე გენერლები, მაგალითად მაზნიაშვილი, ამყარებდენ თვითნებურად. ამაზე სასამართლომ მოიყვანა მაზნიაშვილის ჩვენება, სადაც მაზნიაშვილი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ის ჯუღელთან ერთად შედიოდა მთავრობის კომისიაში, რომელიც სცდილობდა კონტაქტის დამყარებას დენიკინის არმიასთან. შემდეგ სასამართლო ნათლად ამტკიცებს, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა ხელში უგდებდა დენიკინელებს ბოლშევიკებსა და საბჭოთა მოქალაქეებს.

შემდეგ სასამართლო აქვეყნებს ტიტოვ-პოსოხოს ჩვენებას, რომელიც 1919 წლის სამხედრო არქივში ინახება. ამ ჩვენებიდან სჩანს, რომ ქართველ პოლკოვნიკს წერეთელს გადაუცია დენიკინელებისათვის კომუნისტების ერთი ჯგუფი. საქართველოს მთავრობა ეფარებოდა რა დენიკინის მიმართ პოლიტიკური ნეიტრალობის თვალთმაქცურ ფორმულას, სინამდვილეში თავის ტერიტორიაზე ინახავდა ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოქცეულ დენიკინელებს.

შემდეგ სასამართლო აქვეყნებს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის თოფურიძის საუბარს საქართველოში ჩამოსულ ამერიკული მისიის თავმჯდომარესთან ჯედსონთან. თოფურიძე არწმუნებდა ჯედსონს, რომ საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს მოკავშირე სახელმწიფოებს მათ ბრძოლაში ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

შემდეგ სასამართლო აშუქებს ერთ ეპიზოდს: საბჭოთა რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა საქართველოს შეეკრათ კავშირი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქართველოს მთავრობამ უარჰყო ეს წინადადება. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ჟორდანიამ განაცხადა:

„აღმოსავლეთის ფანატიკოსებს ჩვენ დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია".

11 საათზე დაწყებულ დილის სხდომაზე გრძელდება ანჯაფარიძის დაკითხვა.

22 ივლისის დილის სხდომა

ხარკოვი, 22 ივლისი. დღეს დილის სხდომაზე უზენაესი სასამართლო შეუდგა ქართველ მენშევიკების დღევანდელი ტაქტიკის გაშუქებას. საზოგადოებრივი ბრალმდებელი პოპოვი სთხოვს ანჯაფარიძეს უამბოს სასამართლოს რა ცვლილებები მოხდა ქართველ მენშევიკების ტაქტიკაში საბჭოთა საქართველოს მიმართ ცნობილ პარიზის დისკუსიის შემდეგ და, აგრეთვე ის; თუ რა უთანხმოებამ იჩინა თავი ამ დისკუსიის დროს. ანჯაფარიძე აცხადებს, რომ, თუმცა მისი აზრით საქართველოს კომპარტია 90 პროცენტით არის დამნაშავე 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში, მაგრამ აჯანყების მოწყობა მაინც იყო შეცდომა ქართველ მენშევიკების მხრივ. ცოტა ხნის შემდეგ ეს აჯანყების ხელმძღვანელებმაც აღიარეს.

ანჯაფარიძის სიტყვით, ქართველმა მენშევიკებმა აგვისტოს აჯანყების შემდეგ გადასწყვიტეს აღარ მიმართონ ახალ აჯანყებას. „ჩვენმა პარტიამ,—აცხადებს ანჯაფარიძე,—სამუდამოდ დაგმო აჯანყების ტაქტიკა".

პოპოვი ეკითხება: „აჯანყების მარტო საქართველოს, თუ საერთო საკავშირო მასშტაბით?". ანჯაფარიძე უპასუხებს, რომ როგორც საქართველოს, ისე საერთო საკავშირო მასშტაბით, თუმცა ამ საკითხის შესახებ არ ყოფილა კამათი ქართველ მენშევიკებს შორის პარიზში.

პოპოვი ეკითხება ანჯაფარიძეს: „აღიარებთ თუ არა თქვენ ქართველ მენშევიკების თანამშრომლობას აზერბეიჯანის, უკრაინის და სხვა ეროვნებათა რეაქციონურ ჯგუფებთან საზღვარგარეთ?".

ანჯაფარიძე აცხადებს, რომ ქართველ მენშევიკებს არ დაუსვამთ საკითხი ამ ჯგუფებთან შეთანხმებულად რაიმე აჯანყებების მოწყობის შესახებ. მაგრამ ანჯაფარიძის ჩვენებიდან სჩანს, რომ ქართველ მენშევიკებს განუხილავთ საკითხი ამ ჯგუფებთან სხვა ფორმით თანამშრომლობის შესახებ.

ამის შემდეგ საზოგადოებრივი ბრალმდებელი შუამდგომლობს უზენაეს სასამართლოს წინაშე, რათა საქმეს დაერთოს მთელი რიგი მასალები, საიდანაც სასამართლოს შეეძლება ისარგებლოს სხვა, ანჯაფარიძის ჩვენების საწინააღმდეგო ცნობებით ქართველ მენშევიკების ტაქტიკის შესახებ. კერძოდ საზოგადოებრივი ბრალმდებელი მოითხოვს, რომ საქმეს დაერთოს შემდეგი საბუთები: საქართველოს მენშევიკური პარტიისათვის ჟორდანიას მიერ 1926 წლის იანვარს და იმავე წლის 14 მარტს გაგზავნილი წერილები, სადაც ჟორდანია სწერს ქართველ მენშევიკების ტაქტიკაზე; ჟორდანიას და რამიშვილის 1917 წლის მარტის წერილების ასლები და, აგრეთვე, ქართველ მენშევიკთა ყრილობის რეზოლიუციების პროექტები, რომლებიც ჩამოერთვა საქართველოს ყოფილ მენშევიკურ მთავრობის აგენტს ქარცივაძეს მისი შეპყრობის დროს ბათომში.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი მოითხოვს, აგრეთვე, რომ საქმეს დაერთოს რამდენიმე ნომერი ჟურნალ „პრომეთესი", რომელსაც სცემს საზღვარგარეთ კავკასიის განთავისუფლების კომიტეტი.

უზენაესი სასამართლო აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ბრალმდებლის შუამდგომლობას ყველა ამ მასალების საქმესთან დართვის შესახებ, გარდა ჟურნალ „პრომეთესი", რადგან ის ფრანგულ ენაზე გამოდის, ხოლო სასამართლოს არა აქვს ფორმალურად შემოწმებული მისი რუსული თარგმანი.

სასამართლო აკმაყოფილებს დამცველი მხარის შუამდგომლობას იმის შესახებ, რათა ბრალდებულებს მიეცეთ დრო საქმესთან დართულ ახალ დოკუმენტების გასაცნობად, რის შემდეგაც სხდომა საღამომდე შეწყდა.

პარტიული ცხოვრება

პარტგანათლების შედეგები სოფლად

მაისის პირველ რიცხვებში დამთავრდა სოფლად სასწავლო წელი. სამაზრო კომიტეტების საგიტ.-ს პროპ. განყოფილებებმა ადგილობრივად ჩაატარეს სოფლის მოძრავ და სტაციონალურ პოლიტ-ცოდნის სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი გასული მუშაობის აღსარიცხავად, რის შემდეგ მაზრებიდან და ავტონ. რესპუბლიკებიდან ცეკას საგ.-საპროპ განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა წლიური მუშაობის ანგარიშები. სავსებით ამომწურავი და სწორი ცნობა ყველა მაზრას არ მოუცია, განსაკუთრებით სტაციონარულ სკოლების შესახებ; სვანეთის არც მოძრავ პოლიტცოდნის სკოლის შესახებ გამოუგზავნია სათანადო მასალები. 31 მაისს ცეკას აგიტპროპის და პოლიტგანათლების მთავარ სამართველოს მიერ მოწვეულ იქნა მოძრავ სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი რომელსაც დაესწრენ როგორც საქართველოს სხვადასხვა მაზრების, (გარდა სვანეთისა), ისე ავტონომიური რესპუბლიკებიდანაც. ერთი მხრით, მაზრებიდან მიღებული ცნობები და მეორე მხრით, სოფლის პროპაგანდისტების თათბირის შედეგები, საკმაო მასალას გვაძლევს გასული სასწავლო წლის სოფლის პარტგანათლების ქსელის მუშაობის შესახებ.

1926-27 წელში ჩვენს პარტგანათლებას აქვს მიღწევები, ეტყობა წარმატება, მაგრამ მას თან ახლავს ფრიად სერიოზული უარყოფითი მხარეებიც. წელს მეტი რიცხვი გატარდა პარტიული და კომკავშირული მასებისა სოფლის პოლიტცოდნის სკოლებში, ვიდრე 1925-26 წელში. მთავარი დასაყრდენობი სოფლის პარტგანათლებისა არის მოძრავი პოლიტსკოლები, შემდეგ სტაციონარული სკოლები და დაბოლოს თვითგანვითარების წრეები. რამდენი კაცი იყო ჩაბმული მოძრავ, სტაციონარულ სკოლებში და რამდენია პოლიტ. თვით-გან. წრეებში? სოფლის მოძრავი პოლიტცოდნის ორივე გამოშვების რიცხვი (ორჯერ იქნა 7 თვის განმავლობაში გამოშვებული) არის 96, რომლებშიაც გატარებულია ე. ი. კურსი დაუმთავრებია 2.962 მსმენელს; სტაციონარულ სკოლების რიცხვი უდრის 82. მათ მიერ გამოშვებულ მსმენელთა რიცხვი 2.099. პოლიტცოდნის სკოლების გამოშვების შემდეგ ბევრ ადგილას შემდგარა პოლიტ-თვითგანვითარების წრეები. სულ დაარსებულია 78 თვითგანვითარების წრე, რომლებიც აერთიანებს 1.421 კაცს. ამრიგად სოფლის პარტგანათლების ქსელი აკავშირებდა გასულ სასწავლო წელში 6.482 კაცს. ამათში შედიან პარტიულები, კანდიდატები, დიდი ნაწილი კომკავშირლებისა და უპარტიო ღარიბი გლეხები. ეს რიცხვი არაა სრული. ზოგიერთ მაზრიდან სტაციონარულ სკოლაზე ცნობა არაა მიღებული, არაა ცნობა სვანეთის მოძრავ სკოლის შესახებაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემული რიცხვი რამდენიმე ასი კაცით გაიზრდება.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სოფლის პოლიტცოდნის სკოლები და წრეები აერთიანებდა დაახლოვებით 7 ათასამდე კაცს. ეს რიცხვი მთელ პარტიულ მასის 25 პროცენტს შეადგენს. რასაკვირველია, პარტგანათლების ქსელში უნდა გატარებულიყო არა ნაკლები სოფლის პარტიის წევრების და კანდიდატების 50 პროც. მეტი, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში სოფლის პარტგანათლების საქმეზე გაღებულ მატერიალურ საშუალებათა სიმცირეს და სხვა მრავალ ორგანიზაციული ხასიათის დაბრკოლებებს, შეიძლება ითქვას, რომ წელს მაინც საგრძნობ მიღწევასთან გვაქვს საქმე. მიღწევად ჩაითვლება ისიც, რომ სკოლების ხელმძღვანელები თანდათან ეცნობიან სოფლის პარტგანათლების საკითხებს და იჭურვებიან შესაფერი გამოცდილებით. როგორც სჩანს, ჩვენი პროპაგანდისტების უმრავლესობა თვალსაჩინო შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებენ, როგორც სკოლების მეცადინეობის მეთოდებს, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის დარგშიაც.

ჩვენ სოფლისათვის დღემდე ჩამოყალიბებული, მუდმივი კადრი არ გვყავდა. მუდამ ცვალებადი შემადგენლობა იყო პროპაგანდისტების და ისიც ახალგაზრდების, რომლებიც ნაკლებათ იცნობენ სოფლის მუშაობის სპეციფიურ პირობებს, დიდათ უშლიდა ხელს პარტ-განათლების თვისებრივ დონის ამაღლებას. პროპაგანდისტების თათბირზე ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა: თათბირმა დაადგინა, რომ სოფლის პროპაგანდისტების კადრის სტაბილიზაცია უნდა მოხდეს და ყოველწლიურად უნდა სწარმოებდეს მათი გადამზადება და ისინი თვითონაც უნდა მეცადინეობდენ თავიანთ ცოდნის ასამაღლებლად.

ამავე მიზნით ზაფხულში მოეწყობა გადასამზადებელი კურსები მოძრავ და სტაციონარულ სკოლების ხელმძღვანელთათვის. გასულ სასწავლო წელში ჩვენმა სოფლის პროპაგანდისტებმა იმ მძიმე პირობებში, რომლებშიაც მათ უხდებოდათ მუშაობა თავიანთი ამოცანები საერთოდ დამაკმაყოფილებლად შეასრულეს. თათბირის ანგარიშებიდან სჩანს, რომ მოძრავ და სტაციონარულ სკოლებს ჯერ ბევრი რამ აკლია, პირველად ყოვლისა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები დღემდე გადაუწყვეტელი იყო, როგორიცაა მაგ. ვინ უნდა მიიღონ მოძრავ და ვინ სტაციონარულ სკოლაში, როგორ უნდა მოხდეს მსმენელთა შერჩევა-შეკრება, როდის და რა პუნქტებში გაიხსნას სკოლა, რამდენ ხანს უნდა მუშაობდეს ეს სკოლები, რამდენი სკოლა უნდა გამოუშვას თვითეულმა ხელმძღვანელმა სასწავლო წლის განმავლობაში, როგორ მოეწყოს გამოშვება და სხ. ეს საკითხები მოძრავ სკოლების ხელმძღვანელთა თათბირმა გადაწყვიტა, რაც მომავალი წლის მუშაობას შეამსუბუქებს და უფრო ნაყოფიერად გახდის.

მეცადინეობის მეთოდების მხრით ჯერ დიდი მუშაობა მოგველის, საჭიროა ხელმძღვანელობის და პროგრამების, დროზე მიწოდება სკოლებისათვის, რაც გასულ წელში ვერ მოხდა და რითაც შეეშალა ხელი მეცადინეობას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტებისათვის ჟურნალ-გაზეთების და მიმდინარე ლიტერატურის მიწოდების საკითხს; ეს მით უმეტეს, რომ დღეს მოვლენები ჩვენს თვალწინ დიდი სისწრაფით ვითარდებიან და იცვლებიან, რომლებსაც ანგარიშის გაწევა უნდა. ამიტომ სკოლების ხელმძღვანელი ყოველთვის უნდა იყოს როგორც საერთაშორისო, ისე პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის კურსში და გასავლელ მასალასთან მჭიდროთ უნდა დააკავშიროს თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიური მოვლენები.

დიდ ნაკლათ ჩაეთვლება გასულ წელს ის გარემოება, რომ სკოლების დიდი ნაწილი მოწყვეტილი იყვენ არა მარტო ცენტრიდან, არამედ სამაზრო აგიტპროპებიდანაც კი. სკოლების იდეოლოგიურ შინაარსის სისწორეზე ზრუნვა და მსმენელებისათვის პარტიის დადგენილებების და პოლიტიკის სისტემატიური გაცნობა, სადღეისო ამოცანაა. როგორც მაზრები, ისე ცენტრიც უნდა დაუკავშირდენ სოფლის პროპაგანდისტებს და მიაწოდონ მათ არა მარტო აუცილებელი ლიტერატურა, არამედ გაუწიონ მეთოდიური კონსულტაცია, მიაწოდონ ინფორმაცია და ინსტრუქციები. ხელმძღვანელ ორგანოების სათანადო დახმარებით, მათი სწორი ხელმძღვანელობით, პროპაგანდისტებთან უშუალო კავშირით, სკოლების დროგამოშვებით გამოკვლევით და შესწავლით, სკოლებისათვის სახელმძღვანელოების და პროგრამების და სხვა ლიტერატურის დროზე მიწოდებით, პროპაგანდისტების გადამზადებით და ადგილობრივ ორგანიზაციების ენერგიული დახმარებით შესაძლებელი გახდება არსებული ნაკლის გამოსწორება მომავალ წლისათვის.

ამასთან მოძრავ სკოლების რიცხვი უნდა გაიზარდოს—თვით საქართველოს (ავტონომიურ რესპუბლიკების გარეშე) 40 პუნქტში უნდა ქონდეს გახსნილი სკოლა. მოძრავი სკოლები მოამზადებენ პარტიულ მასებს, მისცემენ მათ ელემენტარულ პოლიტიკურ ცოდნას, რითაც ნიადაგს მოამზადებენ თვითგანვითარების მუშაობისათვის. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე ხანში თვითგანვითარების წრეები საკმაოთ გამრავლდა. ამ მუშაობის წარმატებით წაყვანას ხელს უშლის ის გარემოება, რომ არა გვყავს საამისო კონსულტანტების კადრი. თვითგანვითარების ხელმძღვანელთა მომზადება დღის წესრიგში სდგას და სხვადასხვა ტიპის საზაფხულო კურსებზე თვითგანვითარებითი მუშაობის ორგანიზაციულ და მეთოდიურ საკითხებს ეცნობიან, რაც მომავალ წლისათვის საშუალებას მოგვცემს პოლიტთვითგანვითარების გეგმიანი ქსელი უფრო ფართოდ გავშალოთ.

დ. ო—ძე.

ღარიბთა შორის მუშაობა სართიჭალის თემში

უკანასკნელ ხანებში სართიჭალის პარტ-ორგანიზაციამ შესამჩნევად გააუმჯობესა ღარიბთა შორის მუშაობა. თემკომმა დაასრულა ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების აღრიცხვა, საიდანაც გამოირკვა, რომ თემში სულ ითვლება 874 ღარიბი გლეხი და 110 მოჯამაგირე.

ღარიბების მოწვევა ღარიბთა კრებებზე ხდება პარტიულებისა და კომკავშირელების მეშვეობით, რაც მოწვევის საუკეთესო მეთოდათ უნდა ჩაითვალოს. კრებებს ესწრება ღარიბების 70—80 პროცენტი. გარდა ღარიბებისა კრებებზედ მოდიან საშუალო გლეხები და ადგილობრივი ინტელიგენციაც, მაგრამ ეს უკანასკნელი პასივობას იჩენს და არ ღებულობს რამე მონაწილეობას კრებაზე დასმული საკითხების განხილვაში.

რაზედ მსჯელობენ ღარიბი გლეხები თავიანთ კრებებზე? მათი მსჯელობის მთავარ საგნებს შეადგენენ მიწის რეფორმა, სარწყავი და სასმელი წყლის გამოყვანა, სწავლა-განათლების საქმის გაუმჯობესება და სხვა სამეურნეო და კულტურული ხასიათის საკითხები.

კომკავშირელები მონაწილეობენ ღარიბთა კრებების მუშაობაში და დახმარებას უწევენ კრებების მოწვევის საქმეს.

სართიჭალის ორგანიზაციას კიდევ მრავალი ნაკლი აქვს ღარიბთა შორის მუშაობის დარგში.

ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლია ის, რომ მთელ თემში არსად არ არის ჩამოყალიბებული ღარიბთა ჯგუფები, მიუხედავად იმისა, რომ არჩევით ორგანოებში გაყვანილია ღარიბი გლეხობის დიდი პროცენტი. თემკომი უნდა ეცადოს ახლო მომავალში გამოასწოროს ეს ნაკლი.

როგორც თემკომის მოხსენებიდან სჩანს, ღარიბთა კრებების მოწვევა ხდება მხოლოდ რაიმე კამპანიების ჩატარების წინ. თავისთავად ცხადია კამპანიების ჩატარების წინ უნდა მოწვეულ იქნენ ღარიბები, მაგრამ მარტო კამპანიებით არ უნდა შემოიფარგლოს ღარიბთა კრებების მოწვევა.

დასასრულ, საჭიროა რამოდენიმე სიტყვით შევეხოთ ღარიბთა კრებებისადმი ხელმძღვანელობის საკითხს. სართიჭალაში ღარიბთა კრებებს პარტორგანიზაცია ხელმძღვანელობს კომუჯრედისა და ფრაქციების მეშვეობით. ასეთი ხელმძღვანელობა, უნდა ვსთქვათ, რომ არანორმალურია. ფრაქციებს არ აქვთ რაიმე დამოკიდებულება ღარიბთა კრებებთან და მაშასადამე, არც შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ უკანასკნელთა მუშაობას. ღარიბთა კრებების უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრებათ პარტიულ კომიტეტებსა და უჯრედებს, ამ ფუნქციის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაცემა სხვადასხვა ორგანოებზე დაუშვებელია.

კ. ხურმუშელი.

სურამის თემკომის პლენუმი

10 ივლისს ქ. სურამში ჩატარდა პარტკომის გაფართოებული პლენუმი. სოფლის კომუჯრედების და ა. ლ. კ. კ. მდივნების თანადასწრებით. მოსმენილ იქნა მოხსენებები სოფლის კომუჯრედის მდივნებისა ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივნების თანამოხსენებებით თავიანთ მუშაობაზე. მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება იმ ამხანაგებისა რომლებიც თემკომის მიერ გაგზავნილ იყვნენ სოფლებში უჯრედების მუშაობის გამოსარკვევად. მოხსენებიდან გამოირკვა, სოფლის კომუჯრედების და ა. ლ. კ. კ. უჯრედების მუშაობის დადებითი და სუსტი მხარეები. პლენუმმა სხვადასხვა მითითებანი მისცა თვითეულ უჯრედს მომავალი მუშაობის საწარმოებლად.

პლენუმის მთავარი ყურადღება მიიპყრო საკითხმა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაზე. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა გორის მაზრკომის წარმომადგენელმა ამხ. თედო კორსაველმა.

პლენუმმა შეიმუშავა კონკრეტიული ღონისძიებანი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაზე: თემის ორგანიზაცია საჭიროდ სთვლის ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის გაძლიერებას. არ არის სწორად გერკვეული მუშაობა ღარიბ გლეხებში.

პლენუმი მიზანშეწონილად სთვლის ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში საშუალო გლეხთა აქტივის მონაწილეობის შესახებ. პლენუმი აუცილებელ საჭიროებად აღიარებს, ყველა არჩევითი ორგანოებთან ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბებას.

ეჭვგარეშეა, რომ პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულება დიდათ განამტკიცებს სოფლის უჯრედების ორგანიზაციულ პოლიტიკურ მუშაობას და ხელს შეუწყობს ღარიბ გლეხკაცობის კულტურულ დონის ამაღლებას.

ი. სამხონია.

პატარა ფელეტონი

„კოვზი ნაცარში"

„ჟორდანია და რამიშვილი, თავიანთი სა-დირექტივო" წერილებში, რომელიც აბესალომ ქარცივაძეს გამოატანეს, დიდ იმედს ამყარებენ მომავალი ავანტიურის დროს ქართული ჯარის უფროსს შემადგენლობაზე. ქართულ ჯარის მეთაურთა შემადგენლობამ თავის მრავალრიცხოვან კრებებზედ ზიზღით უარყო სოციალ-გამყიდველების მოწოდება და მთლიანად გაჰკიცხა მათი „საქმიანობა". **(გაზეთებიდან).**

ჟორდანია-რამიშვილის უსტარი

1.

ჟორდანია-რამიშვილმა
შეადგინეს ეს უსტარი:
„აბესალომ, ქართულ ჯარის
მეთაურებს ეს უთხარი":
ვიცით მათი გულის ზრახვა
საქართველოს სიყვარული,
ჩვენი ჩასვლა რომ იქნება
მათთვის დიდი სიხარული.
ჯარი კარგად მოამზადონ
ბრძოლაში რომ გამოგვადგეს
ბოლშევიკებს შეუტიონ,
რომ ამისი ჟამი დადგეს;
კომუნისტურ ყაჩაღთაგან
მათ გასწმინდონ საქართველო
და ამითი შეასრულონ
საქმე დიდი—სასახელო;
გვწამს მეთაურთ სიყვარული
სამშობლო და ერისადმი
გვწამს დაიხსნის „მრავალ ჟანჟულს"
მათი რისხვა მტერისადმი.

2.

პასუხი ქართული ჯარის მეთაურებისა

გიპასუხებთ თქვენ უსტარზედ
და მით შევსწყვეტთ თქვენთან კამათს.
ანგარიშში გადამცდარხართ
ასცდენიხართ სწორ მისამართს.
მართალია საქართველოს
სიყვარული ჩვენ გვაქვს დიდი,
მაგრამ ჩვენ და თქვენს შორის კი
არ არსებობს გზა და ხიდი;
თქვენი მოსვლა ისე გვინდა
ვერ გამოსთქვამს იმას ენა
ისევ გვინდა, როგორც... როგორც
ცოფიანი ძაღლის კბენა,
ჯარს ვამზადებთ როგორც გვწერდით
თქვენი აზრი შეგვიტყვია
მოვამზადებთ კიდეც ისე
რომ არ აქცდეთ შუბლში ტყვია.
ყაჩაღები თქვენი მსგავსი
ჩვენ ჯერ არსად არ გვინახავს,
ხალხის დოვლათს მანდ რომ ფლანგავთ
არ გცხვენიათ რაებს ჩმახავთ.
ფიცს ვსდებთ: ჩვენი ურყევ ძალით
გავიტანოთ ბრძოლის ლელოთ.
მშრომელების ოფლით შევქმნათ
საქმე დიდი, სახელო,
სიტყვას გაძლევთ ნოღოებო,
პატარა და დიდო გველო,
რომ გავსწმინდოთ თქვენ მსგავსთაგან
საბჭოების საქართველო.

მენტიდო.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ქუთაისის მაზრის გლეხკომების მუშაობა

ქუთაისი, 21 ივლისი. ქუთაისის მაზრის და თემის გლეხკომების მუშაობა ძლიერდება. ამჟამად მაზრაში არის გლეხკომის 29.902 წევრი; მათ შორის 1,662 ქალია. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადის სახით შემოვიდა 15.480 მანეთი. გლეხკომის მიერ ფულის და მასალების სახით გაცემული თანხა—9.570 მანეთს უდრის. (ადს)

ხიდი ცხენის წყალზე

ქუთაისი, 21 ივლისი. დაწყებულია მდ. ცხენის წყალზე დიდი ხიდის კეთება, რომელიც შეაერთებს ორ თემს: გორდის და ცხუნკურის. ხიდი სიგრძით 40 საჟენი იქნება. (ადს)

მშენებლობა ქუთაისში

ქუთაისი, 21 ივლისი. ქუთაისის სამაზრო ალმასკომს კომუნალურმა ბანკმა სესხის სახით მისცა 50.000 მანეთი. სესხი მოხმარდება ქალაქის მშენებლობას. ამ თანხიდან 15.000 მანეთი ქალაქის 3 ხიდის შესაკეთებლად არის გადადებული, 15 ათასი მანეთი სასტუმროს მოსაწყობათ, რომელშიც გაიხსნება მუშკოოპის დიდი სასადილო. დანარჩენი თანხა კი მოხმარდება ქალაქის საავადმყოფოს შეკეთებას და გადამდებ სნეულებათა ბარაკების აგებას. (ადს)

ხიდი წყალწითელზე

ქუთაისი, 21 ივლისი. შედგენილია მდ. წყალწითელაზე ასაგებ ხიდის პროექტი. დამუშავებულია სამი პროექტი: ხის ხიდი, რომელიც ჯდება 18,000 მანეთი, ბეტონის — 22.000 მან. და დაკიდებული ხიდი — 22.000 მანეთი. სამივე ვარიანტი დასამტკიცებლად გადაეცა ქალაქის ალმასკომს. (ადს)

აფხაზეთი

ანტროპოლოგიური ექსპედიცია

სოხუმი, 22 ივლისი. სოხუმში ჩამოვიდა მოსკოვის პირველი უნივერსიტეტის ექსპედიცია პროფ. **ადლერის** ხელმძღვანელობით. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან 3 ექიმი და 4 სტუდენტი. ექსპედიციის მიზანს შეადგენს აფხაზეთის ანტროპოლოგიურ და საექიმო-სანიტარულ პირობების შესწავლა.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში პროფ. **ადლერმა** განაცხადა:

„ექსპედიციამ აფხაზეთი თავისი კვლევის ობიექტათ იმიტომ აირჩია, რომ ის სრულიად არაა შესწავლილი ანტროპოლოგიურად. აქამდე დაობენ აფხაზების ბუნებაზე. ექსპედიცია შეისწავლის აფხაზების ენასა და ფიზიკურ ტიპს. გარდა ამისა, ექსპედიცია სოხუმელ პედაგოგებთან ერთად გამოიკვლევს ადგილობრივ სკოლების მოწაფეებს პედაგოგიური თვალსაზრისით.

გულრიპშის დათვალიერებამ გამოარკვია, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან საექიმოდ ჩამოსულ ტუბერკულიოზით დაავადებულთა ტიპების თავისებურობათა შესწავლა და მკურნალობის საქმის უფრო სწორად დასაყენებლად გზების და სხვა.

აფხაზეთის ჯანსახკომმა ექსპედიციის მუშაობის საწარმოებლად მისცა 200 მან., ხოლო განათლების სახ, კომისარიატმა დაუთმო უფასო ბინები. ამჟამად ექსპედიციამ მიმართა სახ. კომისართა საბჭოს თხოვნით გაუწიოს ფულადი დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში და გაუადვილოს აფხაზეთში მოგზაურობა.

ყველა შეგროვილი მასალები გადაიგზავნება მოსკოვში დასამუშავებლად, რის შემდეგ გადაეცემა აფხაზეთს" (ადს).

აზერბეიჯანი

წერილები

როგორ შეხვდენ გლეხები თავდაცვის კვირეულს

საბჭოთა კავშირის გართულებულმა მდგომარეობამ, რომელსაც ემუქრებიან კაპიტალისტური ქვეყნები ინგლისის მეთაურობით, ფეხზე დააყენა არა მხოლოდ ჩვენი ფაბრიკა - ქარხნები და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები, არამედ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა გლეხობაშიც, თავდაცვის კვირეულში მთელმა გლეხობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

„ქვეყანა დაწყნარდა, რავაც იქნა მოვესწარით მშვიდობიან მუშაობას, მდგომარეობა გამოკეთდა, ტანზე ჩავიცვი და ფეხზე; თუ ეს მშვიდობიანი ცხოვრება კვლავ აგვირიეს და მაინც დავიწყეს ომი, როგორც ერთი კაცი ყველა გამოვალთ ჩვენი ხელისუფლების დასაცავად"— ამბობენ გლეხები.

თითქმის ყველა თემში არსდება ავიაქიმის უჯრედები, სადაც დიდი ხალისით ეწერებიან გლეხები: ყოველი გლეხი იღებს თავის წვლილს თავდაცვის ფონდისათვის. ბევრ სოფელსა და თემში გამოუშვეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც გაშუქებული იყო საერთაშორისო მდგომარეობა, თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობა და სხვ.

მუხრანის თემში 6 ავიაქიმის უჯრედი დაარსდა, ჩაეწერა 700 წევრი. კვირეულის ჩატარების დროს გლეხობას შემოქონდა თავისი წვლილი თვითმფრინავის ასაშენებლად. გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

ქორეთის თემში (შორაპნის მაზ.) კვირეულის დროს გაიმართა დიდი სალამო, რომელსაც გლეხკორის სიტყვით „უამრავი ხალხი დაესწრო და არაჩვეულებრივი შემოსავალი იყო".

ს. ხაშმში (გარე - კახეთი) გლეხობამ დაადგინა საერთო კრებაზე თბილისის მუშებთან ერთად ააშენოს თვითმფრინავი".

ს. ქვემო - ჭალაში (გორის მაზრა) შესდგა ადგილობრივ მოსამსახურეების და გლეხების კრება და დაადგინეს ყველამ ჩაეწეროს ავიაქიმის საზოგადოებაში და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ქვეყნის თავდაცვას. მოსამსახურეებმა დაადგინეს თავის ჯამაგირის 1 პროც. გადაიტანონ ამ საზოგადოების სასარგებლოდ.

ამ აუარება კორესპონდენციებიდან, რომლებსაც ჩვენი გლეხკორები აგზავნიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ნათლად სჩანს, რომ ჩვენმა გლეხობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო თავდაცვის კვირეულის ჩატარებაში, რითაც დაამტკიცა, რომ ის მედგრად დგას პირველი პროლეტარული სახელმწიფოს სადარაჯოზე, და არავის უფლებას არ მისცემს დაარღვიოს მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი მშენებლობა; თუ ეს მაინც მოხდება ის მზად არის ყოველი ღონით დაიცვას თავისი სახელმწიფო.

რე—ძე.

წერილებიდან

მუშაობა მოისუსტებს (გორას თ., ქუთ. მ.)

4 წლის განმავლობაში შენდება საექიმო პუნქტის შენობა და დღესაც ვერ ეღირსა დასრულება. შეუკეთებელია გზები და ბოგირებიც. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამ-ბის მუშაობაც მოიკოჭლებს, მის გამგეობას კი ეს გარემოება სრულიადაც არ აწუხებს. საჭიროა, რომ ყოველივე ამ დეფექტებს ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერარს.

ახკორი ბზიკი.

— **ხუთი გამგე გამოიცვალა.** (ახალციხე). რაბათში გვაქვს ამხ. ვარძიელის სახელობის კლუბი. აქამდი გამგეს 40 მან. ქონდა ჯამაგირი, ახლა კი 80 მან. გაუხადეს. მარა რაც ჯამაგირი მოუმატეს 20 დღე იქნება და ამ ხნის განმავლობაში კი 5 გამგე გამოიცვალა. ჩვენ ვიცით რას ნიშნავს ამდენი გამგეების ცვლა. კლუბი არ ვარგა თუ გამგეები, ვერა გავიგეთ რა. ეს კი ვიცით, რომ ამდენი ცვლით კლუბსა და სამკითხველო-ბიბლიოთეკის საქმეს დაბრკოლება ეძლევა. **ძველი რევოლიუციონერი.**

— **საჭიროა ამ საკითხის მოგვარება,** (ს. მათხოჯი, ქუთ. მაზრა). ჩვენს სოფელში ფართლეულობაზე და სხვა ნივთებზე მოთხოვნილება დიდია, მაგრამ ამ მოთხოვნილებებს ჩვენი კოოპერატივი ვერ აკმაყოფილებს. ერთი დღის მოტანილი საქონელი მეორე დღეს არ არის. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად კოოპერატივის ნოქარმა რამოდენიმეჯერ მიმართა ხონის გამგეობას, რომ მათ მათხოჯის კოოპერატივისათვის ზედმეტი საქონელი მიეცა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ მოხერხდა. მათხოჯის კოოპერატივი აკმაყოფილებს ფართლეულობით როგორც ადგილობრივ მცხოვრებნის, ისე გარეშე სოფლებსაც.

საჭიროა მათხოჯის კოოპერატივს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

კ. მელაძე.

მუშათა ცხოვრება

ექიმობა შეუძლებელი ხდება

აქ ჯანმრთელობის კომისარიატს გახსნილი აქვს პოლი-კლინიკა. მხოლოდ კლინიკაში მომუშავე ექიმთა გამოწერით შეიძლება ვანების მიღება.

კლინიკაში პროფკავშირთა წევრთათვის გასინჯვა ღირს 3 მანეთი, არაწევრთათვის 5 მანეთი. ვანები თუ გინდ ხუთი წუთით — 2 მანეთი. ვანების მიღებისათვის რომ შეხვიდე ბაღში შესასვლელი უნდა გადაიხადო 25 კაპიკი. ბაღს გარეშე მდებარე ვანაში, რომ გსურდეს წამლობა მაინც ბაღში უნდა შეხვიდე ვანისათვის ბილეთის საყიდლად ამ შესვლისათვის უნდა იყიდო ბაღში შესასვლელი 25 კაპ. ბილეთი.

მოსეირნეთათვის ბაღში შესასვლელი — დაწესებულია 25 კაპიკი პროფკავშირის წევრისათვის, საქმე ის არის, რომ ბაღს გარდა არა თუ სასეირნო ადგილი არ არის ბორჯომში, არამედ ტყეში ასასვლელი ყველა გზებიც ბაღიდან იწყება. ასე, რომ ყოველდღიურად მუშა - მოსამსახურე იძულებულია სულზე გადაიხადოს 25 კაპიკი, რომ შეეძლოს ბინიდან გამოსვლა.

ამასთან ერთად აშკარაა, რომ ყველა დაავადმყოფებული მუშა - მოსამსახურე ვერ ისარგებლებს დასასვენებელი სახლით და უფასო ექიმებით. ვისაც გვიხდება ექიმობა საკუთარი ხარჯით საშინელი და აუტანელი პირობებია შექმნილი.

სავსებით მიუწვდომელი არის ექიმობა ბორჯომში.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ჯანმრთელობის კომისარიატმა და პროფკავშირის გამგეობამ.

ავადმყოფი.

—:—

საექიმო დახმარება მოისუსტებს

(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის მაღაროების საავადმყოფოზე ყველგან შეხვდებით საუბარს „ჩვენ საავადმყოფოს ყურადღებას არ აქცევენო". მართლაც არის. არ არის საკმაო ლოგინები იქ, სადაც 1300-მდე მუშა-მოსამსახურეა და ყოველ წამში მოსალოდნელია მარცხი. არის მხოლოდ 17 საწოლი, რის გამო ექიმები იძულებული ხდებიან ავადმყოფები ერთად შეაჯგუფონ, ხანდახან დერეფანშიაც ვერ [illegible]. ამის გარდა არ არის მედიკამენტები, ხშირად ბინტიც არ იშოვება. ადგილობრივი ექიმები ხშირად მიმართავენ, სადაც ჯერ არს, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავენ. ამბობენ „ხარჯთ-აღრიცხვაში მეტი არ გვაქვსო", განა ასეთი პასუხი შველის გვირაბში დაშავებულ მუშას. წარმოებაში მუშების რიცხვი იზრდება და საავადმყოფო იგივე რჩება და კიდევაც უარესდება.

ჯანმრთელობის განყოფილებამ მოგვაქციოს ყურადღება.

ნიადვარი.

—:—

45 წელიწადი ფეხზე

ამ დღეებში სრულდება 45 წელიწადი, რაც თელავის ფოსტა - ტელეგრაფის დარაჯი - დამტარებელი ამხ. **ანდრია ბალარჯიშვილი** ამ სამსახურს ასრულებს. ანდრია ღარიბი გლეხის ოჯახიდან არის; ის არის დეპეშების დამტარებელი. ამხ. ანდრია დღე და ღამე სულ მოძრაობაშია. ჩქარი ნაბიჯით, სახის სერიოზული გამომეტყველებით ის მუდამ მიექანება სადმე. ადგილობრივმა ინტელიგენციამ მას „ჩვენი პერპეტუმ მობილე" უწოდა. მართლაც არავის, მგონია, არ უნახავს ამხ. ანდრია დამჯდარი დასვენებაში მყოფი. ამისთვის არ არსებობს უქმე და დასასვენებელი დღეები. კარგი რომ საბჭოთა მთავრობამ შეღავათები შემოიღო და დასვენების საშუალებას აძლევს ანდრიასთანა მუშაკებს.

ანდრია, რაც თელავში მუშაობს 30 წელიწადი იქნება და ერთი პატარა საყვედურიც იმაზე არავის გაუგია. ამხ. ანდრია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, დინჯი ხასიათისაა, ის ყველა ამხანაგებს უყვარს. ადგილობრივმა სახალხო შეერთების კავშირის ადგილკომმა გადაწყვიტა იუბილე გადაუხადოს ამხ. ანდრია ბალარჯიშვილს. ადგილობრივი ორგანიზაციები და მოსახლეობა თანაგრძნობით შეხვდენ ამ გადაწყვეტილებას. ადგილკომმა აღძრა შუამდგომლობა თავის ცენტრალურ გამგეობის წინაშე, რომ მათ იშუამდგომლონ სამართველოს წინაშე და თვითონაც თავისი წვლილი შეიტანონ დამსახურებულ მუშაკის იუბილეს აღსანიშნავად. იმედია ეს მოძრაობა ჰპოვებს ორივე უმაღლეს ინსტანციებში სათანადო გამოძახილს.

ალაზნელი.

კლუბის და შრომის ინსპექტორის შესახებ

(ზესტაფონი)

1-ლ მაისს გაიხსნა პროფკავშირთა კლუბი, მაგრამ რომ არ გახსნილიყო ის სჯობდა. ის თანხა, რომელიც კლუბმა უნდა შემოიკრიბოს, ისეთი მცირეა, რომ მათთვის ერთი კლუბის გახსნა ყოველ აზრს მოკლებულია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დავალიანების შემდეგ, რომელიც აქვს კავშირებს—კლუბის გახსნა ყოველ აზრს მოკლებულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დავალიანების შემდეგ, რომელიც აქვს კავშირებს — კლუბის უგეგმოთ აგების გამო, ნუღარ გააგრძელებენ უგეგმობას და ნუ დაუმატებს ზედ კიდევ სხვა თანხებს.

მოუგვარებელია შრომის დაცვის საქმეც.—გარდა პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებისა, ყველგან ირღვევა შრომის კანონები, შრომის ინსპექტორის დიდი სამუშაო აქვს ჭიათურის ვეპერთულა წარმოებაში და ჩვენთვის ვერ იცლის. ჩვენ იძულებული ვართ დავსვათ საკითხი მეორე შრომის ინსპექტორის დანიშვნის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ოთხი რაიონი მუდამ უყურადღებოდ იქნება დარჩენილი.

გუ—იან.

შრომის ნაყოფიერება ამით არ აიწევს

რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, ბევრი რამ არის გაუკეთებელი და სათანადოთ მოუწყობელი: ტექნიკურად მოუწყობელია და ძველი პრიმიტიული წესით სწარმოებს, მუშაობა. მთელი ის რკ. გზის ლიანდაგი, რომელიც აერთებს სამქროებს ერთი მეორესთან არც ერთი არ ვარგა, ყველა მათი რელსები უშპალობის გამო მიწაშია ჩაფლული და აქ მომუშავე მუშას აუარებელი დრო და ენერგია ეხარჯება ერთი დატვირთული ვაგონეტკის, ან რომელის გადატანის დროს, რადგან რელსების მაგიერად მიწაზე თრევა სჭირდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც უშპალობის გამო სცდება ლიანდაგს ორთქლმავალი, რომლის ამოღებას დიდი დრო და ხარჯები სჭირდება.

გარდა ამისა ზოგიერთი სამქროები არც შენობაა მოწყობილი; ამწყობთა სამქროში არც ერთი მოძრავი ამწევი „რემოტკები" არ ვარგა, რაც ძლიერ უშლის ხელს წარმოებას.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

როდის მიექცევა ყურადღება. ვირდისუბნის ქ. 16 და 18 სახლები აუწერელ ანტი-სანიტარულ მდგომარეობაში არიან. № 16 სახლის საპირფარეშო, რომელსაც სახურავი ნახევრად ფარავს, ქუჩის პირად არის. ორთავე სახლი სავსეა ყოველნაირ საქონლით. საპირფარეშოს გვერდით არის დუქანი, ამ დუქნის წინ დღე და ღამე ზიან ამ კუთხის უსაქმო ავარები და ისეთი საშინელი ლანძღვა-გინება არის, რომ იქ ახლო მცხოვრებთ ცხვირის გამოყოფა არ შეუძლიათ კარში.

საჭიროა დაუყოვნებლივ მიექცეს ამ ყოველივე გადამდებ სენის ბუდეებს ყურადღება.

გარეშე.

მუშათა ქრონიკა

— **ექსკურსია „ზაჰეს"-ში** საქ. პროფსაბჭოს კულტ. განყ. კვირას, 24 ივლისს აწყობს ექსკურსიას „ზაჰეს"-ში, სადაც ექსკურსანტებს მცირე ფასის გადახდით შეუძლიათ მოტორიან კატერზე გაემგზავრონ მცხეთაში სანახავად სადგურის დასათვალიერებლად.

— **300 მან. თვითმფრინავის ასაშენებლად.** ალმშენებელთა კავშირის ც. გ. თავის სახსრებიდან გაიღო ერთდროულად თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები"-ს ასაშენებლად ფონდის გასაძლიერებლად 300 მანეთი.

— **1270 მან. პროფლიტერატურისათვის.** ქართულ ენაზე პროფლიტერატურის გამოსაცემად ალმშენებელთა კავშირის ც. გ. პრეზიდიუმმა დაამტკიცა ხარჯთ - აღრიცხვა 1270 მან. რაოდენობით.

— **სატარიფო თათბირზე.** ქ. ბაქოში მოწვეულ სატარიფო თათბირზე ს. პ. კ. ს. წარმომადგენლად გაიგზავნა ს. პ. კ. ს: სატარიფო საეკონომიო განყ. გამგე ამხ. ხვედელიძე.

— **რიონჰესი.** ალმშენებელთა კავშ. ც. გ. მიერ რიონჰესის და ახალშენთა კომიტეტებში ჩამოყალიბებული იქნა გაერთიანებული ჯგუფკომი № 5, რის ორგანიზაციის ჩატარება დაევალა ამავე კავშირის საორგ. განყოფილებას.

— **იურიდიული დახმარება.** საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიულ ბიურომ მიმდინარე წლის მაისის თვის განმავლობაში იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 1793 კავშირის წევრს.

— **100 უფასო ბილეთი.** კურორტთა მთავარ სამართველოს მიერ ბორჯომის ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს ბორჯომის „მინერალურ წყლების" პარკში შესასვლელად დაეთმოთ ასი უფასო ბილეთი.

ზაჰესის საბოლოო მიღება

გუშინ საქ. ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის სახელზე მოსკოვიდან მიღებულია დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ 1-ლ აგვისტოს თბილისში ჩამოვა და მუშაობას შეუდგება ზაჰესის მიმღები საექსპერტო კომისია, რომელშიაც შედიან: პროფესორები—**ხუშკინი, სიროტინსკი** და **ვორონოვი.** კომისიის ჩამოსვლის მიზანია ზაჰესის ნაგებობათა შემოწმება და მათი საბოლოო მიღება.

კომისიის მუშაობისა და ზაჰესის ნაგებობათა მდგომარეობის შესახებ ზაჰესის სამუშაოთა უფროსის თანაშემწემ ინჟ. **მელიქ-ფაშაევმა** და ზაჰესის სამმართველოს უფროსმა ინჟ. **კაპულერმა** ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს:

— აღნიშნული კომისია შესდგება ცნობილ სპეციალისტ-პროფესორებისაგან, რომელთაც მოუხდენიათ ახეთივე ექსპერტიზა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ეს პროფესორები მოწვეული იყვნენ თავის დროზე თბილისის ალმასკომის მიერ, მაგრამ დღემდე მათი ჩამოსვლა დაგვიანდა მხოლოდ იმიტომ, რომ ზაჰესის მთელი ელექტრო-მოწყობილობა დღემდე არ იყო სრულიად დამთავრებული და ზაჰესის ექსპლოატაციასთან პარალელურად სწარმოებდა ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესრულებაც. დღეს ეს სამუშაოები უკვე დამთავრებულია და შეიძლება საბოლოო მიღება.

გარდა ამისა, როგორც უკვე ცნობილია ზაჰესში ელექტრო-მოწყობილობათა დადგმა მინდობილი ჰქონდა „მაშინოსტროის" და სახელმწიფო ელექტრო-ტრესტს. თანახმად მათთან დადებული ხელშეკრულებისა, საბოლოო ანგარიშების გასწორება უნდა მოხდეს მხოლოდ მათ მიერ ჩატარებული მუშაობის მიღებისა და შემოწმების შემდეგ.

რუსეთიდან ჩამოსულ საექსპერტო კომისიასთან იმუშავებენ აგრეთვე სპეციალურად ბაქოს რაიონიდან გამოწვეული პროფ. **ჰესმანი** და ადგილობრივი სპეციალისტები.

ზაჰესის ნაგებობათა საბოლოო მიღებისათვის მუშაობა დაწყებული იქნება 1-ლი აგვისტოდან. ეს მუშაობა გაგრძელდება დაახლოვებით ერთი თვე.

სამზადისი ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის ჯანმრთელობის კომისარიატში

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩასატარებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიმუშაოს ჯანმრთელობის დარგში ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების გეგმა.

თანახმად აღნიშნული გეგმისა, განზრახულია —გორის და ბორჩალოს მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში გაიხსნას თითო ახალი სამალარიო სადგური. ამავე დღესასწაულებისათვის თბილისში დაარსებული იქნება ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერი. აღნიშნული დისპანსერი გაიხსნება ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან და ის იწარმოებს სულით ავადმყოფთა დისპანსერულ მკურნალობა.

თბილისში არსებული სოციალური ჰიგიენის მუზეუმი ამ დღისათვის გადაკეთებული იქნება სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტათ. ლეჩხუმის მაზრაში მოეწყობა ვენეროლოგიური დისპანსერი და სხვ.

ამავე დღესასწაულების დროს თბილისში გაიხსნება ბოროტმოქმედებათა და ბოროტმოქმედთა შემსწავლელი და გამომკვლევი სამეცნიერო კაბინეტი. ქუთაისში მოეწყობა სასწრაფო დახმარების სადგური, რისთვისაც თბილისიდან წინასწარ იქნება გაგზავნილი სანიტარული ავტომობილი. სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან მოეწყობა ახალი პოლიკლინიკა. ამავე დღეს თბილისში საფუძველი ჩაეყრება თვალის სნეულებათა ინსტიტუტის ახალ შენობას.

გარდა ამისა, თბილისში განზრახულია მოეწყოს და გაიხსნას მთელი რიგი ახალი სამეცნიერო-სამკურნალო დაწესებულებები, როგორიცაა პედალოგიური ლაბორატორია, სამოსამართლო-ქიმიური ინსტიტუტი, ახალი უძლიერესი რენტგენის კაბინეტი და სხ. მაზრებში გადაწყვეტილია გაიხსნას სამი ახალი აფთიაქი.

ყველა აღნიშნულ დაწესებულებათა მოსაწყობად და გასახსნელად წინასწარი სამზადისი უკვე დაწყებულია.

ეკონომიურ საბჭოში

სალქო ელექტრო - ბიუროს მოწყობის შესახებ

ა.-კ. სახკომსაბჭომ წარუდგინა ეკონომიურ საბჭოს დასკვნისათვის საკითხი სალქო-ელექტრო ბიუროს ორგან. შესახებ. აღნიშნული საკითხი გადაეცა დასკვნისათვის საგეგმო კომისიას, რომელმაც მიზანშეწონილად სცნო სალქო-ელექტრო ბიუროს მოწყობა. საგეგმო კომისიამ უფრო მისაღებათ სცნო ელექტრო-მეურნეობის სამმართველოების მოწყობა რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოსთან, რომელიც დაექვემდებარება როგორც ს. ს. რ. კავშირის ს. მ. უ. საბჭოს, ე. ი. ამ შემთხვევაში მთავარ ენერგოსამმართველოს, ისე ცალკე რესპუბლიკის ს. მ. უ. საბჭოს.

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა საგეგმო კომისიის დასკვნა აღნიშნულ საკითხის შესახებ.

ახალციხის მაზრაში ინფუზორული მიწის საიჯარო გადასახადის შემცირება

ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა ს. მ. უ. საბჭოს შუამდგომლობა, ახალციხის მაზრაში ინფუზორიული მიწის თითოეულ ფუთზე არსებული საიჯარო გადასახადის რაოდენობის 5 კაპ. მაგიერ 1—2 კაპ. დაწესების შესახებ.

„სახსპირტი"-ს და სახ. მამულების ტრესტის ერთ ორგანოში გაერთიანება

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან და სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილთან ერთად შეიმუშაოს „სახსპირტი"-ს და მიწსახკომის სახ. მამულების ტრესტის ერთ ორგანოში.

„სახსპირტის და სახმამულების ტრესტის გაერთიანების დროებით მმართველად დაინიშნა ამხ. **კ. კანდელაკი.**

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემფასებელი კომისიათ

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემფასებელი საექსპერტო საბჭო დამტკიცებულ იქნა ამხ. ა. რუხაძის (თავმჯდომარე), ჩიჯავაძის (მოადგილე), ზ. თევზაიას (ვაჭრობის კომისარიატი), მაჩაბლის (მიწსახკომი), პროფ. ჯანდიერის (საგეგმო კომისია), ა. კალანდაძე (ინსპექცია), გ. შარაშენიძის (სახ. დამზღ. კონტ), ი. ქურდიანის (გეოფიზიკ. ობსერვატორია), და ა. შენგელიას (სახ.-სამეურნეო ბანკი) შემადგენლობით.

საქ'რთველოს ცაკში

— დახმარება რაჭის მაზრას

სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგის ამხ. კ. ხომერიკის განკარგულებით, გუშინ რაჭის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას დახმარებათ გაეგზავნა 1.000 მანეთი. რაჭაში გაგზავნილ ათასი მანეთიდან ხუთასი მანეთი მოხმარდება გლეხის სახლს, ორასი მანეთი დაურიგდება დახმარებათ სამოქალაქო ომის ინვალიდებს და სამასი მანეთი მიეცემა სამაზრო გლეხკომს ცხენის შესაძენად.

გაცემული დახმარების რაოდენობა

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: სამი თვის განმავლობაში (აპრილში, მაისში და ივნისში) ინვალიდებს, ობლებს, ქვრივებს და წითელარმიელების ოჯახებს ქუთაისის მაზრაში მომუშავე გლეხკომებმა დახმარებათ **მისცა 9.570 მ.**

„ზაკპოგრუზ"

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით, ამიერ-კავკასიის სააქციო საზოგადოება „ზაკპოგრუზ"-ის (დატვირთვა-გადმოტვირთვის საზოგადოება) აქციონერებად დამტკიცებული იქნენ: საბჭოთა სავაჭრო ფლოტი, აზერბეიჯანის ნავთით ვაჭრობის სამმართველო, ამ.-კავ. რკინისგზების სამმართველო, ამ.-კავ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა კასპიის სანაოსნო საზოგადოება და აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით აქციები შეიძინეს (58.000 მანეთის), მხოლოდ აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს., საზ-ბა „ტრანსპორტ"-მა, სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ და ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციებმა. ძირითად აქციონერებს კი ჯერ კიდევ არ შეუძენიათ აქციები.

ამის გამო, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს აქციონერებს შეასრულონ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილება. ამავე დროს კოლეგიამ შესაძლებლად სცნო გამორიცხოს „ზაკპოგრუზ"-ის აქციონერთა რიცხვიდან აზერბეიჯანის ნავთით ვაჭრობის სამმართველო და გაანთავისუფლოს იგი აქციების შეძენის ვალდებულებისაგან, როგორც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თითქმის არ სარგებლობს „ზაკპოგრუზ"-ის აპარატით.

ადგილობ. მრეწველობა

ეკონომ. საბჭომ მოისმინა ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის 1926—27 წ. დამატებითი კაპიტალური სამუშაოთა შესახებ.

ამ მოხსენებით საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში უნდა იქნეს აგებული 8 საწარმოო: 2—ერბო-ყველის ქარხანა — ახალქალაქის და დუშეთის მაზრაში, მათი აგება დაჯდება 300.000 მან. 2—ხილის საშრალებელი გორის მაზრაში, რაც დაჯდება 276.000 მან. ერთი აგურის ქარხანა შორაპნის მაზრაში და ერთი აგურ-კრამიტის ქარხანა ახალ-სენაკის მაზრაში, რომელთა აგება დაჯდება 550.000 მ. ერთი თხილის საშენდი ქარხანა ზუგდიდში 30.000 მან. ღირებულებისა და ერთი კირის ქარხანა მოწამეთის რაიონში (ქუთაისის მაზრა) რომლის აგება დაახლოვებით უნდა დაჯდეს 250.000 მან. სულ ყველა ჩამოთვლილი ქარხანა-ფაბრიკების აგებას დასჭირდება 1.406.000 მან.

გარდა ამისა წინასწარ სამუშაოთა გეგმაში 1926—27 წელში გათვალისწინებულია გორის საკონსერვო ფაბრიკის მოწყობისათვის 164.000 მან. და თბილისის ლუდის ქარხნის საჭიროებისათვის 150.000 მან ამრიგად ადგილობრივ მრეწველობის კაპიტალური სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო იქნება 1.720.000 მან.

ბარიტის ექსპორტი

საკავშირო ს. მ. უ. ს. სამთო-მრეწველობის დირექტორატიდან საქ. სამთო-მრეწველობის ტრესტმა მიიღო ცნობა, რომ უცხოეთის ბაზრებზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა მაღალ ხარისხოვან ბარიტზე. ამიტომ საკავშირო ს. მ. უ. ს. წინადადებით განზრახულია დაწყებული იქნეს საქართველოდან უცხოეთში ბარიტის გატანა.

სამთო-მრეწველობის ტრესტის ცნობით, საბჭოთა კავშირში ბარიტის ამოღების მხრივ, ამჟამად საქართველოს უკავია პირველი ადგილი. გარდა ამისა, ჩვენებური ბარიტი წარმოადგენს მაღალ ხარისხოვან მასალას, რომლისგანაც გამოდის 95-98 პროცენტი სასარგებლო ნივთიერება.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობათა ცნობით, საქართველოს ბარიტი შეიძლება გასასაღებლად იქნეს შეტანილი უცხოეთის ბაზარზე დაუფქველად და წინასწარ გადაუმუშავებლად.

ზოგიერთი სპეციალისტების აზრით, ჩვენებური ბარიტი დიდ მეტოქეობას გაუწევს თავის ქიმიური შემადგენლობით ბრაზილიისა და აფრიკის ბარიტის მადნებს.

ინფუზორიტის დამუშავების რაციონალიზაცია

სამთო მრეწველობის ტრესტთან დაარსებულია მუდმივი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს იმუშაოს ინფუზორიტის ამოღება-დამუშავების რაციონალური საშუალებების გამოსანახავათ. აღნიშნულ კომისიაში შედიან ინჟ. დ. ყიფიანი, გ. წულუკიძე, კამპანიონი, გეოლოგი გაბუნია და ინჟ. ტერ-დავიდოვი.

დღეს აღნიშნული კომისია მიემგზავრება ახალციხის მაზრაში ინფუზორიტის მადნების დასათვალიერებლათ და მუშაობის პირობების გასაცნობათ. კომისიაში დამატებით შედიან აგრეთვე ინჟ. **გ. ედიშერიძე** და **კაიაკი.** ინფუზორიტის მადნების ადგილას კომისია ამოარჩევს ინფუზორიტის გადასამუშავებელი ქარხნის და მადნის საფქვავის წისქვილის ადგილს, შეისწავლის მადნის გადამუშავების პირობებს და სხ. კომისიას განზრახვა აქვს აგრეთვე მოაგვაროს ინფუზორიტის ბუდობებიდან მადნის გადმოტანის საქმეც. აღნიშნული ბუდობები დაშორებულია საურმე გზატკეცილს 15 ვერსით. კომისიას განზრახვა აქვს მადნის ბუდობებიდან აღნიშნულ გზამდე მოაწყოს ამოღებული ინფუზორიტის წყალით გადატანა.

ამისათვის საჭირო იქნება სპეციალური მოწყობილობების გაკეთება, რის შესახებაც კომისია მსჯელობას იქონიებს ადგილობრივ პირობების დათვალიერების შემდეგ.

მალარიის გაძლიერება

ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტს ატყობინებენ, რომ დასავლეთ საქართველოში მაისთან შედარებით ივნის-ივლისში მალარიით დაავადმყოფება გაძლიერდა. მალარია განსაკუთრებით გაძლიერდა ქ. ბათომში, სადაც მალარიით დაავადებულთა რიცხვმა მაისთან შედარებით ივნისში 25 პროცენტით იმატა.

თუ მაისში მალარიის ცენტრალურ სადგურში პირველი დახმარება მიიღო 1079 მალარიით შეპყრობილმა, ივნისში ეს რიცხვი 1.400 აღმატებოდა.

იურიდიული კრებული

„ზაკკრაიკომის" მიერ დაწყებულია შედგენა იურიდიულ ბარათთა კრებულისა, რომელშიდაც სისტემაში იქნება მოყვანილი ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ში მოქმედი კანონმდებლობა და აგრეთვე სახკომისარიატების ნორმატიული განკარგულებები. ასეთი კრებულის გამოცემის საჭიროება წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ დღემდე არ მოიპოება ამ კანონმდებლობის ცოტათ თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი სისტემატიზაცია. ის იურიდიული კრებული, რომელიც გამოდის ცენტრში ამხ. **კრილენკოს** რედაქციით, შეიცავს საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის გარდა, საბჭოთა რუსეთის კანონმდებლობას, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს სავსებით ა.-კ. ს. ფ. ს. რ. დაწესებულებებს, რომლებიც განსაკუთრებით ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ის კანონმდებლობას საჭიროებენ.

სისტემატიზაციას საფუძვლად დაედება საკანონმდებლო აქტების ცალკე ბარათებზე გვეღვის პრინციპი. შემდეგ ეს ბარათები უფლების ცალკე დარგებისა და საკითხების მიხედვით სათანადოთ იქნებიან დალაგებულნი და დანომრილნი. კრებულს დართული ექნება საჩვენებელი, რაც გაადვილებს ამა თუ იმ კანონის ან განკარგულების მონახვას. კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან ამხ. **ს. ვარდანიანი** და ამხ. **ვარძიელი.**

ცეკავშირში

დამზადებანი

ცეკავშირმა კოოპერატივების საშუალებით დაამზადა და გასაღა 12 ვაგონი სიმინდი. ამ თვის განმავლობაში ჩრდილო - კავკასიიდან მოელიან 100 ვაგონ სიმინდს. კავკასიის წითელდროშოვან ლაშქართან ცეკავშირმა დასდო ხელშეკრულება 80.000 ფუთი თივის ჩაბარებაზე. თივის დამზადებას ცეკავშირი უკვე შეუდგა.

საქართველოს ღვინო

საქართველოს მეღვინეთა ამხანაგობა „საქართველოს ღვინო", რომელმაც გასული სამეურნეო წელი 183 ათასი მანეთის დეფიციტით დაამთავრა, ახალი გამგეობის ღონისძიების წყალობით თანდათან ფეხზე დგება. ყოველთვიურად იზრდება ღვინის რეალიზაცია. მიმდინარე წლის მარტში, როდესაც სწარმოებდა „საქართველოს ღვინის" რეორგანიზაცია, — გაიყიდა 10 ათასი მანეთის ღვინო, აპრილში — 100 ათასი მანეთის ღვინო, მაისში 80 ათასი მანეთის, ხოლო ივნისში 140 ათასი მანეთის.

„საქართველოს ღვინის" ახალმა გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქცია პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებას. ამ მხრივ მან თავისი მუშაობა დაუკავშირა სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს. განსაკუთრებით მჭიდროთ „საქართველოს ღვინო" დაკავშირებულია სამომხმარებლო კოოპერაციასთან, რომლის საშუალებითაც იგი ასაღებს თავისი ღვინოების 90 პროც.-ს.

ღვინოზე ფასები დაკლებულია 8 პროცენტით, სპირტის ნაწარმოებზე — 12 პროც. საგასავლო ხარჯები წინა წელთან შედარებით 18 პროც.-ით არის შემცირებული.

საკუთარი თანხების უქონლობა ძალიან აბრკოლებს ამ ორგანიზაციის ზრდას და წარმატებას. „საქ. ღვინო" უმთავრესად მოქმედობს მოკლე ვადიანი კრედიტებით.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის
პროლეტარიატი

ამხ. მიხა თურქიას, ნ. სოხელიას და სერგო მეგრელიშვილის გამოწვევით შემომაქვს 10 მან. „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და 7 მანეთით ვიწვევ ჩემს ამხანაგს მიხა თურქიას, რომელმაც გამომიწვია და შემოტანილი აქვს 3 მანეთი.

მ. ბედია.

—:—

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომუჯრედს შემოაქვს 40-და ათი მანეთი „თბილისის პროლეტარიატ"-ის ფონდის გასაძლიერებლად და იწვევს: საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან, მიწათმოქმედების და განათლების სახალხო კომისარიატებთან, თბილისის ალმასკომთან და ცეკავშირთან არსებულ კომუჯრედებს.

კომუჯრედის მდივანი: **მ. ბედია.**

—:—

ამხ. ილიკო ვასაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატ"-ის ფონდის გასაძლიერებლად ათი მანეთი და ამავე თანხაზე ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

1) ქავთარაძეს (დბსიტ), 2) ლაზარევი (მდივანი დბსიტ), 3) ტერ-მინასოვ სერგეი (დორპრო ფობრი), 4) გვანცალაძე (წევის დარგი), 5) გუ-ლიანი აბრამ (წევის დარგი).

ალექსანდრე ხიოდჯიაშვილი.

—:—

ამხ. მ. გავაშელის გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ. ვიწვევ სახ. უნივერსიტეტიდან: პროფ. ლ. ანდრონიკაშვილს, პროფ. შ. ნუცუბიძეს, კ. სულაქველიძეს, ირ. ტატიშვილს, ირ. სურგულაძე, ის. თალაკვაძე, ფატ. გოკიელს, სახ. კინო მრეწველობიდან: რეჟ. კოტე მარჯანიშვილს, რეჟ. ალ. წუწუნავას, გრ. არუსტანოვს, გერ. გოგიტიძეს, ვ. მაჭავარიანს, რეჟ. მ. ჭიაურელს, რეჟ. ნ. შენგელაიას, მხატ. ნ. ვაჩნაძეს, ალ. იმედაშვილს, ც. წუწუნავას, ალ. თაყაიშვილს, სახ. დრამიდან: რეჟ. ალ. ახმეტელს, სახ. მხატ. ნიკო გოცირიძეს, ნ. ჯავახიშვილს, თ ჭავჭავაძეს, აკ. ვასაძეს, უშ. ჩხეიძეს, ალ. ჟორჟოლიანს, შ. ღამბაშიძეს; განათლების კომისარიატიდან— ამხ. შ. დუდუჩავას, ქუთაისის სამ. ალმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ერ. დვამიჩავას.

სერ. ამაღლობელი.

—:—

ამხ. რაფიელ კვირკველიას გამოწვევით „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს. მერაბოვი ივანე, ნეკერაშვილი გიორგი, ანანიაშვილი კოლია, ბაირიკოვი პეტრე, ნათაძე ნიკოლოზი, ხახუტაშვილი ალექსი, აბაშიძე მარიამი, იძელაშვილი გიორგი, ზარხოშაშვილი ნიკოლოზ, შარვაძე ივანე, ტოგონიძე ივანე, ხანიშვილი კონსტანტინე, ქუბიაშვილი ივანე, ცხვარაძე კ. ბიბილაშვილი პავლე, მებადური კონსტანტინე, მარქაროვი ბაგრატი.

ილია ბუჯიაშვილი.

—:—

ამხ. ამბრიკო ურუშაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მან. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ზესტაფონიდან ვიქტორ უზნაძეს, ჭიათურიდან — ჯიბო იაშვილს და გიორგი მხეიძეს და საჩხერიდან კოტე წულუკიძეს.

ევტიხი ახვლედიანი.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ჩემი მცირედი წვლილი 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქ. თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმის მე-4-თხე ელექტრო-ტექნიკურ კურსიდან: ვლადიმერ არჯევანიძეს, ნიკოლოზ ბორჩხაძეს (ბათომი), ალექსანდრე ბერეკაშვილს (სამტრედია), ვასილ გიორგობიანს (ბათომი), შოთა დარახველიძეს (ბათომი), გიორგი ზაუტაშვილს (ხაშური შჩ11), ვლადიმერ კალაძეს (ტრამვაის სახელოსნო), ალექსანდრე მინაშვილს (სამტრედია), ელიზბარ მღებრიშვილს, გიორგი ესაკიას, გიორგი მაცაბერიძეს (ხაშური), შოთა თაქთაქიშვილს (თბილისი შშ), ტერენტი ხაბეიშვილს, ვასილ ხარაძეს, ირაკლი უჩნაძეს.

მიხეილ ხარაძე.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ ლეჩ. მაზ. ყველა პარტთემკომების მდივნებს: დარისპან ყანჩელაძეს, დავით ბაბილუანს, ნიკიფორე მამარდაშვილს, ბაგრატ გუგავას, პლატონ გვიშიანს, გრიგოლ გორდეზიანს, მიხეილ ხეცურიანს, ლევანტი გოლეთიანს.

ლაილაშის თ. კ. პ.-მ. მდ. **ილია გოჩაძე,**

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მანეთი (5 მან.) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს და მოქალაქეებს: „სახმედვაჭრობიდან": მიშა საბაშვილს, ლ. ჩიხლაძეს, ტ. სვანიძეს, ლ. კალმახელიძეს, კ. საბაშვილს, გ. აბუთიძეს; მარუტიანს, ალ. გოცირიძეს, თ. ჩიქოვანს, მ. კალანდარიას, დ. დოლაბერიძეს, ბ. მეველაძეს, დარო ბერეკაშვილს, ნინო იოსელიანს, ვაშაძე მაროს, ქარცივაძე თამარას; თბილისის შრომის ბირჟიდან: თამარ წულაიას, ახალ-სენაკიდან—ალ. ჯოჯუას, ვ ჯავახიას, ლ. ჯავახიას, იპ. თოფურიას, იას. ბეჭვაიას, აკ. ბაღათაურის, ნაქალაქევიდან —. კალე ბაღათაურიას, დ. მალანიას, ვ. ბარქაიას, ექ. ჩანტლაძეს, ბებია ქალ. ქ. შელეგიას, აფ. გამგე გაბუნიას, ფოსტის გამგე ლომიას. მეჯვრისხევი (გორის მაზრა) მოსამართლე აკაკი ჯავახიას, ქ. ფოთის მტვირთავთა კავშირიდან ივანე საჩიკიძეს.

ვასო წულაია.

ამხ. გაბო ელიგულაშვილის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნიშა რიჟინაშვილს, ჭიჭიკო იმედაძეს, სოსიკო მოშიაშვილს, მიშა კაკიტელაშვილს, კირილე ბერძენიშვილს, (აბასთუმნიდან), დავით ბახანოვს, ცეებ ალბერტს, ბენო გაგულაშვილს, აბრამ გუკიაშვილს, პიმენ ხობუას, ილია დიმოევს, პარმენ აფხაძეს, რაფო ელიგულაშვილს, მიშა გოგიბერიძეს, მიხეილ ნოდიას, იოსებ ქურდიანს, რაფო დავარაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, მენაშიე გეკელაშვილს, დიმიტრი ჩიქოვანს, ეფიმ კოკიელოვს, აბესალომ ქორიძეს; მოშკა დანიელოვს; ილია სიმონოვს, მიხაკო დანიელოვს, ბენო ფიჩხაძეს; არონ მამისთვალოვს; აბრამ ელიგულაშვილს, ნონიკო მინოვიჩს, საშა რიჟინაშვილს, გაბო კაკიტელაშვილს; როზა თავდიდიშვილს; ბესარიონ რიჟინაშვილს, (უკანასკნელი ექვსი ქუთაისიდან) სარრა ხახანაშვილს, ლიუბა შამელაშვილს რაია კაკიტელაშვილს; იაკობ კრიხელს, იაკობ ჯინჯიხაშვილს (ეს ორი ცხინვალიდან), აბრამ ფიჩხაძეს, დინა დავარაშვილს; საშა სოლომონოვს, ყვითლიშვილს.

გ. ელიგულაშვილი.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ორი მანეთი და ამავე თანხით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ვანო მუხიგულს** (შოფერს), **მათე** მუხიგულს (შოფერის თანაშემწე), **ილია მუხიგულს** (შოფერი), **გიორგი მუხიგულს** (რკინის გზის მოსამსახურე, მემუხრუჭე), **ვასო მუხიგულს** (მემუხრუჭე), **გაბო მუხიგულს** (მეისრე სადგურ ქსანში), **ზაქრო მუხიგულს** (მეთასმე, მთავარ სახელოსნოში), **ალექსი მუხიგულს** (ლიანდაგის მუშა), **ტატო მუხიგულს** (მუშა), **ლუკა მუხიგულს** (მაუდის ქარხნის დურგალი), **გიორგი მუხიგულს** (ქალ. ლიუქსემბურგში ხელოსანი).

შოფერი **თევდორე მუხიგული.**

ამხ. მიშა ნარსიას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პანტე გაბუნიას, მიხეილ კაჭარავას, შალვა აჯიაშვილს, ელისო ურიდიას, სოლომონ ფანცულაიას, გრიგოლ კეკელიას; პარმენ პატარაიას, რემა კოტოს, ისაკი გაბუნიას; ილარიონ ფულაძეს, სილიბისტრო კერძაიას; გრიგოლ გახოკიას; მაქსიმ ანთელავას, ვალიკო გოგიბერიძეს, ალექსანდრე ცანავას, იოსებ ბუალავას, ლოუბა დამენიას; არტემ ბართაიას; აბესალომ კოკაიას, პანტელიმონ ქიქავას, სოლომონ ქუთათელაძეს, ლეონტი თოდუას (აბაშიდან), ვალოდია მიქაძეს, ბიქტორ ცაავას (მარტვილიდან), კალისტრატე ბადათურიას (ნოქალაქევიდან), კოსტა კუპრეიშვილს (ძველი სენაკიდან). სამ მანეთში: ივანე ქაჯაიას, ივლიანე რურუას, ირაკლი დარცმელიას, ერმილე გვილავას, თამარა სანოძეს; ცაბულია გაბუნიას, სევერიან ცომაიას, ძოუ გაბუნიას, ივლიანე გაბუნიას, სოსიპარტი კეკელიას, ლარისა გაბუნიას; ნადია კეკელიასას, თამარა გაბუნიას (ცხაკაიას ასული), ოლია კეკელიას, ესტატე კოტიას, ბიქტორ კვიტაიანს, ამროსი ოდიშარიას, ნინა ხაინდრავას, გიორგი რურუას, სამსონ რურუას, ბესარიონ ნაჭყებიას, ვასილ ჯიქიას; კოწია ხაინდრავას, პეტრე ჯღარკავას, კონდრატე ურუშაძეს, ეპიფანე ურუშაძეს, ტრიფონ მიქავას და კაპიტონ ქურდიანს, მელიტონ გაბუნიას, რაჟდენ კეკელიას, ლიდია კეკელიას.

აკაკი გაგუა.

—:—

ამხ. მიშა ნარსიას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დაბა ზანძიდან — კაკუბერი ჯონდი, ყურაშვილი კუროსი, მაისაია ილარიონი, მიქაძე ათანასე, ბალიშვილი თემურაზ, დაბა მარტვილიდან—გეგეჭკორი იასონ; გეგეჭკორი ვანო; გაბუნია ვანო; ნოქალაქევიდან — ჯავახია ათანასე, მალანია დომენტი, კაკულია აკაკი; დაბა აბაშიდან — ჟვანია ბესარიონ, კაჭარავა მიხა, ჭანტურია არისტარხი, კორძახია ლეონტი; გუგუშვილი ჭიჭიკო; გეგუშვილი ნიკიტა; ახალსენაკიდან — გრიგოლია ნიკო, ნაჭყებია პანტა, ჯავახია ლავრენტი, კარტოზია ლეონტი; ურიდია ალექსანდრე, გულორდავა ისიდორე, ჯოჯუა ალექსანდრე, ჩივავა ონიფანტე, ჯანჯღავა კაპიტონ; სოხუმიდან — დაგენია ერმილე, დაგენია დავით, ქუთელია ალექსი, მელაძე ერმილე; ცაცავა დომიტრი; დიხამინჯია ანდრი, თბილისიდან—ბართაია იასონ, ნიკოლავა ივანე ბართაია სევასტი.

მარკოზ ნიკოლავა.

შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვალოდია მუმლაძე (ბორჯომი), სერგო გელაშვილს (ლიბანში სანატორ.), ალექსანდრე და შალიკო ხარიძეებს (სურამში), გრიგოლ ზამბახიძეს (ხუნევში), ფილიმონ ბარბაქაძეს, გრიშა გოგოლაძეს; ლადიმერ გოგოლაძეს; სერაპიონ ციცქიშვილს ისიდორე ლომიძეს და ალექსანდრე გრიგალაშვილს.

სილ. გელაშვილი.

—:—

შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გრიშა ჟუჟუნიძეს, გერმანე და ვარდენ გოგოლაძეებს (სიღნაღის მაზრა), სიმონ ბაზლაძეს, კოწია ორჯონიკიძეს (ბორითის 7 წლედი), ექიმ ცხონდიას (ბორითში) და გრიშა მომცემლიძეს (ძირულას ეპო).

ედიშერ გოგოლაძე.

—:—

სულ დღეს შემოვიდა 106 მანეთი. წინათ შემოსულთან ერთად: 5.192 მ. 39 კ. და ერთი ოქროს მაჯის საათი.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატში

ხიზილალას ექსპორტი

ვინაიდან მიმდინარე წელში საზღვარგარეთის ბაზარზე ძალიან დაეცა ხიზილალას ფასები, გადაწყვეტილია ხიზილალას ექსპორტი შემცირებული იქნეს მინიმუმამდე.

ვაჭრობის კომისარიატს მისი გატანა შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხიზილალას ფასები ევროპის ქალაქებში აიწევს 9 გირ. სტერლინგამდი ფუთზე.

ნაწლავების დამზადება

ამ.-კავ. საგეგმო კომისიის დადგენილებით, ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ნაწლავების დამზადებას აწარმოებს იმ რაიონებში, სადაც არ მუშაობს „ზაკუტილსირიე"; ამასთანავე იგი ვალდებულია დამზადებული ნედლეული ჩააბაროს „ზაკუტილსირიეს". კერძოთ, „სოფლის კავშირი" იძულებულია დააკმაყოფილოს იმ ნაწლავებით, რომლებიც მიღებული იქნება მის პუნქტებზე დაკლულ საქონლისაგან, თუმცა ნაწლავების დამუშავება მას უფრო იაფად უჯდება, ვიდრე „ზაკუტილსირიეს".

ამის გამო საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მიანიჭოს უფლება თავისუფლად შეისყიდოს და გადაამუშაოს ნაწლავები.

ხორცი ამიერ-კავკასიისათვის

ამ.-კავ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა „ზაკმიასტორგს" ხელშეკრულება დასდოს „სევკავმიასო"-სთან ამიერ-კავკასიისათვის ხორცის მიწოდების შესახებ.

წყალსადენი

საწყალსადენო მაგისტრალები განაპირა უბნებში

გასაბჭოების პირველ წლებიდანვე წყალსადენის სამმართველოს მიერ მთავარი ყურადღება ექცეოდა თბილისის განაპირა უბნებს, რომელიც უწყლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდენ. ამ თავითვე მიღებულ იქნა ენერგიული ზომები განაპირა უბნების წყლით უზრუნველსაყოფად. ამ უკანასკნელ წლებში ბევრგან მოეწყო ქუჩის მაგისტრალი და ბევრგან კერძო ბინებშიდაც გაყვანილი იქნა წყალსადენის მილები. განსაკუთრებით უფრო მეტი ყურადღება მიექცა წყლის გაყვანას მიმდინარე წელს; რასაც შემდეგი ციფრები მოწმობს: ა. წ. მარტში გაყვანილ ქუჩა მაგისტრალის სიგრძე უდრიდა—324,5 მეტრს, აპრილში—1.272 მეტრს, მაისში—1.895 მეტრს, ამავე პერიოდში რაიონებში გაყვანილია ახალი წყალ-სადენი—მარტში—48, აპრილში—84; მაისში—91.

მთელი წყალსადენის ქსელის სიგრძე მაისში უკვე აღწევდა 156 კილომეტრს.

აბონენტთა რიცხვი მარტში უდრიდა 6.605, აპრილში—6.689, მაისში—6.780; ივნისში—6.825.

ჩაის ფაბრიკები

ამჟამად სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი"-ს აქვს ექვსი ჩაის დასამუშავებელი ფაბრიკა, რომლების ნაყოფიერება ასეთია: ჩაქვის ფაბრიკა ყოველ წლიურად ამუშავებს ერთ მილიონ გირვანქა მწვანე ჩაის ფოთოლს, სალიბაურის ფაბრიკა 300 ათასს გირვანქას ნედლ ჩაის, ოზურგეთის—100 ათასს გირვანქას, მიქელ-გაბრიელის ფაბრიკა—185 ათასს გირვანქას. ანასის—70 ათასს გირვანქას, გობაყვაფის ფაბრიკა, რომელიც ამუშავებულია მიმდინარე წლის პირველ ივლისიდან, ამუშავებს ერთ მილიონ გირვანქა ჩაის ფოთოლს. ამჟამად მომუშავე ყველა ფაბრიკების ნაყოფიერება ერთად უდრის—2.600.000 გირვანქას.

სააქციო საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს ახალი ჩაის ფაბრიკების აგება ჩაის მეურნეობის 4 რაიონში, (აჭარისტანსა, გურიასა, სამეგრელოსა და აფხაზეთში), რომელიც დანაწილებულია 24 ქვერაიონად. ყოველ ქვერაიონის ცენტრში გამომუშავებული გეგმით უნდა აშენდეს ერთი ახალი ფაბრიკა, რომლის სამოქმედო რაიონი 6—8 ვერსიანი რადიუსით იქნება შემოფარგლული.

ახლად ასაგებ ფაბრიკების ნაყოფიერება შეფარდებული იქნება იმ ქვერაიონის ჩაის მოსავლის მაქსიმუმთან, სადაც ფაბრიკა შენდება. ფაბრიკის აგება ამა თუ იმ რაიონში დაიწყება მაშინ, როცა ჩაის მოსავლის რაოდენობა რაიონში 100 ათასს გირვანქაზე ნაკლები არ იქნება. მანამდე კი საზ. „საქართველოს ჩაი" აწყობს მოძრავი ტიპის ფაბრიკებს, რომლებიც მწვანე ჩაის ფოთოლს ნახევარ—ფაბრიკატად გადაამუშავებს.

ვეტერინ.-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ვეტერინარულ განყოფილების ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია მოთავსებული იყო კონის ქუჩაზე. ბინა იმდენად ვიწრო იყო, რომ შეუძლებელად ხდიდა მუშაობას. ამ გარემოებამ აიძულა კომისარიატი ახალი ბინა აეშენებია ლაბორატორიისათვის.

ადგილი არჩეულ იქნა ვაკეში. შენობის აგება დაწყებულია და საბოლოოდ დამთავრდება ამ თვის დამლევს.

შენობა შესდგება სამი კორპუსიდან. პირველი კორპუსი, 2 სართულიანი შენობა, გამოყოფილია თანამშრომლობის ბინებათ მეორე კორპუსში მოთავსდება თვით ლაბორატორია მესამე კორპუსში მოთავსებული იქნება ცხოველები, რომლებზედაც აწარმოებენ ცდებს. ლაბორატორიის შენობა, რომელიც 8 სამუშაო ოთახს შეიცავს სავსებით აკმაყოფილებს სანიტარიის და ჰიგიენის მოთხოვნილებებს. ამ ლაბორატორიაში დამზადდება ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი.

ლაბორატორიის ეზოში განზრახულია ბაღის გაშენება.

ქრონიკა

ამხ. კასიორის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან გაემგზავრა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ამხ. ს. კასიორი.

ამხ. პოკროვსკის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან ბათომში გაემგზავრა საბჭოთა რუსეთის განათლების სახალხო კომისარის მოადგილე პროფ. პოკროვსკი.

ამერიკელი მოგზაურების ჩამოსვლა

გუშინ ჰაეროპლანით თბილისში მოფრინდა სამი ამერიკელი მოგზაური ქალი.

ველოსიპედისტების გამგზავრება

გუშინ თბილისიდან სამხედრო გზით ლენინგრადისაკენ გაემგზავრა ველოსიპედისტთა ექსკურსია ამხ. მინინის, სტეპანოვის და ვასილიევის შემადგენლობით.

ექსკურსია ლენინგრადიდან ჩამოვიდა პირველ ივლისს.

მისალმება სომხეთის სახკომსაბჭოს

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლ. ქართველიშვილმა ძორაგეთის სადგურის საფუძვლის ჩაყრის გამო გუშინ სომხეთის სახკომსაბჭოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

საქ. სახალხო კომისართა საბჭო მისალმება ძორაღეთის ჰიდრო ელსადგურის საძირკველის ჩაყრას, როგორც მოძმე სომხეთის რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის ახალი გამარჯვების ნაბიჯს. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა სომხეთის მუშების, გლეხების და ინტელიგენციის ყველა შემოქმედებითი ძალების გაერთიანებით გამარჯვებით დაგვირგვინდება საერთო მუშაობა ელექტროფიკაციის დარგში.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთის სოციალისტურ მშენებლობას! გაუმარჯოს სომხეთის მშრომელ მასებს!

ძორაგეთის ჰიდრო-სადგური

საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო მიპატიჟების ქაღალდი გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ძორაგეტის ჰიდრო-სადგურის (სომხეთში) ჯებირის საფუძველის ჩაყრაზე, რომელიც მოხდება კვირას, 24 ივლისს, სად. კოლაგერანის ახლოს.

საქართველოს პროფსაბჭომ თავის წარმომადგენლებად გამოჰყო ამხ. ენუქიძე. (მეტყევეთა კავშირიდან) და ამხ. შიშინაშვილი (ალმშენებელთა კავშირიდან).

ტკეჩების გაგზავნა ციმბირში

ბორჯომის სატკეჩე ქარხანამ ციმბირში კარაქის და ერბოს მწარმოებლებისათვის გაგზავნა ექვსი ვაგონი წიფლის ტკეჩები (18.000 კომპლექტი). ტკეჩები გაიგზავნება კურგანში, სემიპალატინსკში, კარგაუტში, რუბცოვკაში და სლავგოროდში. აღნიშნული ტკეჩები მოწონებულია საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ექსპერტის ამხ. ფრიდმანის მიერ.

15 აგვისტომდე გაიგზავნება კიდევ 51.000 კომპლექტი.

თავდაცვის ფონდში

დღემდე საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმში შეტანილია 1—573 მან. 16 კაპ., შეკრებილი თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად.

ქართველ მთიელთა კულტურულ საზოგადოებაში

21 ივლისს შესდგა ქართველ მთიელთა კულტურული საზოგადოების ახლად არჩეული საბჭოს პირველი კრება, რომელზედაც განხილული იყო საზოგადოების მუშაობის მომავალი ამოცანები.

კრებამ საზოგადოების მუდმივ თავმჯდომარეთ ამოირჩია ამხ. ლ. სუხიშვილი, ხოლო მის მოადგილეთ ამხ. დავით აფციაური.

საბჭომ მუდმივ გამგეობაში აირჩია შვიდი კაცი: ამხ. ალ. ყამარაული, მ. გავაშელი, ქურას პედიანი, ლ. მორჩილაძე; გიგ. პარკაძე, გ. სულხანიშვილი და ან. ჯავილიძე.

გარდა ამისა, საბჭომ გამოყო სხვადასხვა სექციები კულტურული საქმიანობის საწარმოებლად.

მიწისძვრა

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 22 ივლისს დილის ექვს საათზე და 57 წუთზე (თბილისის დროით) აღნიშნულია მნიშვნელოვანი მიწისძვრა, ეპიცენტრი თბილისიდან დაშორებულია 1.500 კილომეტრით.

სხვადასხვა

◆ **საბინაო ამხანაგობები.** ამჟამად თბილისში მოწყობილია 18, ხოლო პროვინციაში 14 საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა. მიმდინარე წლის განმავლობაში მათ აუგიათ 132 სახლი, ხოლო ამჟამად აშენებენ 68 სახლს.

◆ **ქართული ქაღალდი.** თბილისში მიღებულია ცნობა, რომ ს. ჯვარის რაიონიდან გატანილ ხის მასალიდან დამზადებული ქაღალდი აღმოჩნდა საუკეთესო ხარისხის.

◆ **თხილის ქარხანა.** ზუგდიდში შეუდგენ თხილის ქარხნის აგებას „მაშინოსტროის" მინდობილი აქვს მანქანების დადგმა ქარხანაში.

◆ **ახალი ქარხნების დათვალიერება.** ახალშენებათა კომიტეტის უფროსმა ინჟინერმა ანდრო ნიკაშვილმა მოახდინა ახლად დაწყებული ქარხნების მშენებლობის დათვალიერება.

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლა.** შრომის ბირჟამ აკრძალა კინო სურათებისათვის არაპროფესიონალ მსახიობების მოწვევა, თუ ამას სურათის სპეციფიური ხასიათი არ მოითხოვს. კინო სურათებში გადასაღებად უნდა გაიგზავნონ უმუშევარი მსახიობები.

თბილისის ალმასკომში

◆ **ბინების აგება.** თბილისის ალმასკომის საბინაო სექციის ცნობებით, მიმდინარე წლის განმავლობაში აგებული იქნება 1500 ახალი ბინა.

◆ **სასტუმროს შეკეთება.** თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა გადააკეთოს სასახლის სასტუმროს შენობა. შენობის ფასადი და მთავარი შესავალი კარები მოეწყობა პუშკინის ბაღიდან.

◆ **ტრამვაის ქსელის გადაკეთება.** თბილისის ალმასკომის დადგენილებით ამ დღეებში თავისუფლების მოედანზე შეუდგებიან ტრამვაის ქსელის გადაკეთებას.

◆ **გზის გაყვანა.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ დაადგინა გაიყვანოს ახალი გზატკეცილი, სახ. უნივერსიტეტიდან სამხედრო გზატკეცილამდე.

◆ **ტყის გაშენება.** სატყეო კულტურის სექციამ მოახდინა თბილისის მიდამოებში ახლად გაშენებული ტყის დათვალიერება. ტყეების გაშენების გეგმა მოწონებულია.

შრომის კომისარიატში

◆ **25 ივლისი დასასვენებელი დღეა.** შრომის კომისარიატში ღებულობენ შეკითხვებს დასასვენებელი დღეების შესახებ. კომისარიატი ყოველ ცალკე შემთხვევაში გამოაცხადებს დასასვენებელ დღეებს. ამასთანავე 25 ივლისი შრომის კომისარიატის მიერ გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ.

◆ **მეეზოვეთა შრომის ნორმები.** შრომის დაცვის განყოფილება შეუდგა მეეზოვეთა და დარაჯების შრომის ნორმების გამომუშავებას.

◆ **ზედმეტ საათებში ვაჭრობა.** შრომის დაცვის განყოფილებამ გამოიმუშავა ზომები ზედმეტ საათებში ვაჭრობის წინააღმდეგ.

ჯანსახკომში

◆ **საგეგმო კომისიის დაარსება.** ჯანსახკომის კოლ. დაარსდა საგეგმო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულია ჯანსახკომის მოადგილე ამხ. გ. მამალაძე.

◆ **დახმარება მაზრებს.** სამკურნალო განყოფილებამ გადასცა ახალციხის სამაზრო ალმასკომს 1000 მანეთი და ახალქალაქისას—300 მან. წამლების დავალიანებათა დასაფარავად.

◆ **საიუბილეო კომისია.** ჯანსახკომთან დაარსდა ოქტომბრის დღესასწაულების ჩამტარებელი საიუბილეო კომისია.

◆ **სამეცნიერო საბჭოს მუშაობა.** ზაფხულის სეზონის გამო ჯანსახკომის სამეცნიერო საბჭოს წევრები გაგზავნილი არიან ადგილებზე სამუშაოდ.

◆ **ხუთწლიანი გეგმა.** ჯანსახკომის განყოფილებებმა დაასრულეს მუშაობის ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმების გამომუშავება.

შემთხვევები

◆ **ბავშვის დაჭრა.** კოჯორის მეოთხე საბავშვო სახლში მცირეწლოვანმა ყაზაროვმა რევოლვერით დასჭრა თავისი ამხანაგი ბაგრატ კოდეროვი.

საქმის შინაარსი ასეთია: საბავშვო სახლის ხელმძღვანელს ვერა ცხოვრებოვისას გასაწმენდათ მიუცია რევოლვერი მცირეწლოვან ყაზაროვისთვის. ყაზაროვს კი უცაბედათ გაუვარდა იგი და დასჭრა კოდეროვის ბავშვი.

◆ **ჯიბგირობა.** გუშინ ანა კაჯალოვისას ჯიბიდან ამოაცალეს 35 მანეთი და სხვადასხვა საბუთები.

◆ **ფულის დატყუება.** მოქ. ბესარიონ ბენაშვილს, რომელიც თბილისში ჩამოვიდა სავაჭროთ, ვიღაც ბოროტგამზრახველმა გამოსტყუა 220 მანეთი.

◆ **ქურდობა.** გუშინ გაქურდეს მოქ. ვლადიმერ ბეიელის ბინა. წაღებულია საოჯახო ნივთები და ტანისამოსი.

◆ **ბინების გაქურდვა..** გუშინ სადგურის ქუჩა № 4 გაქურდეს მოქ. ჰაიკ ჩარუხჩიანელის და ნინა შაქარაშვილის ბინა. მოპარულია პირველი ბინიდან 150 მანეთის და მეორედან 300 მანეთის ნივთები.

რკინის გზებზე

დამატებითი მატარებელი

დღეს, 23 ივლისს, ბორჯომამდე დანიშნულია დამატებითი სახალხო მატარებელი № 12. მატარებელი თბილისიდან გავა ნაშუადღევის 2 საათზე და 55 წუთზე. ბორჯომიდან დაბრუნდება 25 ივლისს, ღამით, და თბილისში იქნება დილის 5 საათზე და 15 წუთზე.

მატარებლის შემადგენლობიდან რვა ვაგონი გამოყოფილი იქნება საქართველოს პროფსაბჭოსათვის.

მატარებლები დაიგზავნება სრული შემადგენლობით

დასასვენებელ დღეების გამო მოსალოდნელია მგზავრების რაოდენობის გადიდება.

მგზავრების დასაკმაყოფილებლად ამ დღეებში ყველა სახალხო მატარებლები გაიგზავნება სრული შემადგენლობით.

მოძრაობა მოწესრიგდა

18 ივლისს, ქიურდამირ-კარაბუჯახის შუა მატარებლის დამტვრევამ და 21 ივლისს სადგ. გრაკალში ვაგონების ჩავარდნამ საგრძნობლად შეაფერხა რკინისგზის მუშაობა.

უკანასკნელმა შემთხვევამ გამოიწვია მოძრაობის შეწყვეტა შვიდი საათით და ამის გამო დასავლეთის მხრიდან მომავალი სახალხო მატარებლები თბილისში ჩამოვიდენ ათი საათის დაგვიანებით. ამასთანავე დაიგვიანეს საქონლის მატარებლებმაც.

ეხლა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთის ხაზები გაწმენდილია და მატარებლების მიმოსვლაც ნორმალურ კალაპოტშია ჩაყენებული.

ორთავე შემთხვევის ადგილებზე, მიზეზების გამოსაკვლევად მუშაობენ შემთხვევებთან მებრძოლი ადგილობრივი კომისიები.

ხელოვნება

სახელმწ. დრამის მომავალი სეზონი

ქართულ სახელ. დრამის სამხატვრო ნაწილის გამგის და მთავარ რეჟისორის **ალ. ახმეტელის** მეთვალყურეობით დაიწყო რუსთაველის თეატრის სცენის და დარბაზის კაპიტალური რემონტი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სცენის გადაკეთებას; ამ მიზნით სცენის მთავარი მემანქანე **მაისურაძე** და ელექტრო-ტეხნიკოსი **გრიგორიანი** გაგზავნილი იყვენ მოსკოვში, სადაც მათ შეისწავლეს სცენის მოწყობილობის ტეხნიკის უახლესი მიღწევები.

ეხლა თეატრი გადადის ზაჰესის ნაკადზე, რაც საშუალებას მისცემს თეატრს უკეთესად გამოიყენოს სინათლის ეფექტები; თეატრმა უკვე მიიღო გერმანიიდან გამოწერილი მძლავრი გასანათი აპარატურა.

ამჟამად დასი მთელი შემადგენლობით იმყოფება ბორჯომში, სადაც დიდის წარმატებით გადის რეპეტიციებს; ჯერ-ჯერობით მუშაობა სწარმოებს შემდეგ პიესების მომზადებაზე:

„მეფე ლირი"—დადგმა **ალ. ახმეტელის,** მთავარ როლში **აკ. ხორავა,** დეკორაციები მხატვ. **იაკულოვის** ესკიზების მიხედვით, ტანსაცმელი მხატ. **პელიონკინის,** მუსიკა კომპ. **ბალაკირევის;** კლავირი ამ მუსიკისა სპეციალურად იყო გამოწერილი ლეიპციგიდან.

კომედია **„კვაჭი"** გადმოკეთებული მიხ. ჯავახიშვილის რომანიდან—**შ. დადიანის** მიერ; კომედიის სდგამენ **ალ. ახმეტელი** და **დ. ანთაძე,** დეკორატიული კონსტრუქცია **ირ. გამრეკელის,** მუსიკა **ი. ტუსკიასი.**

აგრეთვე მზადდება ჯერ კიდევ წარსულ წელს დასადგმელად განზრახული მუსიკალური დრამა **„კარმენსიტა"**—კარმენსიტას როლს ასრულებს **ნინა ვლადიმერის ასული ალექსი-მესხიშვილი.**

განზრახულია ერთ დადგმისათვის მოწვეულ იქნეს ცნობილი მხატვარი **ისააკ რაბინოვიჩი;** ამის გარდა სწარმოებს მოლაპარაკება მოსკოვის სამხატვრო თეატრის ინსპექტორთან **მიხალსკისთან,** რათა უკანასკნელმა იკისროს ქართული დრამის წარმომადგენლობა მოსკოვში იქაურ თეატრებთან მუდმივ კავშირის დასაჭერად.

სექტემბრის პირველ რიცხვებში დასი დაბრუნდება თბილისში და რეპეტიციებს უკვე სცენაზე განაგრძობს; მაშინვე დაიწყებს მუშაობას რეჟისორი **კ. პატარიძეც.**

—:—

დღეს კინოებში

- **მინიონში** — „მომაკვდავი ხალხები".
- **არფასტოში** — „ტარას ტრიასილო"
- **დარბაზში** — „ორში ერთი"
- **ოდეონში** — „მუსლიმანი ქალი"
- **პალასში** — „ქალი ნიღაბით"
- **აპოლოში** — „ტარას ტრიასილო"
- **ეთერში** — „ტარას ტრიასილო"

საკურორტო ლატარიის გათამაშება

გუშინ, საღამოს ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო კლუბში გათამაშებული იქნა სოფლისა და ქალაქის დაკავშირების საზოგადოების მიერ მოწყობილი დიდი საკურორტო ლატარია.

ლატარიაში სულ ითვლებოდა 16 მოგება, ხოლო ლატარიის ბილეთების რიცხვი უდრიდა 15 ათასს.

165 მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს: №№ 02557, 12495 და 14520.

აღნიშნულ ბილეთების პატრონებს შეუძლიათ უფასოდ გაემგზავრონ კურორტ აბასთუმანში და დაჰყონ იქ საშეფო საზოგადოების ხარჯზე ერთი თვე, ან მიიღონ დასახელებული მოგება ფულით.

ას-ასი მანეთი მოიგეს შემდეგმა ბილეთებმა: №№ 00249, 04886, 07324, 00659,10420.

აღნიშნული ბილეთების პატრონებს ფულის მაგიერ შეუძლიათ წავიდენ—პირველ ორ ნომერს წაღვერში, ორს ბორჯომში, ხოლო უკანასკნელს—აბასთუმანში იმ პირობებში, როგორც ეს ბილეთზეა აღნიშნული.

ორმოც-ორმოცი (40) მანეთი მოიგეს—№№ 03097, 04909, 09.277, 10066, 00856, 09317 11778, 10058.,

მოგებების მისაღებათ ბილეთების პატრონებმა უნდა მიაკითხონ საშეფო საზოგადოებაში, რომელიც თბილისის ალმასკომთან არსებობს.

სალატარიო ბილეთ № 10420 პატრონი ლატარიის გათამაშების დროს აღმოჩნდა აუდიტორიაში. მის ბილეთს ხვდა ას მანეთიანი მოგება, ან კურორტ აბასთუმანში გამგზავრება ერთი თვით.

მომგებიანი ბილეთის პატრონი საარტილერიო საწყობის ზეინკალია, ახკომკავშირელი **იაკობ დავითისძე კირილიკი.**

საექსპორტო განყოფილება

ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილებასთან არსდება საექსპორტო-საიმპორტო განყოფილება, რომელიც მტკიცე კონტაქტში იქნება საგარეო ვაჭრობის კომისარიატის შესაფერ ორგანოებთან. ახალ ქვე-განყოფილებას ევალება იზრუნოს ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობისათვის საჭირო იარაღ-მანქანების, მოწყობილობების და ნედლი მასალების შემოტანა საზღვარგარეთიდან და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ.

ადგილებზე გახსნილმა ქარხნებმა უცხოეთიდან შემოსაზიდ მანქანებისა და მოწყობილობების გამოწერისთვის პირველ რიგში უნდა მიმართონ ამ განყოფილებას, რომელიც თავის მხრივ შეუთანხმდება ვაჭრობის კომისარიატს სათანადო ლიცენზიის მისაღებათ.

სასამართლო

„რომანი", რომელიც სასამართლოში დასრულდა

მარო ნარეკლიშვილი არის ამ რომანის მთავარი, აქტიური „გმირი". თუმცა პირველ ხანებში „აქტივობა" ლაგოდეხის კოოპერატივის ბუღალტერს მოქ. ტაბიძეს ეკუთვნოდა, მაგრამ ბრძოლის „ინიციატივა" ხელთ იგდო მარო ნარეკლიშვილმა მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ მისი სატრფო ცოლ-შვილიანი იყო.

ეს ამბავი ასე დაიწყო: ლაგოდეხის კოოპერატივის ბუღალტრად დაინიშნა მოქ. ტაბიძე. მან გაიცნო ახალგაზრდა, 20 წლის ქალი მარო ნარეკლიშვილი. გაცნობას მოჰყვა დაახლოვება და გამიჯნურება. მართალია, ბუღალტერ ტაბიძეს დაავიწყდა მთელი ვეებერთელა „პასივი"—თავისი ცოლ-შვილი, მაგრამ სიყვარულში რა მოსატანია ბუღალტერია!

„გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი".—დიახ! ტაბიძემაც თავისი ტკბილი სიტყვით ისე უზომოდ შეაყვარა თავი მარო ნარეკლიშვილს, რომ უკანასკნელი მას ტარიელს ადარებდა.

რომ სიყვარულის ალერსი, მიჯნურისათვის თავდადება არ ყოფილიყო მაროს მხრივ, აბა რატომ არ გაწმორდა, რატომ გულზე ხელი არ ჰკრა მან ტაბიძეს, როცა თვითონ თემკომის მდივანმა განუცხადა მაროს, რომ ტაბიძე ცოლიანია და ნუ დაენდობიო?

ერთი სიტყვით სიყვარულმა დაიპყრო მარო ნარეკლიშვილი. არ დაეძებდა, თუ გინდ ოცდაათი ცოლი ჰყოლოდა ტაბიძეს, თუ უკანასკნელი ტკბილი ალერსით შეხვდებოდა მას და ლაღაზ ქათინაურებით მიაცილებდა სახლამდე.

დღე-დღეს სცვლიდა და სიყვარულიც თავის სახეს იცვლიდა. ტაბიძეს შემოაკლდა „პათოსი", ბუხჰალტერი ტაბიძე უკვე იწყებს ლაპარაკს თავის „პასივზე".

ეხლა მარო ნარეკლიშვილი გრძნობს, რომ ძალიანი მიჭირა თემკომის მდივნის დარიგება რომ არაფრად ჩააგდო. უკვე გამოჩნდენ შურისძიებით მოწყურებული თვალები. მარო ნარეკლიშვილმა შეიძინა რევოლვერი „ბრაუნინგ № 5".

13 ივლისს (გასულ წელს) ტაბიძე ჩვეულებრივ მიაცილებს მაროს სახლამდე და კვლავ „პასივზე" ელაპარაკება. დადგა გამოთხოვების წუთი. მარომ ხელში მომარჯვა რევოლვერი, გამოუმიზნა თავის სატრფოს და ესროლა. დაიღვარა სისხლი, ძლიერი, თავდავიწყებული ტრფობით გამოწვეული, მაგრამ ჭრილობა აღმოჩნდა ძლიერ მსუბუქი, თვით ამ „რომანზე" უმსუბუქესი.

ეს ამბავი გათავდა ასე: რომანის „გმირი" მარო ნარეკლიშვილი გაასამართლა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით ქ. სიღნაღში.

მარო ნარეკლიშვილს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით. მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ნარეკლიშვილის ქალის სიახალგაზრდავე, მისი სოციალური მდგომარეობა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ბოროტმოქმედებას მძიმე შედეგი არ მოჰყოლია—და სასჯელი ბრალდებულს შეუცვალა 6 თვით თავისუფლების აღკვეთით.

გერ.

უშნო არშიყი

კაპიტონ ჯიქიძემ ახირებული არშიყობა იცოდა. ვაჟკაცურებით სიმთვრალეში.

12 ივლისს, საღამოს 5 საათზე კაპიტონი მთვრალი გამოვიდა ქუჩაში და „საარშიყოდ" მოემზადა. დაინახა ერთი ახალგაზრდა ქალი და გაუდევნა. დაეწია თუ არა, გაჰკრა ხელი ხელზე, ვაუსწრო წინ და შემობრუნდა. ქალმა უჩქარა ნაბიჯს, კაპიტონმა ფეხი გადაუდო და ქალი კინაღამ ცხვირ-პირით დაასკდა ფილაქანს.

„გამანებეთ თავი, თორემ ვანანებ"—შეუტევს გაბრაზებული კა—ვის ქალი.

„არშიყი" კაპიტონი ეხლა „სიტყვაკაზმული" გინებით მიმართავს ქალს. ეს მისი საარშიყო პროგრამის უმთავრესი მუხლია.

შეშინებული ქალი ქარივით მიჰქრის ქუჩაში. კაპიტონი დაეწევა და „სასიყვარულოდ" ზურგში ურტყამს მუშტებს.

ამ სურათს დაინახავენ ტრამვაის მგზავრები და გაეშურებიან ქალის საშველად.

კაპიტონ ჯიქიძე მუშტებით დაერევა საშველად მოსულ მოქალაქეებს. ზოგს აქეთ მიაწვენს, ზოგს იქით.

მილიციელიც მოდის. ჯიქიძეს აპატიმრებენ. მიჰყავთ კომისარიატში. ჯერ ოქმი არ არის შედგენილი, მაგრამ კაპიტონმა გაიღირა თავი და თავისი ნებით შევიდა საპატიმრო ოთახში.

— გამობრძანდით გარეთ, ჯერ საქმე უნდა გამოვარკვიოთ,—წინადადებას აძლევს კაპიტონს უფროსი მილიციელი.

— რა უნდა გამოარკვიოთ, ვიცი ამ როსკიპი ქალისთვის უნდა ჩავჯდე, მაგრამ არა უშავს (ხელს ჰკიდებს მილიციელს ფორმის ტანისამოსის ფერად ნიშნებზე), მალე მოვა დრო და მალე აგაგლეჯ ჩემი ხელით ამ მორთულ-მოკაზმულობას—რიხით ლაპარაკობს უშნო არშიყი.

კაპიტონს ნებაყოფლობით საპყრობილეში ჯდომა არ დაანებეს, სანამ ოქმი არ შესდგა. როცა ოქმი შესდგა და საქმე სასამართლომ ვაარჩია, კაპიტონ ჯიქიძე უკვე ფხიზელი იყო, უკვე აღარ ეხალისებოდა საპატიმრო ოთახში ჯდომა, მაგრამ სასამართლომ საჭიროდ სცნო, რომ ნებაყოფლობით საპყრობილეში შესული კაპიტონი ეხლა უკვე მისი სურვილის წინააღმდეგ დარჩეს საპატიმროში ორი თვის ვადით.

მან.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს, 23 ივლისს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია. გიორგი ხოშტარიას, მათიკო ამაშუკელს, ნინო გედევანიშვილს, ანტონ მგალობლიშვილს, ანდრო ოგანესიანს, ნინო კალატოზიშვილს, გიორგი მხეიძეს, სოფიო ჩარკვიანს, ვალერიან ჯვარშეიშვილს, არამ მარკოსიანს და ნინო ბაქრაძეს.

მე-7 სექცია: ფილარეტ ამაშუკელს, ელენე კარგარეთელს, თამარ სახაროვას, მარიამ ლაზეპანის, ვასილ გოდოვალოს, ნინო ჯიოევს იაჯვიდა ენდიმონოვას, ს. ბოგუსლავსკაია, ემალია სივიცკაიას, ქიარიმ სახაროვს, ნადეჟდა ცუპპას და მუსიბ აჯალოვს.

ექსკურსიები

ბათომში და ალავერდში

დღეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირი აწყობს თავის წევრების ექსკურსიას ბათომში და ალავერდში.

ბათომში სპეციალური ვაგონით მიემგზავრება 100 კაცი. ექსკურსიის პასუხისმგებელი ხელმძღვანელია ამხ. **მ. ხელაძე.**

ექსკურსანტები დაათვალიერებენ ბათომს, ჩაქვის ჩაის პლანტაციებს და ჩაის ფაბრიკებს, ბოტანიკურ ბაღს და ზღვის პირას მდებარე სააგარაკო ადგილებს. ბათომში მოეწყობა ექსკურსანტების მასიური სეირნობა ზღვაზე ნავებით და მოტორიანი კატერებით ექსკურსანტები დაათვალიერებენ აგრეთვე ნავთსადგურში მდგომ გემებსაც.

ექსკურსია თბილისში დაბრუნდება სამშაბათს, დილის 5 საათზე.

ალავერდის ექსკურსიაში მონაწილეობას იღებს 40 კაცი. ექსკურსიის პასუხისმგებელი ხელმძღვანელია ამხ. **არაქელოვი** ექსკურსანტები ალავერდში დაათვალიერებენ სპილენძის ქარხნებს.

აღნიშნული ექსკურსიაც თბილისში დაბრუნდება სამშაბათ დილას.

მეცნიერება და ტეხნიკა

ოკეანეს უდიდესი სიღრმე

დღემდე ოკეანეს უდიდეს სიღრმეთ ითვლებოდა 9.950 მეტრი. ასეთი სიღრმე არის წყნარ ოკეანეს ერთი რაიონი იაპონიის ნაპირების ახლო.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიის საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გერმანიის კრეისერმა „ემდენ"-მა, რომელიც არკვევს წყნარ ოკეანეს სიღრმეს, ჰოლანდიის ინდოეთსა და იაპონიის კუნძულებს შორის აღმოაჩინა 10.500 მეტრის სიღრმე.

ფულების ბეჭდვის ახალი წესი

შეერთებული შტატების მთავრობამ შემოიღო ფულის ნიშნების ბეჭდვის ახალი წესი. კლიშეს ზედაპირს ფარავენ ლითონის ხრომის თხელი ფენით. ამ ლითონის არაჩვეულებრივი სიმაგრის გამო, ახალი კლიშეები 4-ჯერ მეტს ძლებს, ვიდრე ძველი, რომლებსაც ფოლადიდან ამზადებდენ.

ფულებსა და ფასიან ქაღალდებს ბეჭდავენ ე. წ. „ღრმა ბეჭდვის" წესით. კლიშეს ზედაპირზე გაკეთებულია ამოღრმავებული ადგილები რომლებიც შეეფერება ფულის ნიშნის სურათს. კლიშის ზედაპირზე უსვამენ საღებავს, რომელიც მხოლოდ ამ ჩაღრმავებულ ადგილებში რჩება, რადგან დანარჩენ ადგილებიდან საღებავს ფხეკენ. შემდეგ კლიშე მაგრად აწვება ქაღალდს, რომელზედაც გადადის ჩაღრმავებულ ადგილებში მყოფი საღებავი. ძველი კლიშეები ჩქარა ფუჭდებოდა განუწყვეტელი ფხეკის გამო, ახალი კლიშეები კი უფრო გამძლეა.

უხილავი აეროპლანი

საფრანგეთის ავიაციის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ახალი ტიპის აეროპლანების, რომლებიც დანიშნული არიან ღამით თავდასხმისათვის მტერზე. აეროპლანის მოტორები მომარაგებულია სპეციალური მოწყობილობით, რომელიც თითქმის სავსებით აყრუებს მოტორის გუგუნს. აეროპლანი შეღებულია განსაკუთრებული საღებავით, რომელიც უხილავად ხდის მას ღამით. ცდების დროს ასეთი აეროპლანი ვერ შენიშნეს მაშინაც კი, როცა იგი ასი მეტრის სიმაღლეზე ფრენდა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა გლეხთა უფლების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების შესახებ. 2

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლ. იანვრის 31-ის დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სოფლის მოსახლეობას უფლება აქვს საკუთარი სახსრით, თვითდაბეგვრის საშუალებით, დაიკმაყოფილოს ადგილობრივ კეთილმოწყობისა და კულტურულ სამეურნეო ცხოვრების საჭიროება გზათა მშენებლობისა, სკოლების აგებისა, წყალსადენის გაყვანისა და სამკურნალო პუნქტების მოწყობის სფეროში.

შენიშვნა: უკეთუ ადგილობრივ პირობების მიხედვით აუცილებელი იქნება, ამა მუხლში აღნიშნულ საჭიროებასა გარდა, თვითდაბეგვრის საშუალებით სხვა საჭიროების დაკმაყოფილება კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო სფეროში, სათანადო მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი, მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილების მიხედვით, ან საკუთარი თაოსნობით წარუდგენს ამის შესახებ მოხსენებას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

2. განზრახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად იმ სოფლის ან სოფელთა ჯგუფების, ან და თემის მოქალაქეთა საერთო კრება, რომლის მცხოვრებნიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი ამა თუ იმ საჭიროების დაკმაყოფილებით, გამოიტანს დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ.

3. მოქალაქეთა საერთო კრება თავის დადგენილებაში თვითდაბეგვრის შესახებ აღნიშნავს, რა სახსარია საჭირო განზრახული ღონისძიების განსახორციელებლად, რა სახისა უნდა იყოს ეს სახსარი—ფულადი თუ ნატურალური და რა ანგარიშით უნდა იქნეს გადატანილი ნატურალური სახსარი ფულზე; ამასთანავე მთელი ის სახსარი, რაც კი ამა ინსტრუქციის წესით შეკრეფილ იქნება თვითეულ პუნქტში ერთი წლის განმავლობაში, არ უნდა აღემატებოდეს იმავე პუნქტისათვის იმავე წელს შეწერილ მთელ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

შენიშვნა: ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ნატურალური სახსრის მაგიერ შეიტანოს შესაფერი თანხა.

4. მოქალაქეთა საერთო კრება თვითდაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად მოხდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია თემის საბჭოებისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ გამოცემულ დებულებაში (თავი 111), მხოლოდ ამა ინსტრუქციის შემდეგ მუხლებში აღნიშნული განსხვავებით:

5. მოქალაქეთა საერთო კრებას მოიწვევს თემის აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეთა განცხადების გამო, ან საკუთარი თაოსნობით: საერთო კრება კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო უწყებული პუნქტის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ორ-მესამედზე არა ნაკლები რიცხვი.

6. საერთო კრება დადგენილებას გამოიტანს ხმის მარტივი უმეტესობით. საერთო კრების დადგენილება სავალდებულოა სათანადო სოფლისა, სოფელთა ჯგუფისა ან თემის ყველა მცხოვრებისათვის (მუხ. 2).

7. თვითდაბეგვრით განსაზღვრულ გამოსაღებს განაწილებს ადგილობრივი თემის აღმასკომი, რომელიც ამასთანავე ვალდებულია მხედველობაში მიიღოს თვითეულ საგლეხო მეურნეობის შემოსავლიანობა და ისე შეაწეროს გამოსაღები, რომ პროგრესიული დაბეგვრის პრინციპი დაცულ იქნეს.

8. მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილება საბოლოოა. იგი თემის აღმასკომის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება მაზრის აღმასკომს და შესრულებულ იქნება უდავო წესით მხოლოდ დამტკიცების შემდეგ.

9, საერთო კრების დადგენილებით შეკრეფილი სახსარი დაიხარჯება მხოლოდ იმ მიზნისათვის, რაც გათვალისწინებულია აღნიშნულ დადგენილებაში.

10. უკეთუ ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელი იქნება განზრახული სამუშაოს შესრულება, მოქალაქეთა საერთო კრება დაადგენს შეგროვილი სახსარი დაუბრუნოს მოქალაქეთ ან გადაიდოს სხვა რამ მიზნისათვის.

11. თვითდაბეგვრის განსახორციელებლად მოქალაქეთა საერთო კრება აირჩევს განსაკუთრებულ კომისიას იმდენი წევრისა და კანდიდატისაგან, რამდენსაც საერთო კრება საჭიროდ დაინახავს.

12. წინა მუხლში აღნიშნულ კომისიასთან ერთად მოქალაქეთა საერთო კრება აირჩევს აგრეთვე სარევიზიო კომისიას სამი წევრისა და ორი კანდიდატის შედგენილობით.

13. განსაკუთრებული კომისია განაწილების მიხედვით აკრეფს საჭირო ნატურალურ სახსარს და ფულს და განახორციელებს იმ ღონისძიებას, რისთვისაც თვითდაბეგვრა იყო შემოღებული.

14. საერთო ხელმძღვანელობა კომისიის მუშაობისათვის და მეთვალყურეობა იმისათვის, რომ შეკრეფილი სახსარი მიზანშეწონილად და საერთო კრების დადგენილების შესაფერისად იქნეს დახარჯული, დაეკისრება ადგილობრივ თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

15. მოქალაქეთა საერთო კრებაზე არჩეული ორგანოები (ამა ინსტრუქციის მე-11 და მე-12 მუხ.) და ადგილობრივი თემის აღმასკომი ვალდებული არიან სათანადო ანგარიში წარუდგინონ მოქალაქეთა საერთო კრებას, აგრეთვე მაზრის აღმასკომსაც; ამასთანავე ეს კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს მუშაობის დამთავრებისას და, თუ საჭირო იქნება, ამ მუშაობის დროსაც, როგორც თვით მოქალაქეთა თაოსნობით, ისე თემის ალმასკომის მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი: შ. მათიკაშვილი.

1927 წ. 4 ივლისი.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებში მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაერთიანების მიზნით დაევალოს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს როგორც ცენტრალურ დაწესებულებას. ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც, ბრძოლას აწარმოებს მალარიის წინააღმდეგ რესპუბლიკანური მასშტაბით და გააერთიანოს ამ ორგანიზაციათა მუშაობა.

2. რათა თავიდან აცილებულ იქნეს ამა თუ იმ ადგილას ნიადაგის დაჭაობება, რაც შედეგია ხოლმე მდინარეებზე წარმოებული სხვადასხვა საამშენებლო მუშაობისა და რაც ხელს უწყობს მალარიის ბუდეების გაჩენას:

ა) დაევალოს ა. კ. რკინის გზის სამმართველოს, შავი ზღვის რკინისგზის საამშენებლო სამმართველოს, ნავთსადგურების განყოფილების და გზატკეცილების სამმართველოს, წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეუთანხმონ სახალხო კომისარიატს ყველა თავისი საამშენებლო გეგმა სანიტარულ-ტეხნიკურ წესების სფეროში:

ბ) დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, თავისი ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით, [illegible] აწარმოოს, რათა საამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს დაცულ იქნეს სანიტარულ-ტეხნიკური პირობები იმ ორგანიზაციების [illegible], რომელნიც აწარმოებენ საამშენებლო მუშაობას.

გ) დაევალოს ამა დადგენილების 1 მუხ. ლიტ. „ა"-ში აღნიშნულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ჯანსახკომის დასახელებით, შეადგინონ შემდგომი წლებისათვის დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვები იმ ხარჯების გასაწევად, რაც საჭიროა საამშენებლო პროცესში გაჩენილი მალარიის ბუდეების მოსასპობად და მალარიასთან ბრძოლის მიზნით სხვა სანიტარულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ეს ხარჯთაღრიცხვები. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მოთავსებულ იქნება სათანადო ბიუჯეტებში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვ. მოვ. დრ. ალმასრ. ს. სტეფანოვი.

ქ. თბილისი-სასახლე. 1927 წელი ივლისი 15.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თ. კ. სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ სააღრ.-განმანაწ. განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. **თარხანოვთან:** ბერია ვლადიმერ, გოგუაძე ნატალია, დოლიძე ანასტასია, მეგრელაძე ნიკოლოზ, არველაძე ვასილი, გიორგაძე ელისაბედ, ახობაძე ერ.. ჩომახიძე მიხ., მამალაძე გრ., ჭედია სევერ., აბაიშვილი შალვა, ქურხული სარგ., ბერიევა ს., კიწმარეიშვილი შაქრო ხუხუა ილ., კანდელაკი ილია, კოროშინაძე ანა, მათიაშვილი ნიკოლოზ, პროსტოსერდოვი ნიკოლოზ, თვარიანი თამარა, მირიანაშვილი სოლომონ, ხარატაშვილი გიორგი, მამამთავრიშვილი მ., ოგიაშვილი იოსებ, ნიკოლაიშვილი იულია, გრიგორაშვილი ნიკოლოზ შამათავა ვარლამ, მაგრაშვილი ამბ., გარუჩავა გიორგი, ჩიხლაძე გიორგი, ჯაჯანიძე რომან, აბრამოვი ნიკოლოზ, აბაზოვი ივანე, აბესალაშვილი ირაკლი, ბახჩევი ალექსი, ტუტუნდარიანი არმენ, ოვანესიანი როპს., ბაბაიანი ანა., გრიგორიანი ამაიაკ, არუთინოვი ბორის, ბაღდასაროვი ტიგრან, ამირხანიანი მარ., იორაშვილი ანა, ძნელაძე ვერა, კიკნაძე გიორგი, ბედიაშვილი მ., ოგანესიანი ., ნაკაიძე ალ., დუმბაძე ზაქარია, მამალაძე მ. ქურდაძე სოლ. თოფურია ვლადიმერ, ქელბაქიანი ბიქტორ. ქანთარია ბენ., ღლონტი მელიტონ, მოჯორიანი ეჟენ., გორანიანი, აბრამიანი.

ღრმად დამწუხრებული მშობლები სიმონ და კატო, ძმები ივერიკო და ისმაილი, დები ანფისა და ქეთო, რძალი ალექსანდრა (ხაფაჩა), მამიდა დოჭინიკა ტყეშელაშვილები, სიძე მიშა გოგორიშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მათთვის მარად დაუვიწყარ

ვენდემიან სიმონის-ძე
ტყეშელაშვილის

გარდაცვალების ექვსი თვის აღსანიშნავად, პანაშვიდი დანიშნულია 24 ივლისს დილით კვირას სოფ. ბზვანში განსვენებულის საფლავზე. ნ. 1487

ღრმა მწუხარებით გულმოკლული დედა პუპა მიქაბერიძისა, [illegible] უდედმამო პატარა ანგელინა, ძმა პლატონ ივანეს-ძე მიქაბერიძე თავის ცოლით გულდათუთქული და ელნოსი ივანეს ასული და სიძე ირაკლი ახვლედიანები, დის შვილი შალიკო, ცოლი, ევა ასათიანები, ბიძაშვილები რაჟდენ და კლემენტი მიქაბერიძეები თავის ცოლ-შვილით, ძმისშვილი ელენე ასათიანისა, ბიძაშვილები მარუსია ვახტანგაძისა, მაგდან ჩიქვანისა. ბიძა მანუჩარ ჩიქვანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაცვალებულის

არსენ ივანეს-ძე
მიქაბერიძეს

ორმოცი დღის პანაშვიდი დანიშნულია სოფ. ნამახვანში (ქუთაისის მაზრა) გარდაცვალებულის სასაფლაოზე ა. წ. 25 ივლისს, დილით კვირას, შუადღის 12 საათზე.

მუდამ მწუხარებაში მყოფი მეუღლე, თამარა ალექსანდრე ღულაძის ასული მიქაბერიძისა, სიდედრ-სიმამრი: მარიამ გრიგოლის ასული და ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე ღულაძე შვილებით: ევგენია შიოშვილისა, არჩილი და გიორგი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირეს 24 ივლისს სოფ. ნამახვანში წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე

არსენ ივანეს-ძე
მიქაბერიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება საორმოცო პანაშვიდი დასაწყისი დილის 11 საათზე. ნ. 1491

ღრმად დამწუხრებული დიდედა ბარბალე, მამა შალვა, ბიძები გიორგი, მიხეილ, რეზო, ლუარსაბი და ძალუა სოფიო მაღალაშვილები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მე-5 შრომის სკოლის მე-6 ჯგუფის მოწაფე

ბორია მაღალაშვილი

გამოსვენება ოღეს. 23 ივლისს, დღის პირველ საათზე ქალაქის პირველ (ყოფ. არამიანცის) საავადმყოფოდან, დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე.
(ე)

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
0—13 ნ. 1388

პირველათ თბილისში
მხატვრული, ისტორიული საუკეთესო სურათი
ტარას ტრიასილო
დადგმა: რეჟის. ჩარდინინის. ოპერატორი: ზაველიევი.
მხატვარ-ხუროთმოძღვარი პროფესორი კრიჩევსკი.
სიმებიანი ორკესტრი.
პროგრამის გარეშე—„რიონჰესის საფუძვლის ჩაყრა".
მონოპოლურად საუკეთესო სურათი
„ორში ერთი"
მთავარ როლში ტრიუკების მეფე—კარლო ალდინი.
უკრავს სიმებიანი ორკესტრი.
პირველი სეანსის დასაწყისი—8 საათზე.
ანონსი: მალე „მაქსიმ მაქსიმიჩ" ლერმონტოვის რომანის მიხედვით.

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჩლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ' 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8). 25—1

ფინსახკომის გამგებლ. მყოფი სათანადო უფლებით აღჭურვილი ორწლიანი
ეკონომ-ფინანსიური
კურსები.
უმზადებს მუშაკებს: კომისარიატებს, ალმასკომებს, ტრესტებს, ბანკებს, კოოპერატივებს და ყოველგვარ კომერციულ დაწესებულებებს.
საგნები: ფინანსები (ზოგადი კურსი, ფინანსიური პოლიტიკა, ადგილობრივი ფინანსები, რესპუბლიკანური ბიუჯეტი, პირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადი, არასაგადასახ. შემოსავალი, სახელმწიფო კრედიტი), პოლიტიკური ეკონომია (ზოგადი კურსი, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონ. მოძღვ. ისტორია, ფული, კრედიტი, ბირჟა), სტატისტიკა, ეკონ. გეოგრაფია, კომუნალური მეურნეობა, კოოპერაცია, ვაჭრობის თეორია და პრაქტიკა, საქონელთ—მეტყველება, კომერციული კორესპონდენცია და საქმის წარმოება, ბუხჰალტერია (ზოგადი, სპეციალური), სავაჭრო და საფინანსო გამოანგარიშება, იურიდიული საგნები და სხვა.
მიიღებიან: 1. საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. 2. დაწესებულებათა თანამშრომელნი—კურს დაუმთავრებელნი—კოლოკვიუმით.
გადასახადი: წლიურ. 120 მ. სემესტრში 60 მ.
განცხადება მიიღება დილის 10—1 ს-დე, გარდა უქმეებისა. განცხადებასთან სავალდებულოა 30 მან. შემოტანა, შეიძლება ფოსტით. მისამართი: თბილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის) № 10. ადმინისტრაცია.
10—1 ნ. 1435.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

პროფ. ბ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება-
პლეხანოვის პრ. № 58.
13—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
იღებს ავადმყოფებს
ბორჯომში. 13—1

სიღნაღის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი მავზაროვი

ამით აცხადებს, რომ ა-წ 27 ივლისს ქალ. სიღნაღში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** აღწერილი ქონების მოპასუხე ტიგრან სიმონის-ძე ოთაროვისა, რომელიც აღწერილია საქობის საკრედიტო ამხანაგობის ვალში თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო სასამართლოს ბრძანების ა-წ. 4 მაისის № 547.

სია გასაყიდი ქონებისა: 1) ერთი ორ სართულიანი შენობა დახურული კრამიტით და ქესტით მაღლა სამი საცხოვრებელი ოთახებით და ერთი სამზარეულოთი და დაბლა რვა თვალი სავაჭრო მაღაზიები, 2) ერთი ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლი დახურული კრამიტით და ქესტით, სამი საცხოვრებელი ოთახებით, ერთი სამზარეულო, ერთი სარაია და ერთი სარდაფი და 3) სავაჭრო შენობა ხუთ თვალიანი.

29 ივლისს 1927 წ. დაბა ლაგოდეხში

ერთი ბაღი ზომით 3 ნახ. დესეტინა, ამავე ბაღში იმყოფება ერთი სახლი ქვიტკირისა ერთი ოთახით და ერთი სამზარეულოთი, სახლის დაბლა სარდაფი, სახლის გვერდზედ ფიცრული შენობა და ერთი ფიცრული თავლა.

30 ივლისს სოფ. გურჯაანში

ერთი ვენახი ზომით 1 ნახ. დესეტინა ამავე ვენახში ერთი ქვიტკირის სახლი ორი საცხოვრებელი ოთახებით და ერთი სამზარეულოთი, ერთი მარანი, რვა ცალი ღვინის ქვევრები სხვა და სხვა ზომის საწყაოსი.

აღნიშნულ აღწერილ ქონებაში 1|9 წილი ეკუთვნის მოპასუხე ტიგრან სიმონის-ძე ოთაროვს და ეს წილი დაფასებულია ჯამით (2000 მ.) ორი ათას მანეთში. ნ. 1420

სიღნაღის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი მავზაროვი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 28 ივლისს სოფ. საქობაში დინიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა გიორგი სერგოს-ძე ყარალაშვილისა რომელიც აღწერილია საქობის საკრედიტო ამხან. ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა.

სია გასასყიდი ქონებისა: ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი კრამიტით დახურული, მაღლა ორი ოთახი და ერთი სამზარეულო, დაბლა ორი ოთახი და ერთი სამზარეულო, დაფასებულია 2000 მან. ნ. 1489

ონის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. გამყრელიძე

ამით აცხადებს, რომ ის 9 აგვისტოს 1927 წ., დღის 12 საათზე, ქ. ონში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით და იასონ ვასილის-ძე კერესელიძეების კუთვნილ ორსართულიან ქვიტკირის საცხოვრებელ სახლს, რომლის ზედა სართული შესდგება ოთხი ოთახისაგან. ერთი კარიდორით, ორი აივნით და ორი კიბით, ქვედა სართული კი—ერთი თვალისაგან, დახურულს ყავრით, შეფასებულს 6000 მანეთად—გრამიტონ ტარიელის-ძე ბაქრაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ონის უბნის სახალხო მოსამართლისაგან 25 ივნისს 1927 წ. თარიღით № 2880 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სამოქ, სამართ. საპრ. კოდ. 301, 311 და 312 მუხლების დაცვით. ნ. 1488

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 27).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	წარმოების საგანი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
671	9 ივლისი 27წ.	ქუთაისელი ტარასი ლუკას-ძე	ქ. ხაშური	სასადილო	900 მ.	მე 4
672	„	ნადირაშვილი დავით ალექსის-ძე	ქ. ხაშური	„	500 „	„
673	„	ქუთასელიძე ნიკო იორდანის-ძე	ქ. ხაშური რუსთაველის ქ.	„	200 „	„
674	„	სახვაძე ვალიკო მალაქიას-ძე	ქ. ხაშური	„	300 „	„
675	„	ომიაძე ასლან გრიგოლის-ძე	ქ. ხაშური	„	250 „	„
676	„	ნინოშვილი ისონ იაკობის-ძე	პარიზის კომუნის ქ.	„	—	„
677	„	აკოფოვი ერვანდი სტეფანეს-ძე	პარიზის კომუნის ქ.	საბილიარდო	200 „	„
678	5 „	ჭიათურის „მუშკოოპი"	ნინოშვილის ქ.	ვაჭრ. სამომხ. საგნ.	89931 მ. 57 კ.	„
679	„	საქ. ტყის საწყობი	საქ. ტყის მრეწ. ჭიათ. საწყობი	ხე-ტყის მასალით	1099 მ. 03 კ.	„
680	„	თაბაგარი ბესარიონ ნიკოლოზის-ძე	ნინოშვილის ქ.	სასადილო	400 „	„
681	„	ცოტაძე რაჟდენ პეტრეს-ძე	ნინოშვილის ქ.	„	400 „	„
682	„	კავთელაძე კალენიკე ალექსის-ძე	სად. ბოსლევი	მე-3 კლ. ბუფეტი	100 „	„
683	„	ჭიათურის „მუშკოოპი" მაღ. № 4	ჭიათურა ზდანოვიჩის ქ.	ვაჭრ. სამომხმარ. საგან.	89931	„
684	„	სამხარაძე ვარლამ დიმიტრის-ძე	ჭიათურა ნინოშვილის ქ.	სასადილო	300 „	„
685	„	სანიკიძე ვლადიმერ ბესარიონის-ძე	ნინოშვილის ქ.	პურ-ღვინით	400 „	„
686	„	გაფრინდაშვილი დომენტი დიმიტრის-ძე	1 მაისის ქ.	სასადილო	300 „	„
687	„	ინვალიდთა შენაერთი „მეგობარი"	ქ. ჭიათურა ყაზბეგის ქ.	„	500 „	„
688	„	ჭიათურის „მუშკოოპი" მაღ. № 1	ზდანოვიჩის ქ.	სამომხ. საგნებით	89931 მ. 57 კ.	„
689	„	ჭიათ. „მუშკოოპი" მაღაზია № 3	ნინოშვილის ქუჩა	სას. სამ. საგნებით	89931 მ. 57 კ.	„
690	„	ბუხნიკაშვილი სამუელ მათეს-ძე	ჭიათურა ყაზბეგის ქ.	სასადილო	500 „	„
691	„	ჭუმბურიძე იოველი სინოს-ძე	წერეთლის ქ.	„	266—70	„
692	5 „	ს.მ.უ.ს. ტრესტის კანტორა	ჭიათურა ნინოშვილის ქ.	საქ. ტრესტ. ნაწარმოების რეალიზაცია	საკუთარი თანხა არ აქვს	„
693	„	კურტანიძე მელიტონ ამირანის-ძე	ზდანოვიჩის ქ.	სასადილო	250 „	„
694	„	საქ. სამთო მრეწველობის ტრესტი	ნინოშვილის ქ.	საწვავ და სათბობ მასალ.	—	„
695	„	ბუხრიკაშვილი გაბრიელ ვახტანგის-ძე	ნინოშვილის ქ.	სასადილო	500 „	„
696	„	სატრანსპორტო მომხ. საზ—ბა „ზაკტპო"	ნინოშვილის ქ.	ცალობრივი ვაჭრობა	ს. არ აქვს	„
697	„	გოცირიძე დიმიტრი ბესარიონის-ძე	ზესტაფონი	სასადილო	300 „	„
698	„	ახრახაძე ბიქტორ იესეს-ძე	ზესტაფონი	„	100 „	„
699	„	ნიქაბაძე ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე	25 თებერვლის ქუჩა	„	200 „	„
700	„	სურამავა მიხა გიგოს-ძე	ზესტაფონი	ბუფეტი	50 „	„
701	„	არაბიძე ერმანოზ	ზესტაფონი	სასადილო	800 „	„
702	„	ჭაჭიაშვილი სევასტი სპირდონის-ძე	25 თებერვლის ქ.	„	60 „	„
703	„	თურქაძე ვლადიმერ ივანეს-ძე	„	„	200 „	„
704	„	სარალიძე ბიქტორ პლატონის-ძე	„	„	400 „	„
705	„	კვანტიძე ვარდენ ივანეს-ძე	„	„	100 „	„
706	„	ნოზაძე ალექსანდრე	სად. ზესტაფონი	ბუფეტი	40 „	„
707	„	ბურჯანაძე ვარლამ მიხეილის-ძე	25 თებერვლის ქ.	სასადილო	100 „	„
708	„	ნიორაძე ლასო ანდრიას-ძე	„	საბაკალეინო საქონელი	1000 „	„
709	„	აბრამიშვილი ილიკო გიორგის-ძე	თავისუფლების მოედანი	სასადილო	400 „	„
710	„	აბესაძე არკადი ალექსის-ძე	25 თებერვლის ქუჩა	ხე-ტყის საწყ.	1000 „	„

ნ. 1486.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მზალობლიშვილი.**

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

დაკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 5366—ზაქარია ივანეს ძე კაციაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა წითელ-არმიელის სამსახურის წიგნაკი და ქორწინების ამონაწერი ფურცელი მიხეილ დიმიტრეს-ძე ოჟუებიძის სახელზე, ჩ. გ. 3390

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 11160 თამარა სერაპიონის ასული მიქაძის სახელზე, ჩ. გ. 3391

დაკარგა ქართული დივიზიის უნცროს მეთაურთა სკოლიდან მოცემული ნამსახურობია სია და პირადი სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4 დავით გაბრიელის-ძე უჯარაშვილის სახელსე ზე, ჩ. გ. 3388

დაკარგა პარტიული ბილეთი № 0858777 ნიკიფორე თავხელიძეს სახელზე ჩ. გ. 3386

დაკარგა პარტბილეთი, საკანდიდატო, № 2580 ივანე კუჭავას სახელზე, ჩ. გ. 3394

დაკარგა პარტბილეთი № 0864752 ავიოქიმის წიგნაკი, რემედასის წიგნაკი საჰ.ერო ფლოტის საბჭოს წიგნაკი და ორი ცალი ლატარეის ბილეთი № 04507,—04527, ვასილი ოთარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3389

დაკარგა რკ. გზ. სამგზავრო ბილეთები ერთდროული № 3398782, სასურსათო № 75, სეზონის № 212147 პირადობის მოწმობა დედის № 67554, ჩემი № 536, გაცემული შორაპნის ლიანდაგის მე-4 უბნის კანტორიდან მარო ირემაძეს სახელზე. ჩ. გ. 3393

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა სილარიბის მოწმობა, საგადასახადო ხარჯის ფურცელი და სახლის დაფასების ქვითარი, გიორგი ურგებაძეს სახელზე, ჩ. გ. 3387

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 14688 თამარა ალექსანდრეს ასული ღულაძეს სახელზე, ჩ. გ. 1481

ალმასკომის სტამბა. კაშინს მ. 68.